

თეატრის ხელოვნება




პიესები

F 867
1382



4 1982



ეროვნული
ბიბლიოთეკა





საქართველოს თეატრალური საზოგადოების ბიულეტენი

თეატრალური ბიულეტენი

4. 1982

წელიწადი 25-ე

თბილისი — აგვისტო



გასუხივებამდე გდევანი

გურამ ბათიაშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ია გაგრაქელი,
ნოდარ გურაბანიძე,
ოთარ ეგაძე,
ვასილ კიკნაძე,
ბადრი კობახიძე,
ლილი ლომთათიძე,
როზმარტ სტურუა,
ვახტანგ ქართველიშვილი,
ერეკლია ქარელიშვილი,
ნინო უგანაძიძაძე,
თემურ ჩხეიძე,
გიორგი ციციშვილი
თამაზ ზილბაძე,
დიმიტრი ჯანელიძე.

რედაქციის მისამართი:
თბილისი-380007
კირიშის ქ. № 11-ა
ტელეფონი
99-90-96

სამართვამოს თეატრალური საზოგადოება



ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის გალალი მისია

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „რესპუბლიკაში ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

F-4953

სსკპ XXVI ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, აღნიშნული მიღებულ დადგენილებაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებმა „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის თაობაზე“, „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმშრდებლობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ თბილისში გამართულ საიუბილეო ზეიმზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მთელმა რიგმა დადგენილებებმა ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე და პრაქტიკულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო რესპუბლიკაში მხატვრული შემოქმედების, კერძოდ, კრიტიკის შემდგომ განვითარებასაც.

„ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის თაობაზე“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღების შემდეგ რესპუბლიკაში გამართულმა შემოქმედებითი კავშირებისა და საზოგადოებების ყრილობებმა და პლენუმებმა, დისკუსიებმა, სიმპოზიუმებმა, მოძმე ხალხთა კულტურისა და ხელოვნების დღეებმა და ფესტივალებმა, შემოქმედებითი კავშირების გააგვიძობის, პრეზიდენტების შემადგენლობის განახლება, მთელმა რიგმა სხვა ღონისძიებებმა დიდი მათორგანიზებელი როლი შეასრულა ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში.

რესპუბლიკაში განსალი მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს დამკვიდრებისათვის საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ბრძოლის პროცესში ასიეკეთო პირობები შეიქმნა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა შემოქმედებითი შესაძლებლობების სრული და ყოველმხრივი გამოვლენისათვის. ამის შედეგად ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში გაჩნდა ახალი მალაიდეური და მალალმხატვრული ნაწარმოებები, რომელთაგან საუკეთესონი ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიებით აღინიშნა.

ამ მიღწევებში თავისი წვლილი შეაქვს ლიტერატურულ-მხატვრულ კრიტიკას.

მაგრამ, აღნიშნულია დადგენილებაში, ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკა რესპუბლიკაში ჯერ კიდევ სრულად არ შეესაბამება დიდ მოთხოვნებს, რომლებიც მას წაყენებული აქვს თანამედროვე ეტაპზე. იგი ჯეროვანი სიღრმით ვერ ანალიზებს ლიტერატურისა და ხელოვნების მთავარ ტენდენციებს თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებთან, მთელი საბჭოთა კულტურის განვითარების პროცესებთან ორგანული კავშირით.

სწორად კრიტიკოსებს მხედველობიდან ჩიებათ სოციალისტურ კულტურათა ურთიერთგავლენისა და ურთიერთგამიღძრების საკითხები. იშვიათად ანალიზებენ მოძმე რესპუბლიკების მწერალთა ქართულ ენაზე თარგმნილ ნაწარმოებებს. ზოგჯერ დადებითს შეფასებას აძლევენ სოციალურ და ეროვნულ ნიადამს მოწყვეტილ ექსპერიმენტებს, ფუჭ ძიებებს, უზარო მოღძრინატულ გატაცებებს. ქვეყნდება გამოსვლები, რომლებიც გამართოვებულად წარმოსახავს ფორმისა და სტილის საკითხებს, ატყვია სქემატიზმისა და პლაკატურობის დალი, უგულზედგოფს სოციალისტური რეალიზმის მეოთღის მხატვრულ შესაძლებლობათა მასშტაბსა და მრავალფეროვნებას. საკმარისი არ არის კრიტიკის

საქართველოს მწერთა კავშირი
საქართველოს
საქართველოს
საქართველოს



როლი იმ ბრძოლის შემდგომ გაძლიერებაში, რომელიც მიმდინარეობს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, კომუნისტური მორალის პრინციპების დამტკიცებლად, წარსულის გაუმართლებელი განდიდების, ინტერნაციონალურის სახიანო და წაციონალურის წინ წამოწევის ცალკეული ფაქტების დასაგმობად. კრიტიკას ჯერ კიდევ აკლავი ოპერატიულობა, აქტიური დაინტერესება მიმდინარე შემოქმედებით პროცესებით, რის შედეგადაც ლიტერატურისა და ხელოვნების ბევრ ახალ ნაწარმოებს, მათ შორის შემოქმედებითი კავშირებისა და ცალკეული ორგანიზაციების მიერ რესპუბლიკური და დარგობრივი პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილ ნაწარმოებებს არ ეძლევა დროული და კვალიფიციური შეფასება.

ჯერ კიდევ ბევრი საკითხია გადასაწყვეტი ახალგაზრდა ავტორებისა და კრიტიკის ურთიერთდამოკიდებულებაში, „შემოქმედ ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“ საქვ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელებაში, ახალგაზრდობისათვის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის აქტიურ ჩამოყალიბებაში, პროფესიული ოსტატობის ზედმიწევნით დაუფლებაში. ხშირად პროფესიული შეფასების გარეშე რჩება, ან პირიქით, დაუმსახურებელი ქება-დიდებას საგანი ხდება ახალგაზრდა ხელოვანთა დებიუტები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კულტურის სამინისტროს, კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, კინემატოგრაფისტთა, არქიტექტორთა კავშირებს, რესპუბლიკის თეატრალურ და მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ საზოგადოებებს წინადადება მისცა ყოველწლიურად ამაღლონ ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის, შემოქმედებითი კავშირებისა და საზოგადოებების შესაბამისი სექციების ავტორიტეტი, მიაღწიონ კრიტიკის როლის გაძლიერებას კომუნისტური მორალის პრინციპების დამკვიდრებაში. მეტი ყურადღება უნდა ეთმოდეს ლიტერატურისა და ხელოვნების იმ ნაწარმოებთა პროპაგანდას, რომლებიც ემსახურება მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეს და წარმოაჩენს ხალხთა მშობისა და მეგობრობის თემას.

დადგენილება ითვალისწინებს მუშაობის გააქტიურებას აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შემოქმედ ინტელიგენციასთან, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მცხოვრებ კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან.

საქართველოს ალკვ ცენტრალურმა კომიტეტმა შემოქმედებითს ორგანიზაციებთან ერთად შემოქმედ ახალგაზრდობასთან მიეღი მუშაობა უნდა დააფუძნოს მომთხოვნელობასთან და პრინციპულობასთან ახალგაზრდობისადმი გულსხმიერი და ყურადღებიანი დამოკიდებულების შესამუშავზე. უფრო ღრმად უნდა ვსწავლობდეთ ახალგაზრდობის პრობლემებსა და მოთხოვნებიებს და ვახალისებდეთ მის საზოგადოებრივ აქტიურობას, ვენმარებოდეთ მას თავისი ნიჭის უფრო სრულად გამოვლენაში, ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შესაბამის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებს, თბილისის უნივერსიტეტის, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის, თბილისის სამხატვრო აკადემიის, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის შესაბამის კათედრებს წინადადება მისცა უფრო აქტიურად მიიღონ მონაწილეობა კრიტიკოსთა ახალგაზრდა კადრების აღზრდა-მომზადებაში, ჩააბან სტუდენტები კრიტიკულ მუშაობაში, შეიტანონ ლიტერატურისა და ხელოვნების ახალ ნაწარმოებთა ანალიზი ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნებათმცოდნეობის კათედრათა შემოქმედებითს გეგმებში, გაგზავნონ ხოლმე სტუდენტები პრაქტიკის გასავლელად ყურნალ-ვაზეთების რედაქციებში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი ყოველწლიურად უნდა ამაღლებდეს კრიტიკის დარგში მომუშავე თანამშრომელთა პასუხისმგებლობას, განამტკიცებდეს კონტაქტს საქართველოს მწერალთა კავშირის კრიტიკის სექციასთან, ყოველწლიურად ამაღლებდეს დასაბეჭდად კრებულს, რომელშიც მომთხილული იქნება განვილილი წლის ლიტერატურული პროცესი. საქართველოს



შერაღთა კავშირთან და გამომცემლობა „მერანთან“ ერთად ინსტიტუტმა ხელი უნდა შეუწყოს აღმასახ „კრიტიკის“ იდეურ-პროფესიული დონის ამაღლებას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი უფრო აქტიურად უნდა სწავლობდეს და ამუშავდეს თანამედროვე სახეითი ხელოვნებისა და არქიტექტურის პრობლემებს.

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანოები — გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, ჟურნალები „მნათობი“, „ცისკარი“, „ლიტერატურაია გრუზია“, „საბჭოთა ხელოვნება“, „ალაშარა“, „ფიდიუაგი“, „ჭირობი“, აღმასახები „კრიტიკა“, „საუნჯე“, „განთიადი“, ბიულეტენი „თეატრალური მოამბე“ და სხვები უფრო ხშირად უნდა აწყობდნენ მიზანდასახულ, კარგად ორგანიზებულ დისკუსიებს აქტიუალურ შემოქმედებითსა და თეორიულ პრობლემებზე.

დადგენილება ითვალსწინებს ისეთი ქმედითი დონისძიებების განხორციელებას, რომელთა მიზანია კრიტიკოსებსა და ავტორებს შორის ურთიერთაპროცესებისა და კეთილმოსურნე დამოკიდებულების ატმოსფეროს შექმნა, პოლემიკის კულტურის ამაღლება.

მხატვრულ ნაწარმოებთა შეფასებაზე გავლენას არ უნდა ახდენდეს ისეთი გარემოებანი, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვს შემოქმედებითს საკითხებთან. ვადაშყვეტი მნიშვნელობა ხაწარმოების იდეურ-ესთეტიკურ ღირებულებას აქვს და არა მისი ავტორის საზოგადოებრივ ძღვოპარეობას.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ უნდა მოწესრიგდეს საიუბილეო პუბლიკაციების საქმე. ზოგიერთი საიუბილეო სტატიის მეტისმეტად ადფრთოვანებულ კილოს, იუბილარის შემოქმედების მნიშვნელობის გაზვიადებას შეცდომაში შეჰყავს მკითხველი, ვნებს მასების იდეურ-ესთეტიკურ აღზრდას. აძგვარი მოვლენები მოწოდობს ზოგიერთი პერიოდული გამოცემის სარედაქციო კოლეგიათა შემფასებელი პოზიციის უპრინციპობას, მერყეობას. რედაქციათა ცალკეული ძუშავეების არასაკმარის კვალიფიკაციას. რესპუბლიკური, საოლქო და საქალაქო გაზეთების ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალების რედაქციები განსაკუთრებულ მომთხონელობას უნდა იჩენდნენ კრიტიკული სტატიების იდეურ-თეორიული დონისადმო, პრესაში გამოსასვლელად უნდა იზიდავდნენ ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის დარგის წამყვან სპეციალისტებს, შემოქმედებითი კავშირების მიერ რეკომენდირებულ ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხთა შტატგარეშე მიმომხილველებს.

საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს მიეთითა, რომ საჭიროა მიმდინარე შემოქმედებითი პროცესების ამსახველი ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის კრებულების გამოცემა და მათი გამოქვეყნების ვადების მკაცრად დაცვა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს ავალებს დღენიადგ სრულყოფი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა შემოქმედებითი კავშირების, საზოგადოებების, კულტურის დაწესებულებების, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებისადმი, მტერი ყურადღება დაუთმონ შემოქმედებითი ინტელიგენციის მუშაობას, რათა ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკა უფრო მკაფიოდ განსაზღვრავდეს თავის პოზიციებს რესპუბლიკაში მიმდინარე პოზიტიურ პროცესებში, უფრო აქტიურად აწარმოებდეს მუშაობას სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისა და გეოგრაფიკის ტრაქტატის მე-200 წლისთავის ღირსეული აღნიშვნისათვის, შეჰქონდეს საგარეობი წვლილი ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ განვითარებაში.



**თეატრ ჩხეიძე —
საქართველოს სსრ უმაღლესი
საბჭოს დეპუტატი**

ამასწინათ რესპუბლიკის სახალხო არტისტი, კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარი რეჟისორი თემურ ნოდარის ძე ჩხეიძე არჩეული იქნა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად (გეგმეკორის რაიონის სოფ. დიდი ჭყონის № 388 საარჩევნო ოლქი).

თ. ჩხეიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩევა კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ როგორ ზრუნავს რესპუბლიკის კომპარტია შემოქმედებით ინტელიგენციაზე და როდენი სახალხო აღიარება მოიპოვა თ. ჩხეიძის ხელოვნებამ.

**თეატრის მოღვაწენი —
თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატები**

როგორც ცნობილია, 1982 წლის 20 ივნისს ჩვენს რესპუბლიკაში დიდი აღმავლობით ჩატარდა სახალხო საბჭოების დეპუტატთა არჩევნები. ადგილობრივ საბჭოებში აირჩიეს ჩვენი საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები. მათს შორის თეატრის მოღვაწენი. თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატებად არჩეული არიან:

- გიგეჰკორი გიორგი ვლადიმერის ძე** — შ. რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობი, № 290 საარჩევნო ოლქი.
- გუგუშვილი ეთერ ნიკოლოზის ასული** — შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის რექტორი, № 310 საარჩევნო ოლქი.
- გურგენიძე თამარ აზნავთის ასული** — ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრის მსახიობი, № 227 საარჩევნო ოლქი.
- კრილოვა ლარისა დიმიტრის ასული** — ალ. გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობი, № 304 საარჩევნო ოლქი.
- ლორთქიფანიძე გრიგოლ დავითის ძე** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დამდგემელი რეჟისორი, № 143 საარჩევნო ოლქი.
- მირველოვი პავლე გრიგოლის ძე** — სტ. შაუშიანის სახელობის სომხური დრამის თეატრის დირექტორი, № 178 საარჩევნო ოლქი.
- ჩანტლაძე თენგიზ ვასილის ძე** — მინიატურების სახელმწიფო თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, № 150 საარჩევნო ოლქი.



ქუთაისის თეატრალური სემინარი

1982 წლის 21-24 მაისს საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმმა ქუთაისში ჩაატარა გამსვლელი სხდომა თემაზე: „ქუთაისის თეატრალური ცხოვრება“. ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას წინ უძღოდა მოსამზადებელი მუშაობა. თბილისიდან მივლინებული იქნენ საოპერო და ქორეოგრაფიული ხელოვნების წარმომადგენლები, რომლებმაც ნახეს ქუთაისში მოქმედი სამივე თეატრის სპექტაკლები, გაეცნენ მხატვრული კოლექტივების შემოქმედებითა და ორგანიზაციულ პრობლემებს, ჩაატარეს მეთოდური საუბრები, შეისწავლეს ხელისშემშლელი პირობები, საშუალება მისცეს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმს გამოიმუშაოს კონკრეტული რჩევა-დახმარების ღონისძიებები. 24 მაისს კი ქუთაისის „მსახიობის სახლი“ მოეწყო დისკუსიები, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ოთარ ევაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დიმიტრი მჭედლიძე, მუსიკისმცოდნე ანტონ ვულუკიძე, თეატრმცოდნეები ეთერ გალუსტოვა, ვაჟა ბრეგაძე, იამზე გვათუა, კოტე ნინიკაშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნონა გუნია, ბალეტმასტერი ბექარ მონავარდისაშვილი, ლ. მესხიშვილი. სახ. ქუთაისის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი იური კაკულია, ქუთაისის მე-5 საშუალო სკოლის მასწავლებელი ნინო პაპუაშვილი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე დიდიმ ჭეიშვილი.

სხდომა ქუთაისში ვრცელი მიმოხილვით გახსნა თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **ოთარ ევაძემ**, რომელმაც თქვა:

— ეს არის პირველი შემთხვევა თავისი მრავალწლიანი არსებობის მანძილზე, როცა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმში გასული სხდომას ატარებს ქალაქ ქუთაისში. ბუნებრივია, ამისი საშუალება მოგვცა იმან რომ საერთოდ, ჩვენს რესპუბლიკაში ძირფესვიანად შეიცვალა ფსიქოლოგიური კლიმატი. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე დიდი გულისყურითა და მომთხვენელობით ეყიდება ცენტრისა და პერიფერიის სულიერი ცხოვრების ამსაღება-გამრავალფეროვნების სადღეისო და სამერძისო ამოცანებს. დასამალი არაა, რომ ათიოდე წლის წინათ ძალზე ცვალებადი იყო ესთეტიკური კლიმატი ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა სფეროში, იზრდებოდა მორალური მრწამსის მეორეობა, შემოქმედებითი კოლექტივებისადმი სუბიექტივისტური დამოკიდებულება, მხატვრული ინტელიგენციის ერთი ჯგუფისადმი თავგადაყოლა, მეორესადმი — გულცივობა, ზოგჯერ იდეოლოგიურად უმწიფარი ნაწარმოების შექება, ხშირად კი პოლიტიკური და მხატვრულად ნოვატორული ქმნილებების ხელაღებით გაბიზარებუბა. ნაკლები ყურადღება ექცეოდა შემოქმედებითი ინტელიგენციის აზრისა და მოქმედების კონსოლიდაციას, ხელი ეწართებოდა თეოსტუქუნა ჩხიკვაძელობის ინსტიტუტს, მოჩვენებით საქმიანობას, გზა იძლეოდა გულარეინობას, ხელჩაქევის ცდუნებას. და თუ ამას დავუმატებთ ადამიანის ზნეობრივი სიწმინდის მომწამვლელ მატერიალური მომხვეჭელობის ფსიქიკის მოძალტვასაც, აშკარა გახდება რომ იმ წლების ნეგატიურ თუ ფლეგმატურ ცხოვრებას მხოლოდ იდეური და ორგანიზატორული რადიკალური ზომების გატარება უშველიდა.

მაგრამ, ნურავინ იფიქრებს რომ იმ საეალოლო, მთვლენიარე პერიოდშიც კი პროგრესულად მოაზროვნე და მოქმედი ადამიანების საღი გონება იბინდებოდა. პირიქით, სწორედ ასეთ მიმე გი-



თარეხაში შინაგან ძალებს იკრებდა, აგრეთვე და და არსობლივად გამოვლენის ფორმას ამზადებდა. შამინაძე იყენებ პიროვნებას, რომლებიც ფსიქოლოგიური თუ ესთეტიკური მიყურებამიყურების პერიოდშიც კი, ორგანიზატორული მიძინება-მთვლემარების ვითარებაშიც კი გათავკეცებული ენერჯითი ფიჭობდნენ და მოქმედებდნენ, რამაც პატივი დასდო საერთოდ ჩვენს ხალხს, რესპუბლიკას, ქართულ მწერლობასა და ხელოვნებას, პოლიტიკური აზროვნებისა და მოქმედების ყოველ შემწე ადამიანის სახელს.

სწორედ ასეთმა ობიექტურმა საფუძველმა მისცა საგანგაშო ხიშანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს, მის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, რომლის შორსმჭვრეტლობითაც მომზადდა და შეიქმნა ისტორიული დოკუმენტი საქართველოს დედაქალაქის, თბილისის პარტიული ორგანიზაციის პოლიტიკური და ორგანიზატორული კურსის რადიკალურად გარდასაქმნელად, იმ სერიოზული ამოცანების გადასაქრელად, რამაც მაშინ ბოლოდან ათიველ-მესამე ადგილზე მდოღავი ჩვენი ოესპუბლიკა, ახლა მოწინავე რესპუბლიკათა შორის, მესამე-მეოთხე ადგილზე ბტკიცედ დააყვიდრა. უკვე ეს ფაქტი იქცა შემოქმედებით წყაოდ, რომელიც სიამაყის გონივრით აღავსებს რესპუბლიკის მძრომელს, თითოეულ ქართველ შემოქმედს — მწერალს, მხატვარს, მუსიკოსს, არქიტექტორს, კინოსა და თეატრის დიდსა, თუ პატარა მოღვაწეს. აქ უკვე ადგილი აღარ აქვს მის გასაზღვრვას, ვის რა ძალისა თუ წონის მძალი წააძაუა სამშობლოს, რა ნიჭითა და ენერჯითი შექმნა ესა თუ ის ისტორიული ნაწარმოები. ხელოვნების შედეგურამ ქმნიან დიდნიც და პატარაინიც და ამითვე ფონდება თვით ნაწარმოების ღირებულება. მთავარია, თითოეულმა ნიჭმა და რიტმმა ისეთი უკუგება მოგვეცეს, რაც საერთო სულიერი სიმდიდრის ოქროს იზომებს ვაზრდის. ნიჭიერება მათემატიკური პარამეტრებით არ იზომება. მთავარია ადამიანმა საკუთარი ნიჭის მაქსიმუმი მისცეს საზოგადოებას, რას ვერჩით იმით, ვინც თავისი ლოკალური ნიჭის მაქსიმუმით გვეშვება, ვერჩოდეთ სწორედ იმით, ვინც ნიჭიერებით კენჭობს, ნიჭიერება და მოქმე-

დების დინამიკურობა ერთნაირი თილოგონიერებითა და კეთილმოხილუბით უნდა ვერთოთ სადაც არ უნდა იქნოს — რესპუბლიკის სატახტო ქალაქში, თუ პერიფერიაში, დიდად განვითარებულ საწარმოო უბანში, თუ მთიან სოფელში. მხოლოდ ამ საზომით გვენდა განვიხილოთ ქუთაისის თეატრალური ცხოვრება და გვეგროოდეს, რომ ასეთი მეთოდით სწორისა და მეცნიერულ, ობიექტურ და მზარდობის წამახალისებულ კვალში ჩავდგებით.

ასეთ კვალში კი ჩვენი პარტიის კურსის სისწორემ ჩავვაყენა. მეცნიერული ანალიზისა და პრაქტიკული ხორცშესხმის კურსმა, ინტელიგენციისადმი ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დამოკიდებულების კურსმა, რომელსაც მაღალი შეფასება მისცა თვით ლ. ი. ბრეჟნევმა. განა არ გვახსოვს მთავრულურფელი და აღფრთოვანების მომგერული სიტყვები — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სწორ ტონს მიაგნო მხატვრულ ინტელიგენციასთან დამოკიდებულებაში. აბა ვავიხსენოთ, — განა ოდესმე გსმენიათ ასეთი მოკლე და ორმა აზრის, ანალიზითა და შეფასებით მფენქადი სიტყვები, როგორც ამ რამდენიმე სტრიქონშია, ერთნაირად რომ ამოვლებს და ადიდებს როგორც ჩვენს რესპუბლიკას, ისე ხელმძღვანელობას, თითოეულ ხელოვანსა და მწერალს, ყველას, ვისაც შინადა დაუსაზავს კვლავაც განავრცონ პირიქისული გზით სვლა ადამიანის სულიერი და ესთეტიკური სიმდიდრის დასახვევებლად, კომუნისტური საზოგადოების მაღალი შეგნებით გამორჩეული მშენებლების მოსამრავლებლად.

დიახ, ჩვენ ყველანი გახარებულნი ვართ ასეთი კურსით და კიდევ იმით, რაც ერთხელ, ათიოდე წლის წინათ მეც მოვიმძინე თვით ე. ა. შევარდნაძის ნათქვამი: „მეუბნებთან დაივყო ჩემი მძიმე მუშაობა მხატვრული ინტელიგენციის ხელმძღვანელების შეცვლით. არა, მე არ დავიწყებ ამით“. განა არ ნიშნავს ეს იმას, რომ რესპუბლიკის პარტიულ ხელმძღვანელობა ეხდობოდა და ეხდობა მხატვრულ ინტელიგენციას, დროს აძლევს მოსაფიქრებლად და სჯერა, რომ თვით დრო დაანახვებს სწორად მონახონ პროფესიული და იდეური პოზიციები, მაქსიმალურად მოიზიდონ საკუ-



თარი ძალები შემოქმედებითი ატმოსფეროს გასამტკიცებლად, მხატვრული პოტენციალის ასამაღლებლად საერთო საბჭოთაო კულტურის წინსვლაში. ასეთი დასმოკიდებულება იმასაც გვახვედრებს, რომ დრო რაციონალურად გამოვიყენოთ. ხელოვნებას თვლემა არ უყვარს ისევე, როგორც სძულს ობივაციულობაც, ვერ ითმენს აზოლიტიკურობას. მაგრამ, რაკი ეს გვესმის, მამასადამე, საჭიროა ასეთი მიგზებინ არა მარტო დანახვა, არამედ მოპოვებაც, სიძნელეთა გადალახვა, წარმატებების დახვევა.

თუ ესეც შეგნებული გვაქვს, მაშინ ისღა დაგვრჩენია, რომ ჩვეულებრივად კი აღარ ვიმოქმედოთ, ორდინალურად კი აღარ ვიღვაწოთ, არამედ არაჩვეულებრივად, არაჩვეულებრივით მიახლოვებულად მაინც, მთელი ჩვენი მხატვრული გარჯა დავამყაროთ გაბედულ ექსპერიმენტებზე, რეალურ ნოვატორობაზე, როგორც ეს უკვე განახორციელეს საოფლის მეურნეობისა, თუ მრეწველობის მოღვაწე ადამიანებმა, მთელმა რიგმა რაიონებმა, ქალაქებმა, თუნდაც აბაშელმა და მახარაძელმა მშრომელებმა, მათმა თავაკეცებმა.

ნოვატორობა დაამტკიცა რუსთაველის თეატრის ნიჭიერმა კოლექტივმა, მისმა მთავარმა რეჟისორმა რობერტ სტურუამ, ეს დაამტკიცა ისეთი ნოვატორული და პარტიული ფილმის შემქმნელმა კოლექტივმა, როგორც არის „რაიკომის მდივანი“ რეჟისორი ჩხეიძემ რომ შთაბერა სული, ეს დაამტკიცა მერაბ ბერძენიშვილის გრანდიოზულმა

მონუმენტურმა მემორიალმა ქალაქ ქუთაისის გარდა მთელი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში და განა მარტო ჩვენი რესპუბლიკის. ეს დაადასტურო შოთანიშვიანის ქეშმარიტმა ლექსმაც — „კომუნისტი“, ნოდარ დუმბაძის „მარადისობის ყანონმა“, თვით ისეთმა დიდებულმა დღესასწაულმა, როგორც არის „თბილისობა“, როცა 15 საუკუნოვან საქართველოს დედაქალაქს საკუთარ დაბადების დღეს არავინ არ უხდიდა ამ ბოლო სამიოდე წლამდე.

მაგრამ, ყოველივე ამან თვალი არ უნდა დაგვახუჭვიხოს იმაზეც, რასაც ყოველდღე გულისტკივილით ვხედავთ, მაგრამ დღემდე ვერაფრით შეგვევლებივართ. შედეგელობაში მაქვს ოესპუბლიკის პერიფერიული თეატრების მდგომარეობა, რომელზედაც მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მსჯავრი გამოიტანა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გასული წლის 28 ივლისს. მე შედეგელობაში მაქვს თბილისის საოპერო თეატრისა და, მამასადამე, მასზე ბევრად დამოკიდებული ქუთაისის საოპერო თეატრის საეალალო მდგომარეობაც. არას უშველის საქმეს, თუ ვიტყვით, რომ ამ მხრივ ქუთაისში შედარებით უკეთ არის დაყვებული საქმე, ვიდრე თბილისში. ორ მმას შორის ერთის უკეთესი მოძახილი მშვენიერ სიმღერას როდი შექმნის. თქვენს საოპერო თეატრს სასწრაფო შეველა სჭირდება და პირველყოფლისა საკუთარი ძალებით. მაგრამ ვინც შეველას ითხოვს, მას ხმის გაწვედნის

სურს ქუთაისის ლ. მესხიშვილის საბ. თეატრის სპექტაკლიდან „სურათები იმერეთის ცხოვრებიდან“





უხაროც უნდა შესწავლეს. განა ერთხელ მაინც პრინციპულად დაგიყენებით თეატრს, ან თქვენს ხელმძღვანელებს ის საკითხები, რაც ესოდენ გიჭირთ, განა ერთხელ მაინც გიზრუნიათ, რომ ათიათასობით წყალტუბოში ჩამოსული დამსვენებლები ორგანიზებულად მოიზიდოთ ქუთაისის საოპერო და საბალეტო სპექტაკლების სანახავად? განა არ გრძნობთ, რომ ქუთაისს უფრო შეუძლია მეტი საბჭოთა ადამიანის სმენა და მხერა მოხიბლოს ქართული საოპერო და საბალეტო სპექტაკლი ვიდრე თვით თბილისს, რაკი თქვენს უფრო მეტი მრავლი გიღვიათ, ვიდრე ჩვენს. რატომ ვერ მოაგვარეთ დღემდე წყალტუბოდან ქუთაისში დამსვენებლების რიტმული განრიგით ჩამოყვანა? ვიცი, იტყვიან, ავტოტრანსპორტი არ გაგვაჩნიათ. ასე ყოველგვარი უმოქმედობის გამართლება შეიძლება, მაგრამ, ამით ხელოვნებას ემეფება?

ან, რა ვახდამ ისეთი, რომ ათიოდე ბალეტის მოცეკვევე ვერ მოგიწვევიათ მოსკოვის, ლენინგრადის, ვანსაკუთრებით კი პეტროვის ქორეოგრაფიული სტუდიის კურსდამთავრებულთაგან. ეს მცირე ჯგუფიც საკმარისი აღმოჩნდება იმისათვის, რომ წელში გამართოთ ქართული ბალეტი. ქუთაისში, დღემდე მთავარი ბალეტმეისტერი არ გიპოვიათ, მთავარი რეჟისორი არ მოგიძებნიათ.

დღეს მხოლოდ მადლობა გეტქმით, რომ ექვსი მოცეკვევით ვაჟა აზარამვილის ბალეტი „ხევისბერი“ წარმოადგინეთ. ეს თქვენი დიდი გამაჯვებებაა. ეს იმის მაუწყებელია, რომ ამ თეატრში ენერგიული მსახიობები არიან, ხელმძღვანელებიც ხალისიანი გყავთ. უამისოდ ასეთ დიდ ბალეტს როგორ დადგამდით. მაგრამ, სწორედ იმიტომ, რომ შეგიძლიათ, უფრო მეტი უნდა გააკეთოთ, რათა დღემდე გაუქვთებელიც წარმოაჩინოთ. ამას ჰქვია თოსნობა, ინიციატივა, ვაბეღელება, შემართება. უნდა მოითხოვოთ არა მარტო საბალეტო დასის გაძლიერება ახალი მოცეკვევების შემომატებით, არამედ, ამასთან ერთად თბილისის საბალეტო დასში სანახევროდ უმოქმედო მოცეკვევების მოკონინებებიც. თქვენ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ფილიალი ხართ და უნდა გქონდეთ იმისი რწმუნება, რომ მოიძახუროთ ცენტრის საბალეტო ძალებიც, ისევე, როგორც

თბილისი იმსახურებს ქუთაისის საბალეტო ძალებს. თქვენ კარგად უნდა იცნობთ, რომ თბილისსაც ენახებოთ, მაგრამ უნდა მოითხოვოთ თბილისის ბალეტის სამმკროც კლასიკური ჟანრის მოცეკვავეებით. თბილისში უქმალ დგომასა და ქორეოგრაფიული დისკალიბრიების ატმოსფეროში ყოფნას ქუთაისში პუნტუზე ტრიალი სჯობს. რაკი ასეა, გამოიყენეთ თქვენი უფლება, აიყვანეთ თქვენი ბალეტი იმ დონემდე, რომ უკვე გაისს მაინც შესძლოთ საგასტროლოდ გასვლა საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში, სადაც დიდის სიხარულით მიგიღებენ.

დღეს საბჭოთა კავშირში მხოლოდ 48 საოპერო თეატრია. აქედან საქართველოში — ორი, აბა, დაგიტვალთ, რამდენი ქალაქია ჩვენს დიდ სამშობლოში, რომელთაც ოპერისა და ბალეტის თეატრი არ ვაჩნია? გჯეროდეთ, ყველა სიხარულით მივღებთ. თქვენი საოპერო და საბალეტო გასტროლები შემოქმედებით წარმატებებსაც ვარჯუნებთ. დროა ემზადოთ საამისოდ. გულის ვესაუბრე ლენინსკანის ქალაქომის მდივანს, წყალტუბოდან ქუთაისში ბალეტ „ხევისბერის“ სანახავად სპეციალურად ჩამოსულ სტუმარს, რომელმაც თავად გამოთქვა სურვილი მოაწყოს თქვენი თეატრის გასტროლები ლენინსკანში. ასეთი მსურველი სხვაც ბევრი გამოჩნდება. საჭიროა თქვენს ხელმძღვანელებშიც გაჩნდეს საგასტროლოდ გასვლის სურვილი. მაშინ ხალისიც გაგეზრდებათ და შემოქმედებითი სტიმულიც მოგეცემათ, მსახიობები გაიხარებთ, თეატრი კი წელში გაიმართება.

ახლა ამოცანა ისიც არის, რომ ქუთაისის საოპერო თეატრმა განავრძოს კარგი ტრადიცია ახალი ქართული ოპერების დასადგმელად. სწორედ ქუთაისში უნდა მისცეს მავალითი ამ მხრივაც ზ. ფალოაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექციის.

საიამოვნებით ვისვენებთ ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის დრამატული თეატრის მიწვევებს, მოსკოვში ბრწყინვალედ ჩატარებულ გასტროლებს, ხუთი თვე გავიდა, რაც ქუთაისის თეატრის ყოფილი მთავარი რეჟისორი გოგი ქავთარაძე სოხუმის ქართულ თეატრში გადავიდა სამუშაოდ და უკვე მოასწრო



სამი სპექტაკლის გამოშვება. თქვენთან ახლა მხატვრული ხელმძღვანელია ნიკიტური რეჟისორი იური კაკულია, მაგრამ ჯერაც არ შესრულვია მუშაობას.

საკითხავია, რატომ? როდემდის? ამაზეც გვინდა ვილაპარაკოთ დღევანდელ დისპუტზე და იმედი გვაქვს იური კაკულია პირველი აიღებს სიტყვას.

სავალალო მდგომარეობაშია ქუთაისის თოჯინების კარგი თეატრი ცულზე უცუდესი შენობის მხრივ. თქვენი ბედით, რომ ვახუთ „პრაედას“, „კროკოდოლის“ ან „პრონერსკაია პრაედას“ კორესპონდენტმა არ შემოაღო ამ უფანჯრო, ყოფილი ღვინის წესტიანი სარდაფის კარი, თორემ დარწმუნებული ბრძანდებოდით სანტიდასადგურის მუშაკების აქტის საფუძველზე დალუქავდნენ ასეთ თეატრალურ მარანს. რა თქმა უნდა, თეატრის დირექციამაც უხდა იხრუნოს შენობის მისაღებად. ქუთაისის ასეთი ბნელი, წესტიანი და დაზოზილი შენობა არ შეფერის და თუ ქალაქის აღმასკომის ხელმძღვანელის მღელვარე განცდებს დავეყრდნობით, ალბათ, მალე შეიცვლება თოჯინების თეატრის მასურებლის ბედიც, რომელთა მდგომარეობაში ერთ დროს თავადაც იყვნენ, როცა ისინიც დაჰყავდათ საკუთარ მშობლებს სწორედ ამავე უპაერო-უფანჯრო თეატრში.

ახლა კი ჩვენ მშობლებიცა ვართ და შევიღებიც, ამიტომ უხდა გამოვიდეთ დღევანდელ განხილვაზე და გულანდილად ვილაპარაკოთ იმაზე, რაც ხელს გვიშლის, ან რის გაცემაზეც დღეს-დღეობით პრაქტიკულად შეიძლება, ვილაპარაკოთ სამომავლოზეც. მთავარია გავვიჩინდეს საღი წარმოდგენა ხელოვნების აღმზარდებლობით როლზე და მაშინ თითოეული ჩვენგანი სწორად შევასრულებთ საკუთარ როლს.


ნება მიბოძეთ სიტყვა მივიცე ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დაარსების იდეის მოთავესა და მის პირველ დირექტორს, საქართველოს სახალხო არტისტს, ამჟამად თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორს, საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტის წევრს დიმიტრი მქედლიძეს.

დიმიტრი მქედლიძე: გულისტკივლით მინდა აღვნიშნო და ბოდიში მოვიხალო, რომ არ ვყოფილვარ დრამისა და თოჯინების თეატრში, ამიტომ მხო-

ლოდ საოპერო თეატრზე ვილაპარაკებ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ მიყვარს თეატრი. არ ვფასებ მათ. ამიტომ უნდა ვილაპარაკო მხოლოდ საოპერო თეატრზე. როდესაც დაეწყო ქუთაისში ოპერის თეატრის დაარსებაზე ზრუნვა, ვერავინ იფიქრებდა, რომ დავდგამდი ახალ ბალეტს, გუშინ ვნახდა ახალი ქართული ბალეტი და ეკვიც კი შეგვეპარა სხვა მსახიობები ხომ არ თამაშობენო. ნუთუ ეს ამ თეატრის მსახიობებია და ამის გაცემა შეუძლიათ?! „ხევისბურის“ დირიჟორი შესანიშნავი დირიჟორია, რომელსაც ჩინებულად მოუშხადებია სპექტაკლი. გუნდი აქ ყოველთვის იყო შესანიშნავი. მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო: დასი დაკომპლექტებულია ჩინებულად. ქუთაისში ექვსი მოცეკვავეთ ისეთი სრულყოფილი ბალეტი დადგეს, რომლის მსგავ-




სცენა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ქუთაისის ფილიალის სპექტაკლიდან „ტოსკა“



სი თბილისშიც გაუჭირდებათ. კომპოზიტორი ვაჟა აზარამვილი შესანიშნავი მუსიკოსია. ბევრი აქვს გაკეთებული. ქუთაისის თეატრის საბალეტო სპექტაკლმა ძალიან დიდი შთაბეჭდილება დატოვა. მამასადამე, აზარამვილის ტალანტის გამოჩენას ძალიან კარგი შედეგი მოჰყვა. ჩვენ მაღლობა უნდა ვუთხრათ იმ მოცეკვაეებს, რომლებიც ამ ბალეტში მოხაწილებიან. მე ვთხოვე ბატონ გივის, რომ მოეცა ჩემთვის ზოგიერთი ცნობა და ძალიან საინტერესო სურათი დაიხატა, თბილისის ოპერის თეატრი ვალდებულია ემსახუროს ქუთაისის ოპერის თეატრს. განსაკუთრებით იმიტომ, რომ მისი ფილიალია. იგი ვალდებულია და შეუძლია კიდევ პრაქტიკულად დაეხმაროს ამ თეატრს, ხოლო როცა ვლადპარაკობი მაყურებლის თეატრში მოხიდვებზე, ვერ ვიტყვი, რომ ჭეშოვანი ყურადღებას ვაქცევთ ამ საკითხს. ბავშვები თეატრში უხდა მოვიყვანოთ მასწავლებლებსა და მშობლების თანხლებით, ძეგანით, შევავსოთ და მერე იმდენად დანტერებდებიან, რომ თვითონ გამოიპარებიან კიდევ და მოვლენ თეატრში ისე, როგორც ამას ჩვენ ჩავდიოდით მათ ასაკში. ამით თანდათანობით მძაფრებელი გაიზრდება. ბავშვი რომ „აბესალომ და ეთერის“ ნახავს, ქალს შეურაცხყოფას არ მიაყენებს. ეს უნდა შეიგნოს მშობლებმა, მასწავლებლებმა. არ გვყავს ბალეტმეისტერი, დამდგმელი რეჟისორი, მხატვარი და სხვა ძალიან საჭირო ხალხი, რომლებმაც უნდა წარმართონ შემოქმედებითი ცხოვრება ოპერის თეატრისა. ქუთაისში აკაკი წერეთელი ცხოვრობდა, აქ ცხოვრობდნენ ვალაკტონი, კოტე ბესხი, ლადო მესხიშვილი, კოტე მარჯანიშვილი და არ ვახდა ასეთი, რომ ვერაფრით ვერ დაეკავებოთ ოპერებში კაცი. მე ვერ დავაასულებ კაცს, რომელსაც ქუთაისში მუშაობით რაიმე დაკლებოდეს. გუმიხდელი სპექტაკლის ახსამბლსი ორ მოძღვრალს გამოვყოფ და ქუთაისის მაყურებელი უხდა ცდილობდნენ ასეთი მოძღვრებები თავისი მხარდაჭერით დაამკროს თეატრში. გუშინ და გუმიხური მავალითად, არავინ იყო თეატრში, შემდეგ მოვიდა რუსი მაყურებელი. მე ყურადღებას ვაქცევდი, ხომ არ გაიქცეოდა იგი, რადგან „ტრუბადური“ მოსაწყენია მოსასმენად. ვფიქრობდი, მაგრამ ბოლომდე ერთი კაცი

არ წასულა. ეს თეატრის დიდი გამოცემაა. მე ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რომ ჩამოვედი, დიდი სახარისო ნახავს ეს თეატრი. და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი: აქ არის შესანიშნავი, იმედის მომცემი დასი.

ანტონ წულუკიძე: წელიწადიც არ გასულა მას შემდეგ, რაც საქართველოს თეატრალური საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ აქ გამართა შარშანდელი სეზონის შემთავამდელი დიდი კონფერენცია. ქუთაისის მესხიშვილის სახელობის თეატრის მოსკოვური გასტროლების წინ აქ გაიმართა სჯაბასი, რომელზეც ვვკონდა აზრთა მხუფრად გაცვლა-გამოცვლა. ამ ღონისძიებამ დადებითი როლი შეასრულა თეატრის მოსკოვში გამგზავრების წინ. დღეს არ გვაქვს საშუალება ამყად გილპარაკობთ იმ სპექტაკლებზე, რომელიც ამ თეატრში ახლა ვნახეთ, ისეთი დიდი წარმატების შემდეგ, რომელიც თეატრმა განიცადა მოსკოვის გასტროლების დროს. მესხიშვილის სახელობის თეატრში ამჟამად მზადდება ახალი სპექტაკლი, რომელსაც ახალი ხელმძღვანელი, საუკეთესო რეჟისორი ი. კაკულია დაგამს. ესაა კონსტანტინე ვამიასურდიას რომანის „მოთვარის მოტაკების“ მიხედვით შექმნილი პიესა და მჭერა, რომ კაკულიას დადგმით ეს პიესა ახალ გამარჯვებას მოგვიტანს. დრამატულ თეატრზე ამით ვამთავრებ საუბარს და გადავდივარ ოპერისა და ბალეტის თეატრზე. კომპოზიტორმა ვაჟა აზარამვილმა შექმნა ახალი ბალეტი და თავისთავად ის ფაქტი, რომ მან შექმნა ბალეტი, რომელიც ჩვენ პირველად ქუთაისში ვნახეთ, ძალზე სასიამოვნოა. თუმცა, ყველაზე მეტად გვადლეუებს ის ფაქტი, რომ ამ თეატრის საბალეტო დასი ზედმიწევნით სავალალო მდგომარეობაშია, მაგრამ რაც ვნახეთ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა მამინ, როდესაც თეატრს არ ჰყავს არც ბალეტმეისტერი და არც რეჟისორი, როგორ შესძლოს ასეთი კარგი სპექტაკლის შექმნა! მინდა აღვნიშნო, რომ ვაჟა აზარამვილი ერთ-ერთი გამოჩენილი, მრავალფეროვანი შემოქმედელია. ბალეტის სფეროში მან თავი გამოიჩინა, როგორც შესანიშნავმა სიმფონისტმა. ამავე დროს შექმნა ნამდვილი ქართული მუსიკა, რომელსაც ამ ბოლო წლებში გადავეჩვიეთ. ეს არის ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული მუსი-



კა, იგი ხასიათდება მელოდიურობით. მე მინდა ვეყავ მიველოცო ეს შესანიშნავი ნაწარმოები და ქუთაისის თეატრის ასეთი კომპოზიტორის მოსვლა თეატრში. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ სპექტაკლს, რომელიც შექმნა ბექარ მონაზარდისაშვილმა, რთაც მან დაამტკიცა, რომ კვლავაც არის პერსპექტივა ამ თეატრში. ქუთაისის ოპერის თეატრი საჭიროებს ზემდგომი ორგანოების მხარდაჭერასა და დახმარებას. ძალიან დიდი მუშაობა გაუწევია რეჟისორ ბურცილაძეს ამ წმინდა სიმღერითი პარტიტურის დამუშავების დროს. ის კარგი დონე, რომელიც ჩვენ ამ სპექტაკლში ვნახეთ, მიღწეულია ძალთა უაპროვისი დაძაბვის შედეგად და კვლავაც მოველით ახალ-ახალ წარმატებებს ამ კოლექტივისაგან.

ვაჟა ბრეგვაძე: ჩემი მდგომარეობა შედარებით ადვილია, რადგან უფროსმა კოლექტივმა თითქმის ამოწურეს სათქმელი და რაც მთავარია, კეთილშობილურნი შენიშვნებისა და მეგობრული ტონის საშუალებით მეგობრული განწყობილება შექმნეს.

მე შევეცდები ჩემი სუბიექტური დამოკიდებულება სპექტაკლებისადმი უკუღვებელვყო და მთლიანად ვერწმუნო მაყურებლის რეაქციას, მის თბილ, კეთილ და ზოგჯერ აღფრთოვანებულ სახეებს. ასეთი თანდგომა მაყურებლისა შესწიშვილის თეატრის სარეცენზიო სპექტაკლებისადმი ყურადსაღებია და რა უფლება გვაქვს საპირისპირო, დიამეტრალურად საწინააღმდეგე აზრის გამოთქმისა. მიუხედავად ამისა, ასეთი სურვილი, სამწუხაროდ იბადება.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თეატრის გადაწყვეტილება, რომ მან ჩვენი სახელმწიფოს შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი სპექტაკლისათვის აირჩია სომხური პიესა და მის განსახორციელებლად მოიწვია დამდგმელი გვუფი მოძმე რესპუბლიკიდან.

სპექტაკლში შეიქმნა საინტერესო სახეები, მსახიობები ვატაცებით ასრულებენ როლებს, მათ შორის გამოირჩევიან თეატრის უფროსი თაობის წარმომადგენლები: მეგრელიშვილი, მიქიაშვილი, გვენცაძე და მათი ახალგაზრდა კოლეგა ჩიქოვანი. მე ვფიქრობ, როცა ჩატარდება ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი სპექტაკლების რესპუბლიკური დათვლოერიება, ამ სპექტაკლში მონაწილე მსახიობთაგან ერთ-

ერთი აუცილებლად საგანგებოდ აღიქმება. მე არ შემიძლია დიდიმელოდიურობის გრძობა არ გამოვთქვა თეატრის ტექნიკურ პერსონალსადმი, რომელმაც მოწვეული მხატვრის რთული ჩანაფიქრი ასე დახვეწილად და სრულყოფილად განახორციელა.


რაც შეეხება მეორე სპექტაკლს გ. ბაზოვის „მუნებმა ალაპარაკდნენ“, აქ ერთხელ კიდევ დავწმუნდით, თუ რაოდენ ძლიერ დრამატურგთან გვაქვს საქმი. პიესის დიალოგი ცხოვრებისეული სიმართლით, იუმორითა და ცინცხალი სიტყვითაა მაღლოსილი, დრომ ვერაფერი დააკლო ქეშმარიტი მწერლის ქმნილებას.

რეჟისორი გიგა ჯაფარიძე დრამატურგიული მასალისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას ამჟღავნებს. ემოჩიონება მას და მხოლოდ ინტერპრეტატორს როლში გვევლინება. თუ ამ პირობას ბოლომდე დავეთანხმებით, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ამოცანა, რომელსაც თავიდანვე ისახავდა რეჟისორი, საკვებით მიღწეულია.

სპექტაკლში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია შოთა პირველის მიერ შექმნილი სახე, რომელსაც ახლავს მკვეთრი გამომსახველობა, პორტრეტული სიცხადე, კოლორიტი, აკლია მხოლოდ დრამატული სიმძაფრე კულმინაციურ სცენაში.

თოჯინების თეატრი ცდილობს თავიანთ ნორმ მაყურებელს კეთილი სამსახური გაუწიოს, მაგრამ ის პირობები, რომელშიც მას უხდება საქმიანობა, ვერაფრითარ კრიტიკას ვერ უძლებს, შესანიშნავი ქალაქის, ამავე დროს თეატრალური ქალაქის შესვეურებმა უნდა იზრუნონ, ამ თეატრის ახალი შენობისათვის. ეს იქნება მათი ყველაზე დიდი საჩუქარი ბავშვებისათვის, ხოლო კარგი თოჯინების თეატრი ქალაქის ყველაზე მნიშვნელოვან ღირსებად მესახება.

ეთერ ვალუხტოვა: სსრკ შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი „ზარი ზემოდან“ და „მუნები ალაპარაკდნენ“ მოწვეული რეჟისორების ნამუშევარია. ვაცოლებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა სპექტაკლმა „ზარი ზემოდან“ თავისი პრაქტიკული, ორგანიზებულობით, საერთო ტონალობით. მართალია, ავტორმა ბოლომდე ვერ მიიყვანა კარგად ჩაფიქრებული დრამატურული სკლა, მაგრამ მიმზიდველია ძირითადი



აზრი ცხოვრებაში მთავარი როლის შე-
სახებ (გმირი პროფესიით მსახიობაა)
და რომ სიკეთისათვის ბრძოლაა სავი-
რო. დეკორაცია ფუნქციონალურია, მო-
კლებულია მხატვრობას, ხასიათები
და სიტუაციები მსაცნაურია და ამაში
დიდი წვლილი მიუძღვის აქტიურულ
ანსამბლს. მართალია, ყველა ერთნაირ
სიმართლით და ტაქტით არ განასახი-
ერებს თავის გმირს, მაგრამ წარმატებუ-
ლია სამეულის — მეგრელიშვილის, მი-
ქაიშვილის და გვენცაძის თამაშით. საკა-
მათაა მსახიობთა მრეტყველება — ზედ-
მეტად მიმანჩია ქალაქური კილო, ისევე
როგორც აქცენტები მეორე სექტაკლში
„მუნჯები ალაპარაკდნენ“.

ვერ ვაგვანარა 50 წლის წინათ დაწე-
რილი პიესის ახალმა დადგამმა, როგორც
რეჟისორული გააზრებით, ისე მხატვ-
რული გაფორმებით. რეჟისორმა ვერ
მონახა გზა დღევანდელიობასთან, ვაუ-
გებარია რამ განაპირობა პიესის დადგმა
და, საერთოდ, გაურკვეველია მისი
დღევანდელი მისამართები. სექტაკლი
ისეა დადგმული, თითქოს მსოფლიოში
არაფერი მომხდარა ნახევარი საუკუნის
მანძილზე. ეს დისტანცია არც მსახიო-
ბების თამაშში იკითხება. თუმცა, სცე-
ნაზე არაერთი ოსტატუ ვიხილეთ. ჟა-
ნრველეს ყოვლისა, შოთა პირველი,
კოლხიდელი, ჩიქოვანი. რაც შეეხება
თოჯინების თეატრის ნამუშევრებს, ჩვენ
ვხანებთ ორი დადგმა — „ორი ბოკვერი“
და „ზღაპარი მეფე მაიერზე“. პირველ
შედარებით მოხდენილი სექტაკლია,
რეჟისორის ხელი ატყვია, ლამაზი დე-
კორაციები და კარგი თოჯინები ახარებს
თვალს. მსახიობებიც ოსტატურად მუ-
შაობენ, განსაკუთრებით აღსანიშნავია
თ. ჭელიძე.

„ზღაპარი მეფე მაიერზე“ გააზრებუ-
ლია, როგორც სექტაკლი — თამაში,
ნორჩი მაყურებელთა აქტიური მონაწი-
ლეობით, მაგრამ სინამდვილეში სუბმუ-
რული, უხალისო და პრეტენზიული და-
დგმაა. არაა გამოკვეთილი სიუჟეტური
ხაზი, მოქმედ პირთა ურთიერთობები,
ცალკეულ ეპიზოდებს აკლია გათამა-
შება.


თოჯინების თეატრი ძალიან მძიმე პი-
რობებში მუშაობს და თუ არა შრო-
მისმოყვარეობა, კეთილსინდისიერება,
მეგობრული მხარდაჭერა, კოლექტივი
ასეთ სექტაკლებსაც ვერ გაანხორციე-
ლებდა.

ნონა გუნია: მე გამოვთქემა დიდ სი-
ხარულს და მიველოცე მუთათის სე-
ნორი თეატრის შემოქმედებით კო-
ლექტივს, რომ მათ სცენაზე დადგმულ-
მა თეატრალურ სექტაკლმა, გაამდიდრა
ქართული საბალეტო კლასიკა კიდევ
ერთი წარმატებით. თამამად შეიძლება
თქვას, რომ კომპოზიტორ ვ. ახარაშვი-
ლის ბალეტი „ხევისბერი“, რომლის
ქორეოგრაფიის და ლიბრეტოს ავტო-
რია ბალეტმეისტერი ბ. მონავარდისა-
შვილი, მწერლის მსოფლმხედველობის
და იდეური ჩანაფიქრის მხატვრული და-
მაჯერებლობით გადმოცემის თვალსაზ-
რისით იმ სექტაკლების რიგს მიეკუ-
თვნება, რომელთაც აღიარება მოიპოვეს
ლიტერატურული ნაწარმოებების ქო-
რეოგრაფიული ინტერპრეტაციის სფე-
როში.

ბალეტში შენარჩუნებულია ალ. ყაზ-
ბეგის გმირების ძლიერი ვნებათაღელ-
ვა, მათი გრძნობების სამყარო, ხასიათე-
ბის სიმკვეთრე, პირველქმნილი უშუა-
ლობა და წრფელი გაცდებობა.

ბალეტმეისტერმა მკაფიოდ გამოავ-
ლინა თავისი დამოკიდებულება ნაწარ-
მოების ძირითადი იდეის მიმართ, სახი-
ერად გამოკვეთა მწერლის აზრი და გაა-
ტარა თავის ქორეოგრაფიულ პარტიტუ-
რაში საბალეტო სექტაკლის სუბიდი-
კის გათვალისწინებით, ბალეტის გამომ-
სახველი ხერხების საშუალებებით. მან
გამოიყენა მოთხრობის ის სიტუაციები,
რომლებიც ემოციურ სტიმულს იძლე-
ვიან ცუცკის წარბისაშობად. რა თქმა
უნდა, ზნეობრივი მრწამსის სიმტიკის
და სამშობლოსადმი ერთგულების თემა
მოაქვს ხევისბერ გონას, მაგრამ ბალეტ-
მეისტერი აძლიერებს ამ თემის ზემო-
ქმედების ძალას ონისეს სახის ქორეოგ-
რაფიულ ინტერპრეტაციაში, მისი მო-
ნოლოვის პლასტიკური გააზრებით, რო-
მელშიც ბალეტმეისტერმა ონისეს და-
ნაშაულის ალიაზება და სინანულის
ლაღალის ისეთი ხატოვანი და გამომ-
სახველი მოძრაობები მოუწახა, რომ
ტრაგიკული კათარზისის ქლერადობას
ააწვდინა.

ნაწარმოების მიხედვით შვილის
მკვლევლობის შემდეგ ხევისბერი გონე-
ბიდან გადაცდება, ბალეტმეისტერი არ
სჯერდება ამ ფინალს და მიმართავს
სხვა ხერხს, შვილის მკვლევლობის და
ლატარების საინტერესოდ გადარწმუნო-
ლი ქორეოგრაფიული კომპოზიციის



შემდეგ, ბალეტმეისტერი ხევისბერის თვალწინ გაატარებს მხედრობას, როგორც ქვეყნის მომავლის, მისი ძლიერების სიმბოლოს, და ამით გვეუბნება, რომ ქვეყნის ღალატი დაუსჯელი არ უნდა დარჩეს. ამ მხრივ ასეთი გააზრება ჩვენს თანამედროვეობის იდეალსაც გამოხატავს. კარგადაა მოთქმებული ფინალის ბოლო წერტილიც — ხევისბერი მოიხსნის თავის მანტიას, მოკლულ შვილს გადააფარებს და გაეცლება, როგორც უკვე ვალმოხდილი ქვეყნის წინაშე.

ქორეოგრაფიული ენის მხრივ დამდგმელი ბალეტმეისტერი ეყრდნობა ქართული საბალეტო სკოლის ვ. ჰაბუკიანი-სულ ტრადიციებს, რომელზეც თვითონ აღიზარდა, როგორც მოცეკვავე მსახიობი. ამასთან ერთად მან გადაამუშავა თანამედროვე კლასიკურ ქორეოგრაფიაში დაგროვილი სახლეობი უფრო კოლორიტული ნიუანსების საშუალებებით. მე ხაზს გავეუსვამდი რამდენიმე სცენას, რომლებიც თრივინალორად და მისი საკუთარი ქორეოგრაფიული ხილოვითაა შექმნილი. ძიძისთან მეგობარი ქალების გამოთხოვების, ნიშნობის სცენა, „ჯვარული“, ონისეს მონოლოგი და ხევისბერის მიერ თნისეს მოკვლის სცენა. ბალეტმეისტერის ნამუშევარი ყურადღებას იმყრობს იმითაც, რომ ქორეოგრაფიული სახეები გახსნილია დრამატული სასკენო ხელოვნების კანონების დახმარებით, პარტიკიარებს ურთიერთმოკრის ფსიქოლოგიურად გამართლებული სწორი კონტაქტები აქვთ დამყარებულთ, რაც პლასტიკის ნიუანსებში ვლინდება. რა თქმა უნდა, შენიშვნებიც იბადება, მაგრამ მთავარია, რომ გამოვიდა ეროვნული სულით გამსჭვალული ბალეტი, კომპოზიტორის და ქორეოგრაფის ერთობლივი ნააზრვის შესანიშნავი შედეგი.

ვ. აზარაშვილის მუსიკა საორკესტრო ფერებით ძალიან უახლოვდება მთიელთა მკაცრ ბუნებას, მათი სასიმლოერო მელოსის ხასიათს, საცეკვაო ინტონაციებითაც უხვია. ორკესტრში შეყვანილია ბრწყინვალე ქორალები, რომლებიც აძლიერებენ მთელი რიგი სცენების შთამბეჭდავობას.

კოტე ნინიკაშვილი: თთხ დღეში ქუთაისის საოპერო და თოჯინების თეატრის რამდენიმე სპექტაკლი ვნახე. დავესწარი ახალი ბალეტის ვ. აზარაშვი-

ლის „ხევისბერის“ გასინჯვას. ახლა მხოლოდ ბალეტზე აღარაფერს მოგახსენებუდა, დღან თეატრის კოლექტივში ბალეტის მიღების დროს გამთავიქვი ჩემი აზრი. დღეს კი მოგახსენებთ იმაზე, რაც თვალში მომხედა და განმსაზღვრელია ქუთაისის თეატრალური ცხოვრების საერთო დონისა. მისასაღებებელია უმანგი იმერლიშვილის მოწვევა „ხევისბერის“ მხატვრად. მის მიერ ბალეტისათვის მშვენიერად მოძებნილი სცენური სამყარო მაღალპროფესიულთაა. ქუთაისში სცენოგრაფიის ასეთ დონეს შენარჩუნება უნდა. ამის საპირისპიროდ საოპერო და თოჯინების თეატრების ზოგიერთ სპექტაკლში დაეინახე რალაც უბადრუკი სცენოგრაფია, მართალია, თოჯინების თეატრს უვარგისი შენობაც უშლის ხელს, მაგრამ ხომ შეიძლება გემოვნებით შესრულდეს დეკორაციები. თოჯინების თეატრში მახინცი ცხოველებიც კი მათი ბუნებიდან გამომდინარე შეიძლება ლამაზად წარმოვადგინოთ და ეს თეატრიკული გავხალოთ, რადგან თოჯინების თეატრიდან იწყება ბავშვის თეატრის სამყაროში შესვლა. თქვენთან პრინციპსაც („ზღაპარი მევე მთიერზე“) კი გომხმეშოს მსგავსი თავი აბია, ხოლო ახალ სპექტაკლში „ტყუილი“ უცნაური ლურჯი და მწვანე ფერის წიწილები ტყის პეიზაჟის ფონზე უფერულად გამოიყურება. სამწუხაროდ, თოჯინების თეატრის რეპერტუარიც ძალიან ღარიბი მომჩვენება. არც პიესების თარგმანი დგას სათანადოდ სიმადლებზე.

აქ გამოითქვა აზრი თითქოს ვერდის ოპერა „ტრუბადლორი“ მოსაწყენი მოსასმენი იყოს. მრავალი თეატრის, მათ შორის „ლა სკალას“ შესრულებით მიზნავს „ტრუბადლორი“ და არცერთ სცენაში არ გამჩენია მოწყენის განწყობა. ქუთაისელთა „ტრუბადლორი“ კი ძალიან ცუდად დადგმულია. თუმცა, ამას გერც დაეგარქმევათ დადგმას. დარღვეულია ელემენტარული სცენური ლოგიკა, ვერდი მუსიკალურ დრამატურგიაში თვით ვკარნახობს მიზანსკენებს. ოდნავი ილუზიაც კი არ არის, რომ მანრიკო შორიდან მღერის არიოზოს და თანდათან უახლოვდება ლეონორას სასახლის ბაღს. ტერცეტის დროს ლეონორას, დი ლუნას და მანრიკოს შემსრულებლები იქვე კულსებიდან შემოდიან ავანსცენაზე და საკონცერტო ნომერივით მღერიან ამ ცნობილ სცენას. მეო-



თხე მოქმედებაში კი საპრობილის მი-
საღვომებთან ლეონორას შემოსვლა ის-
ეთ შთაბეჭდილებას სტრეებს, თითქოს
თვით გამოვიდა საპრობილიდან, მით
უფრო, რომ დი ლუნას მიერ შეპრობ-
ილი მანრიკოს ხმაც ამ მხრიდან ისმის.
საერთოდ, ქუთაისის საოპერო თეატრის
მომლორლებს შესანიშნავი ხმები აქვთ,
მაგრამ სოლისტიები მიეჩვივნენ უფრო
ფართოდ გამოაჩინონ თავიანთი ხმა,
ზედმეტი დაწოლით კი ხმის ტემბრს სი-
ლამაზე ეკარგება. მაგალითად, მშვენი-
ერი ლირიკული პარტიონი აქვს ლომ-
თაძეს (დი ლუნა), მაგრამ მომლორელი
ჯილილობს მეტი დრამატიზმი მიანიჭოს
ხმას, რითაც ქლერაობის სისუფთავე
ირღვევა. გმირულ-პეროიკული ტენო-
რის მქონე მითაიშვილს (მანრიკო) კი
უჭირს ლირიკულ სცენებში ხმის ელას-
ტიურობა. კარგი შთაბეჭდილება დატო-
ვა ახალგაზრდა სოპრანო მახლაძე-მი-
თაიშვილმა, რომლისთვისაც პირველი
ყოფილა ლეონორას ასეთი ურთულესი
პარტია. აღმოჩენა იყო ჩემთვის მშვე-
ნიერი დრამატული სოპრანოს ლ. ჯაფა-
რიძის გამოსვლა მეტო-სოპრანოს პარ-
ტიაში: მე მახსოვს მისი შესანიშნავი
ტოსკა. ვუშინ კი ვაგვაოცა ახუჩენას
პარტიაში.

რაც შეეხება ბალეტს, ნაყოფს არ მო-
გვეცემს ქუთაისელთა ექვსი სოლისტის
ანაბრა ყოფნა და ადგილობრივ ძალებ-
ში წამყვანი საბალეტო სოლისტების
დაბადების ლოდინი, არც მარტო გამო-
ცდილი პედაგოგების მიწვევა. ჩემის აზ-
რით, კარგი იქნება თბილისის საბალე-
ტო დასის პრემიერების მოწვევა არა სა-
გასტროლოდ, არამედ სპეციალურად
მათთვის სპექტაკლების შესაქმნელად.
კლასიკური საბალეტო პარტიები, ხომ
ოსიდაც მზად აქვთ მათ. რეპერტორის
შემწეობით თბილისშიც კი შეიძლება
ქუთაისისათვის საბალეტო სპექტაკლის
ვარიანტის მომზადება. რატომ არ შე-
იძლება ჩვენს ცნობილ მოცეკვაეებს:
ი. ჯანდიერს, მ. ალექსიძეს, ა. არაბელი-
ძეს, მ. მახარაძეს, ზ. ამონაშვილს, ვ. ჯუ-
ლუხაძეს, ნ. მაღალაშვილს გეგმაში
პქონდით ვათვალისწინებული თვეში
ერთხელ, თბილისის საოპერო თეატრის
სპექტაკლები „გედის ტბა“, „ფიხელი“,
„დონ კიხოტი“. დუბლი სპექტაკლების
მომზადებაც არის შესაძლებელი. ანა-
ლოგიურ დეკორაციებში, რომელიც

ქუთაისში მუდმივად ექნებათ თეატრის
მასშტაბიდან გამომდინარე, უნდა იქნა
რეკტივებით, თბილისის საბალეტო ჯგუ-
ფის სისტემატორი (10-15 შემთხვევა
იქნება ალბათ, სეზონში) ჩამოსვლა ქუ-
თაისში საბალეტო ხელოვნების დონეს
შექმნის. ტექნიკურად და ორგანიზაცი-
ულად ალბათ, ეს დიო სიძნელეებს გა-
მოიწვევს, მაგრამ დასმარება თუ გვინ-
და, ყოველადეტი უნდა ვილოთ. თან-
დათანობით, ნელ-ნელა ადგილობრივი
ძალებიც წამოიზრდება. დღესდღეობით
კი საჭიროა მოიძებნოს ქუთაისის თე-
ატრის მთავარი ბალეტმასტორი, რომ-
ელიც არსებულ კადრებს მინაც და-
ოსტატებს.

იამზე გაათუა: „მეფე მაიორზე“ ერ-
თი შენიშნა მაქვს — სპექტაკლის
სიუჟეტი, მასში მომხდარი ამბები ერ-
თნაირი სიცხადით გასაგებ არ არის მა-
ყურებლისათვის წარმოდგენის ამბთუიმ
მონაკვეთში. სპექტაკლის ტემპიც ჩაგარ-
ნილია. ამის საუკეთესო დასტურია პა-
რტია მაყურებლის რეაქცია სპექტაკლის
მსგლელობის დროს. დამდგმელი კო-
ლექტივისათვის ძნელი დასათგენი არაა,
თუ რომელი ეგზოტიები გააქვს მხედვე-
ლობაში. ვარდა ამისა, პიესის ტექსტიც
ხშირად გაუმართავი, კუდი ქართულით
ქლერს. ამას მნიშვნელოვანო ყურადღე-
ბა უნდა დაუთმოს თეატრმა. ამ თვალ-
საზრისით შეიძლება თუკეთესი მდგო-
მარობაა სპექტაკლში „ორი ბოცვერი“,
რომლის მხატვრული ვათორმედაც და
თვით თოჯინებიც ადვილი აღსაქმელია
მაყურებლისათვის და ამავე დროს საე-
ქტრალ მომხიბლოლოც. მსახიობებიც
კარგად ავლენენ პარტნიორის გრძობის
უნარს, რასაც თოჯინების თეატრში
იდაყვის გრძობას უწოდებენ.

ლ. მესხიშვილის სახ. დრამატულ
თეატრში ვიხილეთ ორი სპექტაკლი
„ზარი ზემოიან“ და „მუნჯები ალაპა-
რაქდინა“. სპექტაკლი „ზარი ზემოიან“
გამოირჩევა კარგი აქტიოროლი ანსამბ-
ლით. მსახიობები ხალისიანად, დამაჯ-
რებლად აცოცხლებენ სცენურ სახეებს.
მათგან მინაც გამოვყოფოთ სამი პენ-
სიონერის შემსრულებლებს, რომლებიც
ტონს აძლევენ მთელ სპექტაკლს და სა-
ინტორესოდ წარმართავენ მას. ასეთი
ანსამბლური სპექტაკლის შექმნა ყოთუ-
თი მთელი დამდგმელი ჯგუფის და
უწინარესად სომხეთის მოძმე რესპუბ-
ლიკიდან მოწვეული რეჟისორის კალანა




არ უნდა იყენენ? სუთი სპექტაკლი გავუშვი და კულტურის სამინისტროდან არცერთი კაცი არ ჩამოსულა. სანამ ეს ზღვარი არ მოისპობა, ჩვენ წინ ვერ წავალთ. სცენის იატაკი გაფუჭებულია, სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს. ორი წელია ვეხვეწები სათანადო ორგანოებს, მაგრამ დღემდე არაფერი ეშველა. გუშინ სწორედ ამის გამო ვადაუბრუნდა ფეხი მოცეკვავეს და ხეალ ზრემიერას ვეღარ გაიბეორებთ. მიმდინარე რეპერტუარში 35 დასახელების სპექტაკლი გვაქვს. აქედან 18 ქართულია. დამთავრებულია მუშაობა „სალამურაზე“. იენისის ბოლოს მხად იქნება „ლატავრა“. ვეგმები გვაქვს და თუ ცოტა დაგვეხმარებიან, ყველაფერს გავაკეთებთ. ბალეტისთვის აუცილებლად საჭიროა სამი ქალი და სამი კაცი, სულ ექვსი მოცეკვავე. რამდენი ხანია ამას ვითხოვთ, მაგრამ საკითხი დღემდე ვერ მოგვარდა. თუ ჩემს დღევანდელ ვამოსვლას გულწრფელ აღიარებდა ჩათვლით და დაგვეხმარებოდა, ჩვენ რაც გვეჩება, ყველაფერს გავაკეთებთ.

ნიკო პაპუაშვილი: დაახლოებით ექვსი წლის წინ ქუთაისში ძალიან კარგი ღონისძიება ჩატარდა. ეს იყო გამსვლელი სესია მასწავლებლებისათვის „სკოლა და თეატრი“. ჩვენთან იყვნენ თეატრმცოდნეები, გვექონდა გულანდილი საუბარი თეატრისა და სკოლის დამოკიდებულებაზე. მე, როგორც მასწავლებელმა, ბავშვებს უნდა ვაგზრნობინო მსახიობის ოსტატობა, შევავყვარო თეატრი, გავაცნო და დავაახლოვო თეატრი. ამიტომ, აუცილებელ და გადაუდებელ საქმედ მიმაჩნია ასეთი სხდომების ჩატარება. რათა უფრო მეტად დავახლოვო ბავშვები თეატრალურ სამყაროს. ჩვენი თხოვნა იქნება, თუ ეს შესაძლებელია, კვლავ ვაგრძელო და ტრადიციად იქცეს პედაგოგებთან ასეთი სემინარული მუშაობა.

დიდიმ ქვიშვილი: ჩვენი საოპერო თეატრი არის ფილიალი და თუ გინ უნდა აგოს პასუხი ამ თეატრის მუშაობაზე, ყველასათვის ნათელი და ვასაგები. ქალაქის ხელმძღვანელობას, როგორც არ უნდა მოინდომოს, არ ძალუქს მატერიალურად დეხმაროს ამ თეატრს, რადგან იგი კულტურის სამინისტროს უშუალო დაქვემდებარებას განეკუთვნება. როცა ვამბობთ, რომ ქუთაისის საოპერო თეატრს არ ჰყავს მთავარი ბალეტმეისტერი

და რეჟისორი, პასუხობენ არც თბილისის თეატრს ჰყავს მთავარი რეჟისორი, მაგრამ ეს ვასამართლებელი საბუთი როდია. თბილისის ოპერის თეატრის ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნოს, რომ იქაც და აქაც აუცილებლად ჰყავდეს რეჟისორებიცა და ბალეტმეისტერიც. სანამ ამას არ მივალწვეთ, სანამ არ დაეარწმუნებთ თბილისის ოპერის თეატრის ხელმძღვანელობას, რომ ქუთაისის ფილიალს მოეპყრას ისე, როგორც მის ძირითად თეატრს, მანამ ჩვენი ოპერის თეატრი ამ მდგომარეობიდან ვერ გამოვა. რაც შეეხება თოჯინების თეატრს, ყველას კარგად მოგეხსენებათ, თუ რაოდენ სავალალო მდგომარეობაშია მისი შენობა, აქ შეიძლება ბავშვი დაეავადყოფდეს კიდევ. მიუხედავად მრავალი მუდარისა, დღემდე ვერ მივალწვიეთ ქალაქის ხელმძღვანელობის პრაქტიკულ დანიტრირებას თოჯინების თეატრისათვის მუშაობის გამოსახავად. ქალაქის თეატრებში ცუდად დგას რეჟისორების საკითხი — ოპერის თეატრს საერთოდ არა ჰყავს რეჟისორი, მესხიშვილისა და თოჯინების თეატრებს ჰყავთ მხოლოდ მთავარი რეჟისორები და არც კი ზრუნავენ გვერდით იყოლონ მორიგი დამდგმელი რეჟისორი. ვუღახდილად რომ ვთქვათ, ისინი გაურბიან კიდევ თეატრში მეორე რეჟისორის შესვლას. ეს კი ამუხბრუჭებს თეატრის შემოქმედებით მუშაობას. შეუძლებელია სერიოზულ, პროფესიულ თეატრში ორი რეჟისორი მაინც არ იყოს მუდმივად. სწორად მეკითხებიან, დღევანდელ მესხიშვილის თეატრზე როდის იქნება თეატრის ახალი ხელმძღვანელის კაკულიას ახალი სპექტაკლი. მე ვფიქრობ რეჟისორს, რომელიც შუა სეზონში მოვიდა თეატრში სამუშაოდ, მისი შემოქმედებითი განწყობა ახალ ორგანიზებას საჭიროებს, ამის გარეშე პროფესიონალი რეჟისორის მუშაობა ჩემთვის წარმოუდგენელია, მაგრამ მე მაინც იმედს გამოვთქვამ რომ იური კაკულია მალე გადალახავს ამ ბარიერს და ვასამართლებს იმ იმედებს, რომელსაც მისგან ელის ქუთაისის მაცურებელი, ქალაქის თეატრალური საზოგადოებრიობა.

სხდომის მუშაობა შეიჯამა **ო. ევაძემ**



წარმასმებელი განსჯილობები

სამ დღეს გრძელდებოდა თბილისში სოხუმის ს. ჭანბას სახ. სახელმწიფო თეატრის გასტროლები. 7 მაისს კი საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გამართა დისპუტი, რომელზეც განიხილეს საგასტროლო სპექტაკლები. განხილვაზე მოვიდნენ მსახიობები, რეჟისორები, მწერლები და თეატრალური მოღვაწეები.

განხილვა შესავალი სიტყვით გახსნა თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ოთარ ევაძემ**. იგი ამბობს:

— დამთავრდა აფხაზეთის თეატრალური ხელოვნების დეკადა. განწყობა კარგია პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ აფხაზეთის კულტურის მოღვაწეებმა გაგვახარეს ახალი ბრწყინვალე დადგმებით, გვაჩვენეს ს. ჭანბას სახელობის აფხაზური თეატრის ახალგაზრდა თაობა, თავიანთი ჩამოსვლით დაამშვენეს ჩვენი რესპუბლიკის საყოველთაო ზეიმი, რომელიც გამოწვეულია თბილის-ქალაქის ლენინის ორდენით დაჯილდოების გამო.

როცა ხალხის ძველ კულტურაზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს თეატრალური კულტურა. აფხაზურ თეატრს შეუძლია იამაყოს თავისი ფესვებით, წარსულით, თეატრალური, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ფოლკლორით. აფხაზები ბრძნული აზროვნების, გაყვასური ტემპერამენტის, ყველაფერში ჯენტლმენური ბუნების უძველესი ხალხია. ქართველები თავიანთ საუკეთესო ნაწარმოებებში, ლექსებში მუდამ უმოხრდნენ აფხაზურ ზრდილობას. ეს ზრდილობა, თავაზიანობა, საზრიანობა იგრძნობა თქვენს სპექტაკლებში, თქვენს ღიმილში.

გვიხარია, რომ მაისის ჭირვეულ ამინდებში კარგი კლიმატი ჩამოვიტანეთ. დღეს ჩვენს რესპუბლიკაში ზნეობრივი

წორების გამაჯანსაღებელი, ძმური შეგობრობის კლიმატი დგას. ლ. ი. ბრეჟნევიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოსათვის ნიშანდობლივია მეგობრული, ძმური ენის გამოხატვა რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალი ერის ადამიანებთან, ამ ინტელიგენციის მიწვევებით პარტიის მიერ ხალხის წინაშე დასმული ამოცანების განხორციელება.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს პარტიული ორგანიზაციები და მთავრობა ძალ-ღონეს არ ზოგავენ იმისათვის, რომ ყველაფერი საუკეთესო, რაც 60 წლის განმავლობაში გავკეთდა, უფრო თვალნათლივ, ეფექტურად გამოჩნდეს და გამოჩნდეს აფხაზი ხალხის დახმარებითაც. ჩვენ მადლობელი ვართ აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციებისა, რომელიც თავდაუზოგავოდ შრომობს იმისათვის, რომ აფხაზეთშიც ისეთივე ჯანსაღი კლიმატი იყოს, ჩვენ მივგაჩნია, არც რესპუბლიკის ეს კლიმატი თავისი არსით საიუბილეო კლიმატია.


დაარწმუნებული ვარ, კლდეანდელი შეხვედრა საშუალებას მოგიცემს განვიხილოთ აფხაზეთის თეატრის სამივე სპექტაკლი, იმედი გვაქვს, რომ ეს განხილვა პრინციპული იქნება, თუმცა, ჩვენ თვალს ვერ დაეხუჯაეთ იმ დიდ წარმატებაზე, რაც თქვენი მაოლაბროფესიული, ემოციური თეატრის სპექტაკლებმა გამოიწვია. ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ უმთავრესად მიღწევებზე, რომლებიც შიშობილებით რეზერვებსაც წარმოაჩინეს, რეზერვებს, რომლებიც შესაძლოა, ჯერ თქვენს მიერაც არაა გაცნობიერებული.

შემდეგ ო. ევაძე სიტყვას აძლევს შ. რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტის რექტორს, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს ეთერ გუგუშვილს. იგი ამბობს:

— კოლექტივი, რომელზეც უნდა ვილაპარაკო, ჩემთვის არა მარტო კარგადაა ნაცნობი, არამედ მეტად საყვარელია და ახლობელიც. მე ამის თქმის უფლება მაქვს, რადგან იმ ინსტიტუტის წარმომადგენელი ვარ, თქვენი თეატრის არაერთი მსახიობი რომ აღზარდა.

ჩვენთვის ცნობილია აფხაზური თეატრის ბრწყინვალე მიღწევები. მან თავისი ხელოვნება უჩვენა მშობლიურ თბილისს, მოსკოვს, უკრაინას.

მასსოვს თქვენი თეატრის ისეთი



სპექტაკლები, როგორც იყო „შიშველი მეფე“, გულიას „ჩამოსული“ ეს იყო დახვეწილი, აღმაიანური სიბოთი სავსე სპექტაკლები. მასსოვს, როგორ იწყებდა შემოქმედებით ცხოვრებას ეთერ კოლონია გრიბოედოვის თეატრში. ეს შესანიშნავი გამოხვლა იყო რუსული სცენაზე აფხაზური თეატრის მომავალი მსახიობისა. რომ არ ყოფილიყო ეს საფუხური, ალბათ, მსახიობი რაღაც მნიშვნელოვანს დაკარგავდა.

მასსოვს, თქვენ თეატრის შესანიშნავი ტრადიციები, რომელსაც დღევანდელი დასი ვანაგრძობს და სიამაყით ვამბობ, რომ თეატრალურ ინსტიტუტს თავისი წვლილი შეაქვს აფხაზური თეატრის განვითარების საქმეში.

ხელონდელი დღე აფხაზურ თეატრს მეტად პერსპექტიული აქვს. თქვენ გყავთ შესანიშნავი დასი. მე ხაზგასმით ვამბობ — თქვენ საოცრად ნიჭიერი მსახიობები გყავთ. შესაძლოა, ყველა როლი არ იყო ნათამაშევი შესაფერ დონეზე, მაგრამ ხელოვნებაში ასეთი რამ ხდება.

მე მხედველობაში არა მყავს უფროსი თათბი — მათ თავიანთი საქმელი თქვენს. მე ვლაპარაკობ საშუალო თაობასა და ახალგაზრდობაზე. როგორც პედაგოგი, კარგად ვიცნობ მათს შესაძლებლობებს — სწორედ მათ მხრებზეა დღეს თეატრის მთელი სიმძიმე.

თეატრის რეპერტუარი იმის მაჩვენებელია თუ რით ცხოვრობს დღეს თეატრი. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას დრამატურგიაზე — ისაა თეატრის პოზიციის მაჩვენებელი.

ამას წინათ, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა ამხ. ე. შევარდნაძე, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მხატვარს, შემოქმედს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ჰქონდეს მოქალაქეობრივი, პარტიული პოზიცია, რომ ამის გარეშე არ არის ხელოვნება, მხატვარი, აქტიორი. თქვენი სავასტროლო რეპერტუარი სწორედ ამგვარი მოქალაქეობრივი, მკვეთრი პოზიციის მაჩვენებელია.

ჩვენ თემატურად და რეჟისორულად განსხვავებული სამი სპექტაკლი ვნახეთ. მათშივ გამოჩნდა თქვენი მსახიობების: ს. აფუმაძის, ს. საკახის, ე. კოლონისა, ტ. ბლაჟბას, თ. ჩინჩერის შემოქმედებითი სიმწიფე.

„წყაროს ხმა“ თანამედროვე თემაზეა.

არის მისში რეტროსპექტივეც, არის მოგონებებში დაძირვაც, ცუდი დღეები დელოზის წარსულის საშუალებით გამოქმედებისა.

დანაკაის სიტყვები (მსახიობი ა. აგრბა) „ვიტს სამშობლოს ძნელბედობისას მიიტოვებს, ბედნიერებს არ ელირსება“ — წამყვანი ხაზია სპექტაკლისა. სამშობლოს სიყვარული, მშობლიურის განცდა ხომ ყველა ერს აახლოვებს ერთმანეთთან, განსაზღვრავს მათს საქციელს საერთოდ.

სპექტაკლში კარგად ირწყმის სოციალური მოტივი გმირების პირად ცხოვრებას. ეს აქტიორებსა და რეჟისორს სცენური ვარიაციებისა და თანატოლის მდიდარ შესაძლებლობებს უქმნის. ვფიქრობ, სპექტაკლს მაინც აკლია ფსიქოლოგიური სიღრმე. პიესა წარსულისა და დღევანდლობის მონაცვლეობაზეა აგებული, ეს კი მსახიობებს როლის ხაზიდან აგდება.

კარგი მხატვარია ე. კოტლიბოროვი, მაგრამ სპექტაკლში ბევრი სტატული მინაწილანაა. ეს სპექტაკლი ზოგჯერ ოპერის თეატრს მაგონებს, სადაც გმირების მოქმედება გამიჯნულია მასისაგან.

ეს არის მთავარი ნაკლი სპექტაკლისა. თვითონ პიესაშიც არაა სახეები გამოხატული მკვეთრად, არაა განსაზღვრული ქანრი. ეს რეჟისორულ ნაშუქგვარსაც დაეტყო. მომავალში რეჟისორმა უნდა გაითვალისწინოს ეს საჩვენებელი, უფრო დახვეწილად შეუხამოს გამომსახველობითი საშუალებები, გამოიყენოს აქტიორული შესაძლებლობანი.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები ამუხრუჭებს სპექტაკლის რიტმს, მოქმედების განვითარების დინამიკას, თუმცა მსახიობებზე: რ. დბარი, გ. ტარბა, ა. აგრბა, ნ. კამკია, ლ. კასლძია, თ. ჩინჩერი თ. ო. ოლაგილავა დასამახსოვრებელ სახეებს ქმნიან. აი, ასეთია ჩემი აზრი თეატრისათვის ამ მეტად საჭირო სპექტაკლზე. მე, ალბათ, ვავიგოვრებ ჩემს სიტყვებს „სანამ ურემი გაღაბრუნდება“ დაწერილი რეცენზიიდან — ეს სპექტაკლი არის ნიმუში იმისა, რომ სხვადასხვა ეროვნული კულტურა, კერძოდ, ქართული და აფხაზური, თუ როგორ ამდიდრებს ერთიმეორეს. ამ პიესაში დასმული პრობლემები ერთნაირად აღელვებს ყველა ერის ადამიანს.

სპექტაკლში შარახ ფაჩალია და მი-

ნადორა ზუხბა ის ხერხემალია, რომელზეც იგივეა წარმოდგენის დრამატული და კომედიაური სიტუაციები. არ ვიცი ვინ გამოვეყო ამ სპექტაკლში — აქ ყველა თავის ადგილზეა, მაგრამ მაინც მინდა აღვნიშნო ეთერ კოლონიას გროტესკული გმირი, რომელსაც ლირიკული თემაც მოაქვს. შესანიშნავია ს. საკანია, კარგია რძლების შემსრულებელი მსახიობები.

ეს ჩამოყალიბებული, უნარულად ზუსტად გადაწყვეტილი სპექტაკლი, დეკორაციების მხრივ ერთობ მოუტყნელი, ძველმოდური და მოუხერხებელია.

თეატრი გაამდიდრა სპექტაკლმა „ალორძინება“. ახალი, ხალისიანი ჭავლი შეიტანა კოლექტივის მუშაობაში. ეს არის კარგი ვაგებობა თეატრალური პუბლიცისტიკა — ამაღლებული, მასშტაბური სპექტაკლი. მასში მშენებლობა სუბტიკავს, მუსიკალური თანხლებებში შორეული ომის გამოძახალი და ქვემეხების გრილიც ისმის. ეს მუსიკა ცოტათი ხმაურიანია და ხელს უშლის მსახიობების შინაგანი „ხმაურის“ მოსმენას.

კარგია, რომ არ იკარგება კარგად მიგნებული სახეები. თვითუღო მსახიობს ზუსტად ავებული თავისი ამოცანა აქვს.

ალიონა ერმოლოვს მდიდარი სცენური გამოცდილება გააჩნია. მან კარგად გაართვა თავი ავტორის როლს, დამაჯერებლად დაგვიხატა სახე ადამიანისა, რომელიც მეტად საპასუხისმგებლო პარტიულ დავალებას ასრულებს. სათანადო დონეზეა ნ. კამიას, ს. საკანიას, ავიძბას, ა. ავჯბას, ო. ჩინჩერის, ს. აგუმას, ვ. მაანის მიერ განსახიერებული გმირები.

მინდა ვამოვეო მუკბა. მას კარგი სცენური ვარჯიშობა და აქტიორული მონაცემები გააჩნია — იგი ახლებურად განისხა სპექტაკლში, დავახანა თავისი გმირის სულის თრთოლვა, მისი ვანცდებები; ეს ჩემთვის მეტად ძვირფასი და ფასეულია.

ე. კოლონიას როლი ისეა ავებული, რომ ხშირად ერწყმის მასს სცენაზე, თუმცა, ყოველთვის ივარძნობა, მუდამ მნიშვნელოვანია. მას დიდი პოტენციური შესაძლებლობები აქვს და კიდევ მრავალჯერ ვაგვახარებს.

სასიამოვნოა ორივე კოლონია, მართალია მას „მშრალი“ როლი აქვს, მაინც იქცევს ყურადღებას. კარგად გამოიყურება ჯობუა, თავშეკავებული და საინ-

ტერესოა სცენაზე ხაზმა, გიმნაზიკა, კომპანია, საბუა, ავიძბა, ლავგილავა.

საუბრის დასაწყისში შემთხვევით არ მიხსენებია ფსიქოლოგიზმის პრობლემა. დღეს მოღაშია თანამედროვე თეატრის ორ მიმართულებაზე ლაპარაკი. ერთის მხრივ ფსიქოლოგიურ და მეორე მხრივ პრობოით-მეტაფორულ მიმართულებაზე. ეს დაყოფა არ უნდა არსებობდეს თეატრის პრაქტიკაში. თეატრალური ხელოვნება პრობოით ხელოვნებაა და საქმე ისაა, როგორ გზით მიხვალ ამ პრობოითობამდე. არ არსებობს ზედპირული გზა სცენური შედეგისკენ. მსახიობი უნდა ცხოვრობდეს სცენაზე — ამას გვასწავლიდნენ ჩვენ სცენის კორიფეები. ფსიქოლოგიზმი სცენის მოქმედების შინაგანი ხაზია, მოვლენათა ლოგიკის, ამ მოვლენათა სიღრმის მიხედული ვაგებია. აი, აქეთ უნდა მისწრაფოდეს თეატრი.

თქვენ გაქვთ ტალანტი, მდიდარი შესაძლებლობანი, დიდი აქტიორული ძალები და სიტყვა „აიიარა“. ასე რომ „აიიარა“, ძვირფასო მეგობრებო!

ტრიბუნაზეა ანტონ წულუკიძე. იგი ავბობს:

— დღევანდელმა მომხსენებელმა კარგად შეაფასა აფხაზეთის ჭანბას სახელობის თეატრალური კოლექტივის დონე. ჩვენ არაერთხელ შევხვედრივართ ერთმანეთს, ვახსოვს თქვენი შესანიშნავი სპექტაკლები: „დონ-კარლოსი“, „მოჩვენებები“.

სრული ჰარმონიით წარსდგა ჩვენს წინაშე აფხაზეთი პიესა რევოლუციური ეპოქაზე და დიდ სოციალურ ძვრებზე, ვნახეთ ლ. ბრეჟნევის ნაწარმოების მაღალნიჭიერი ინსცენირება. მას ღირსეული წარმატება ხვდა წილად მოსკოვში, ვნახეთ იოსელიანის პიესის შესანიშნავი დადგმა — სრულიად ორგანული აფხაზეთი კოლორიტისათვის.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო „ალორძინების“ სიმფონიურობა, თანდათანობითი შატება შინაგანი ძაბვისა, რაც სათანადო დონეზე განსახიერეს აფხაზმა მსახიობებმა.

ო. იოსელიანის პიესაში დიდებულმა საღებავებმა, სახეებმა გამოაბრწყინეს. მინდა ვამოვეო შ. ფაჩალიასა და მ. ზუხბას დიდი სამსახიობო ოსტატობა, შ. ფაჩალიას თამაშში გამოქვანდა ავტორისეული დამოკიდებულება ნაწარ-

მოების იდეისადმი. მას და ეთ. კოლონიას კარგად მოაქვთ ეს იდეა სპექტაკლში. მასხოვს ე. კოლონიას დებიუტი ვიზიბოდროვის თეატრში. მისი ნიხო ჭავჭავაძე შემეწიერია სახე იყო. ამჯერად იგი სახასიათო მსახიობად მოგვევლინა, მკვეთრი სატირული ნიღბით. ეს მისი ნიჭის მრავალმხრივობაზე მეტყველებს.

გუმინდელი სპექტაკლის მსვლელობისას თქვენი წინანდელი გასტროლები გამახსენდა. გამახსენდა ს. აგუმაა ფრუ ალვინგის როლში. კვლავ მსურდა მეჩილა მისი ოსტატობა და ვნახე კიდევ.

მინდა ვთქვა იმ სრული ადამიანური ურთიერთგაგების ატმოსფეროზე, რაც თქვენი წარმოდგენების დროს სუფევდა დარბაზსა და მაყურებელს შორის.

და მარტო ჩემი სურვილი კი არა, ყველა აქ მყოფის სურვილია, ასეთივე კარგი სპექტაკლები გქონოდეთ მომავალშიც.

სიტყვას ამბობს თეატრალური კრიტიკოსი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი **ნათელა არველაძე:**

— ამ სამი საათის განმავლობაში, თითქოს ოცი წლით გავახალგაზრდავდით. ჩვენ გავისხენეთ თეატრალური ინსტიტუტი, სტუდენტობის წლები. შესვენებები და ჩვენი მსჯელობა თეატრის, ხელოვნების რაობაზე.

ამჯერად შევიკარბეთ, რათა პროფესიულ დონეზე ვიმსჯელოთ, თუ რა პრობლემები დგას დღეს თანამედროვე თეატრის წინაშე. თუ გადავხედავთ თანამედროვე აფხაზური, ქართული, რუსული თეატრების ისტორიას, როგორც მსოფლიო თეატრის შემადგენელ რგოლს, შეიძლება ითქვას: დღეს თეატრი თავისი არსებობის მნიშვნელოვან ეტაპს გადის. რეჟისორის თეატრი დღეს ისეთ დონეზეა, რომ სრულიად ახლებური ურთიერთობა იბადება მსახიობსა და რეჟისორს შორის. ჩნდება ერთგვარი შემოქმედებითი ტანდემი თეატრალური ხელოვნების ამ ორ კომპონენტს შორის. ძალიან ხშირად რეჟისორი „თრგუნავდა“ აქტიურულ გამარჯვებებს, სცენაზე ხშირად ჩნდება ადამიანი სქემა და არა ადამიანი, ამ სიტყვის სრულყოფილი გაგებით.

თანამედროვე სპექტაკლებში დიდ იშვიათობად იქცა ბრწყინვალე აქტიორული ინდივიდუალობა, მით უფრო მახარებს „სანამ ურემო გადაბრუნდება“,

სადაც არაერთი შესანიშნავი აქტიორული სახეა.

შ. ფაჩალიას თამაშში ჩვენი დროის გულუბრყვილო მოხუცი ჩნდება, ჩვენს წინაშეა უცნაური მოხუცი. მისი ჯანსი იგი კიხოტის გულუბრყვილო ჯანსა ჰგავს. უსაძლოა, მან არაფერი შეცვალოს ქვეყანაზე, მაგრამ იგი გმირია და ჩვენ ვგესმის ამ სიტყვის აზრი. მას სხვაგვარად ცხოვრება არ ძალუძს, და თუ ყოველი ადამიანი თავის სიმართლეს დაიცავს, სამყაროც სხვაგვარი, უკეთესი გახდება. თუმცა, მან თავისი ომი წააგო, მაინც გმირულად იცავს თავის პოზიციას და ეს თქვენი თეატრის მოქალაქეობრივი პოზიციია.

საწყენია, რომ „წყაროს ხმაში“ სასწაული დიდი აქტიორისა არ განმეორდა. ჩნდება ტყვილი იმის გამო, რომ რეჟისორმა და მსახიობმა ვერ გავარძნობინეს რისთვის არსებობენ სპექტაკლში. როცა სპექტაკლში ორ ასეთ ჩინებულ მსახიობს ათამაშებთ, სასურველია ზუსტად იყოს გადაწყვეტილი მათი ფუნქციები, რათა გამართლებული იყოს მათი არსებობა სცენაზე.

ახლა რეჟისორის თეატრის ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება, მათ იმდენად სრულად გამოხატეს თავიანთი სათქმელი მხატვრის, კომპოზიტორის მეშვეობით, რომ ჯერი ახლა აქტიორზე მიდგა. თქვენი მსახიობების დონე რეჟისორსა კარნახობს სპექტაკლს ს. აგუმას, ნ. კამკის, ალ. ერმოლოვის და სხვათათვის მიიტომ რომ დრო არ იცდის, მსახიობი კი ბერდება, მახარებს ის, რომ თეატრის მთავარი რეჟისორი ფიქრობს ამ საინტერესო კოლექტივის ახალ გზებზე.

კარგია ინტელექტუალური დრამის, პოლიტიკური სპექტაკლის დადგმა, რომელსაც მკვეთრი მოქალაქეობრივი პოზიცია ექნება სინამდვილისადმი, ამავე დროს ასახული იქნება ადამიანის სულისმიერი ცხოვრებაც, რამეთუ მხოლოდ ადამიანის ხასიათს, ნათელ ინდივიდუალობას ძალუძს შექმნას ჭეშმარიტი თეატრი. დამთავრდა თქვენი თეატრის ცხოვრების ერთი საინტერესო ეტაპი, მომავალში დიდ წარმატებებს გისურვებთ და მინდა იმ სიყვარულთან და სითბოთან ერთად ის მოუსვენრობაც, დაუკმაყოფილებლობის გრძნობაც გაეყვეთ ჩვენგან, რის გარეშე ხელოვნებაში სიცოცხლეს აზრი არა აქვს.

საქართველოს სსრ კულტურის მინისტ-



ტრი, ლენინური პრემიის ლაურეატი **თაბაქაძე შვილი:** მეგობრებო, კოლეგებო! აფხაზეთი ჩემი გულის ნაწილია, მიყვარს პატიოსანი, მშრომელი აფხაზი ხალხი, მათი სიმღერები, მშვენიერი აფხაზეთი, რამდენი სიხარული მიმიღია მისგან!

ახლაც მადლობელი ვარ მშვენიერ სპექტაკლებისათვის, მინდა მივეულოცო დირექციას, რეჟისორებს, აქტიორებს გასტროლებზე დიდი წარმატება.

მომავალში ვეცდებით თქვენი სრული რეპერტუარი ვხანოთ, თუმცა, ამ სპექტაკლებშიც ნათლად ჩანს აფხაზური თეატრის დღევანდელი დონე, ძლიერი თეატრალური კოლექტივის დიდი შესაძლებლობანი.

მინდა რამდენიმე, წმინდა შემოქმედლებით ხასიათის მოსაზრება გამოთქვა. თქვენი თეატრი საბჭოთა პოეზიის მაგალითს მაგონებს. დაღესტნელმა რ. გამხათოვმა და ყაზახმა დ. კუგულტინოვმა სრულიად ახალი სიტყვა თქვეს საბჭოთა პოეზიაში. ეს ძველიად გამოჩატული ეროვნული პოეტები ერთნაირად ეკუთვნიან თავის პატარა ერსა და მთელ მსოფლიოს.

თქვენი პატარა ერის თეატრალური კულტურაც ასევე მნიშვნელოვანია. მე თქვენს კოლექტივში დიდი ძალა ვიგრძენი. თქვენს მსახიობებს ხელეწიფებათ თამაშობს თანამედროვე, ყოფითი სპექტაკლები და ითამაშონ პოეტურად, ამოვლენულად. ეს განსაკუთრებულია ქართული თეატრისთვისაც ორგანულია!

ჩვენი კავშირი ურღვევია, იმიტომ, რომ ჩვენი კულტურა საუკუნეებს ითვლის და დღეს ერთიმეორის გვერდით ვითარდება. მე მსურს ვილაპარაკო თქვენი სპექტაკლების მუსიკალურ განოთხებაზე. „სანამ ურემი ვადამრუნდებაში“ გამოყენებულია ბალანჩინაძის და კვერნაძის მუსიკა, რაც სრულიად ბუნებრივი და გამართლებულია.

მაგრამ კომპოზიტორები გუშმა და ბერიკაშვილი სპექტაკლში „წყაროს ხმა“ მძალევენ რწმენას, რომ შესძლებენ შექმნან საოპერო ნაწარმოები. გავინსუნოთ თუნდაც ის სცენა, სადაც გუნდი მთავარი გმირის სიკვდილის გამო მოთქვამს. ეს შესანიშნავი ეპიზოდია. ამას უნდა ჩავეჭიდოთ, იგი მომავალი ხელოვნების მარცვალია, რადგან ეს მუსიკა ღრმად ეროვნულიცაა და ძლიერი

თანამედროვეც. ვერსად მოსმენ ასეთ დატირებას. სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან მეგრული დატირება და ოსური დატირება. ამგვარი, ჭეშმარიტად აფხაზური დატირება პირველად მოვისმინე. და ეს საუკეთესოა, მეტად ფასეულია. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც ვაქეთ ისეთი სიმღერები, რომლის მოსმენა წამებში გვიხატავს რაიმე მნიშვნელოვან ხატებას, სიმბოლოს. ეს თვის აფხაზი ერის აზროვნებაში ძეგს. „წყაროს ხმაში“ არის ძლიერი პოეტური ნაკადი, არის მოგონებანი, ეს შეიძლება მუსიკალურ ნაწარმოებად იქცეს.

მგონია, რომ თქვენ კარგად ითამაშებთ კლასიკას. ეს ნერვი ვიგრძენი ს. აგუმაას, შ. ფაჩალას, მ. ზუხბას და სხვათა თამაშში. შეიძლება კლასიკური ნაწარმოებების ახლებურად გახსნა, ახლებურად თამაში.

დიდი სიყვარულით მოგმართავთ, მოგილოცავთ წარმატებას და მჯერა თქვენს თეატრს აქვს ყველა პირობა, განვითარების დიდი შესაძლებლობები. თქვენი თეატრი რესპუბლიკის ცხოვრებას ეხმარება, წინ მიდის და მომავალი შეხვედრისას ალბათ, სრულიად ახლებურ, კვლავ განსაკვიფრებლად ეროვნულ ხელოვნებას შემოგვთავაზებთ.

სოხუმის აფხაზური თეატრის მთავარი რეჟისორი **დიმიტრი კორტავა.**

— თბილისში წამოსვლის წინ ვიცოდით, აქ კეთილი, ერთობ მომთხოვნი, და პირუთენელი მეგობრები დაგვხვდებოდნენ. დღეს, როცა ჩვენს ნაშუაგვრებზე თეატრალური ხელოვნების საუკეთესო მცოდნენი მსჯელობენ ამ დიდი აუდიტორიის წინაშე, კიდევ ერთხელ ვგრძნობთ იმ ზრუნვას, სიყვარულს, რასაც ქართული პროფესიული კრიტიკა იჩენს აფხაზური თეატრისადმი. გვიხარია, რომ ასეთი ფართო მსჯელობა დანიშნაურეს ჩვენმა სპექტაკლებმა. თუმცა, გასტროლები ხანმოკლე იყო, სპექტაკლებმა მაინც გამოამჟღავნეს ჩვენი შესაძლებლობანი, განსაკუთრებით მომავლის შესაძლებლობანი.

ნათელა არველაძემ კარგად თქვა: ჩვენ რაღა თქმა უნდა, გვიხარია ასეთი წარმატება, მაგრამ კიდევაც უნდა გვაფიქრებდეს იგი. არ უნდა დავკმაყოფილდეთ დღევანდელი მიღწევებით, თქვენც ხომ უფრო მკაცრად შეგვიძლია გემსჯელოთ ჩვენი სპექტაკლების ნაკლებზე.



ჩვენ ვიცით თბილისი, გვიყვარს ჩვენი აღმზრდელი პედაგოგები, რომლებიც ჩვენთან ერთად განიცდიდნენ გასტროლების აფ-კარგს, მათ წმინდა ადამიანური სურვილი ამოძრავებთ, რომ ეჩანდეთ უკეთესი, ვიდრე სისამდევლოში ვართ. ჩვენო ძვირფასო მეგობრებო, კოლეგებო, პედაგოგებო! ჩვენ აუცილებლად გავითვალისწინებთ გავაანალიზებთ თქვენს შენიშვნებს, გამოვიტანთ პრაქტიკულ დასკვნებს.

დასასრულს მინდა ვთქვა — თვითეულ კოლექტივს, ოსტატს, ბუნებრივია, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისებები გააჩნია, თავისებურად ძალუხს ახალი სამყარო გახსნას, ახალი ფურცელი ჩაწეროს თეატრალურ ხელოვნებაში.

ნება მომეცით დიდი მადლობა მოევასოთ ყველა მოღვაწეს, ყველა ორგანიზაციას, რომლებმაც სამუალებამოგვეცეს თბილისის დიდ თეატრალურ არენაზე მოგვესინჯა ჩვენი ძალები, გვეჩვენებინა ჩვენი ხელოვნება.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტთა აზიზ აგრაბა.

— ჩემო მეგობრებო! არ ვიცე, საიდან დავიწყე. ალბათ, იქიდან, რომ ჩვენ შევხვდით ქეშმარიტ მეგობრებს, ჩვენი ხელოვნების დამფასებლებს და დიდი შეება ვიგრძენით გასტროლების ასე დამთავრების გამო, რადგან ძალიან გულავდით.

მე მინდა ვთქვა ჩვენს რეპერტუარზე — იგი ერთობ მოქალაქეობრივია. აქ არის ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოების ინსცენირება, აქ არის ქართული პეესა. მაგრამ ჩვენს ეროვნულ სახეს, წარმოადგენს „წყაროს ხმა“. მე მიყვარს ეს სპექტაკლი. მისარია, რომ მალე თბილისის ტელევიზია გადაიღებს ამ სპექტაკლს და გადაღებამდე ვეცდებით ის შენიშვნები გავითვალისწინოთ, მისი მისამართით რაც ითქვა, მხოლოდ სარგებლობას მოგიტანს მომავალში.

ძალი ძმითა ხარ ძლიერი — ამბობს ხალხი. ჩვენი ურთიერთობა ასევე ძმური, მეგობრული ყოფილიყოს მომავალშიც.

აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ალექსი არგუნი.

— მე არ ვაპირებდი გამოსვლას, მაგრამ ასეთი ერთსულოვანი ქების შემდეგ მომიხდა მადლობის თქმა. აფხაზური ან-

დასა ამბობს: „მთავარია ოჯახი გცნოს, მეზობლები კი იძულებული იქნებიან გიცნონო“. რაკი თბილისში ასეთი წარმატება გვხვდა, სხვაგან იძულებული იქნებიან გავლიარონ.

მე მომხიბლა მომხსენებელთა კომპეტენტურობამ აფხაზური თეატრის ისტორიაში, მათ არა მარტო დღევანდელი, არამედ 30-40-იანი წლების აფხაზური თეატრის პრობლემებიც იცინ.

ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ უფრო ძლიერად, უფრო მტკიცედ უნდა მივაბიჯებდეთ წინ.

ო. თაქთაქიშვილმა აღნიშნა აფხაზური თეატრის მჭიდრო კავშირი ხალხურ მუსიკალურ კულტურასთან. მინდა დავუმატო — ეს კავშირი დიდი ხნის წინათ დაიწყო, დღესაც სახენვეა და მომავალშიც გავრძელდება.

პირველი ჩვენი სპექტაკლი სწორედ ხალხური სიმღერების სიუჟეტის მიხედვით შეიქმნა. ფოლკლორისა და დრამატურგიის ამგვარი კავშირი განსაზღვრავს ჩვენი თეატრის ეროვნულ სახეს. მგონია, ეს არა მარტო „წყაროს ხმაში“; სხვა სპექტაკლებშიც იგრძნობოდა. „აღორძინებაშიც“ არის ფოლკლორული ნიშნები. როცა უყურებ როგორ დააბიჯებს ქარხნის დირექტორი, მაშინვე აფხაზური ზღაპრის გმირები გახსენდება, მკვიდრად რომ დგანან მშობლიურ მიწაზე; „ურემშიც“ იყო აფხაზური მუსიკა.

სიტყვა, ფოლკლორი მთავარი ძარღვია ყველა ეროვნული თეატრისათვის.

შემდეგ ალ. არგუნი მადლობას უხდის განხილვაში მონაწილე ამხანაგებს გულისხმიერებისა და კეთილი სურვილებისათვის და საზოგადოებრიობას აღუთქვამს, რომ აფხაზური თეატრი კვლავაც იბრძოლებს, რათა სრულად ისახოს ხალხის ყოფა.

განხილვაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ნ. სერგეევამ და ნ. გეტაშვილმა, რომელთა წერილები დაიბეჭდა „თეატრალური მთაბის“ მე-3 ნომერში.

განხილვა შეაჯამა ო. ევაძემ.



მეგობრობის გზაზე თბილისში შიშვარც

ქართველ კაცს ძვალსა და რბილში აქვს გაძვლარი სტუმრის პატივისცემა. ამიტომაცაა საქვეყნოდ ცნობილი ქართული სტუმართმოყვარეობა. რაც წარმოუდგენელია მეგობრობის დიდი გრძნობისა და უდიდესი კაცთმოყვარეობის გარეშე. თვალდებულო და სამაგალითო მეგობრობის არაერთი ნიმუში იცის ქართულმა მწერლობამ. მეგობრობის ინტერნაციონალურ გრძნობას ჯერ კიდევ დიდი შთაა რუსთაველი უმღეროდა. „ვეფხისტყაოსნის“ გმირები ხომ სხვადასხვა ერის შვილები არიან, რომელთა ძმობა და მეგობრობა სანიმუშო გახდა მსოფლიო ლიტერატურისათვის, სხვადასხვა ერის შვილები არიან მ. ჯაფარიშვილის „არსენა მარაბდელის“ გმირები, რომლებიც ძმებად გაიფიცნენ და ერთი მიზნისათვის იბრძოდნენ. ვინ იცის კიდევ რამდენი მსგავსი მაგალითის მოტანა შეიძლება ჩვენს ერის წარსულიდან. მართლაც, ბნელად თუ მოიძებნება მეორე ისეთი მრავალეროვანი ქვეყანა, როგორც საქართველოა და რა გასაკვირია ამ ტრადიციებზე აღზრდილ კაცს უყვარდეს სტუმარი, მეგობარი, შეძლოს დაიძმობილოს სხვა ერის შვილი, შეაყვაროს თავისი მხარე და საკუთარ სამშობლოდ გაახდევინოს იგი. შესაძლოა, ქართველი საქართველოს გარეთაც ცხოვრობდეს, მაგრამ სამშობლოს სიყვარულის და მეგობრობის გრძნობა ისევე ძლიერად გააჩნდეს, როგორც საკუთარ მიწაზე. იქნებ მეტიც, იტყვიან ფერეიდნელი ქართველები, რომლებიც ავერ ოთხასი წელია შორეული სპარსეთის მოქალაქეებად ითვლებიან, მაგრამ ქართული არ დაეიწყებიათ, ლექსებს ქართული ენაზე, საქართველოზე წერენ.

მითუმეტეს, რაღა გასაკვირია ახერხები განში მცხოვრებ პატარა ინგლომებს, მაყებოდეთ, რომ ისინი შ. რუსთაველის სახ. სამუალო სკოლის მოსწავლეები არიან, რა გასაკვირია, რომ უხაროდეთ საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოზე ჩამოსვლა, შეგვედრა ქართველ, თუ საქართველოში მცხოვრებ ახერხიანელ თანატოლებთან, რათა ერთმანეთს გაეცნონ და გაეცნონ თავიანთი ხელოვნება. ეს ხომ მართლაც, მეგობრობის დღესასწაულია, ეს ხომ მართლაც, ინტერნაციონალიზმია.

ძლიერ ფეთქავდა პატარების გული, როცა მარტის იმ მზიან, გაზაფხულის დღეს, წითელი ავტობუსი ქართველ მსახიობთა სახლს მოადგა.

— დიდი მადლობა მოწვევისა და იმ დიდი სიხარულისთვის, რომელიც თქვენთან ჩამოსვლით მოგვანიჭეთ ჩვენ და ნორჩებს — შეხვედრისთანავე უთხრა საქართველოს თეატრალური საზოგადოების მესვეურთ კახის დელეგაციის ხელმძღვანელმა აღიბეგლოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ რამიკო მალუშაშვილმა, რომლის ორი შვილიც ინგილო ბავშვთა თვითმოქმედების „გარსკვლავები“ არიან, ხოლო ერთი მათგანი ლელა, სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის თეატრალური ინსტიტუტში აპირებს სწავლის გაგრძელებას.

ნორჩ მარნეულელებსაც მოუჩქართლათ თბილისისაკენ და არც დაუგვიანიათ — მხოლოდ დღითვე ერთმანეთით აავსეს მსახიობის სახლის ეზო-დარბაზი. ნორჩების სიხარული უფროსებსაც გადასდებოდათ და აბა, რა გასაკვირია, რომ მარნეულის რაიონის პარტიის რაიკომის პირველ მდივანს როდენ მემარაშიშვილს, მეორე მდივანს ბახიშ კალაევს, მესამე მდივანს ივანე თოფურიძეს, აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ზინიდა იმანოვს, კომკავშირის რაიკომის მდივანს თემურ ჩიქოვანს, ადგილობრივი ვაზეთის რედაქტორს ზაურ გომართელს, კულტურის განყოფილების გამგეს ვასან ვანიევს, განათლების მუშაკთა კავშირის თავმჯდომარეს გაბიბლო ვაჭიევს, სახალხო კონტროლის თავმჯდომარეს ვაჟა წიკლაურს, სამრეწველო განყოფილების ინსტრუქტორს თემურ ბერიძეს — სამადლობელი სიტყვები ეთქვათ პატარა მომღერლებსა და მოცეკვავეებს, ამ დიდი



ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, აჭარის ასსრ საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. პაპუნძი**, საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრები: **მ. ბერიძე**, **გ. გუგუნივა**, **დ. მანჯავაძე**, **შ. მესხიძე**, **ი. უნგვაძე**, **ო. ხატიაშვილი**, **მ. დიასამიძე**, **შ. ოქროპირიძე**, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები **ა. ტაკიძე** და **გ. ხოზბერიძე**, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პრობანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე **ნ. ცეცხლაძე**.

აღიბებულ და მარნეულელ ბავშვთა კონცერტს მსუბრვალედ გამოეხმაურა აჭარის პრესა. მეორე დღლითვე „სოვეტსკაია ადჟარია“ და „საბჭოთა აჭარა“ ფართოდ აშუქებდნენ პატარა მსახიობების შემოქმედებას.

ბათუმიდან მოზეტიშვილი ქუთაისს ეწვივნენ. ქუთაისელები, მიუხედავად უამინდობისა, ყვავილებით ხელდამშვენებულნი ქალაქის შესასვლელთან შეეგებნენ სტუმრებს. საღამოს კი ოპერის თეატრს მიაშურეს.

კვლავ მისალმებები, კვლავ ქართული და აზერბაიჯანული ლექსი, სიმღერა და ცეკვა, სითბო და სიყვარული ბატონობს სცენაზე, კვლავ ყვავილებით სავსე სცენა, მქუხარე ტამით გაცილებს სცენიდან.

ეს საზეიმო განწყობილება მთელი გზა მოყვებოდა პატარებს. სიხარულს კიდევ უფრო აორკეცებდა საქართველოს იმ ლამაზი მხარის ხილვა, რომლის გამოვლითაც თბილისს მოდიოდნენ. სურამის ისტორიული ციხე, ქართველთა საყვარელი ქალაქი გორი, თავისი ღირსშესანიშნაობებითა და ი. ბ. სტალინის სახელმწიფო მთიანეთის იხივით, რათა ერთხელ კიდევ დამტკბარიყვნენ მისი მშვენიერებით, კიდევ ერთხელ მოსიყვარულბოდნენ საქართველოს დედაქალაქს, შემდეგ კი კურსი სძობლიური რაიონებისაკენ აღდგა.

ნორჩები თავ-თავიანთი ოჯახებისაკენ ქაყოფილნი გაემშურნენ, ჩვენ კი კიდევ ერთხელ გაგვიძლიერეს რწმენა მეზობლობისა, იბტერნაციონალური სულისკვეთებისა. და ვინ იცის რაოდენ დიღია და ნათელი ძმობისა და მეგობრობის გზა, რომელიც ამ პატარებმა, მსგავსად უფროსი თაობისა, თავიანთი მამებისა დაიწყეს დღეს. ამიტომ ჰქონდა ასეთი დიდი შეფასება მათ შეწვევებს, ამი-

ტომაც სპეციალურად ვაშუქავ, იგი-საქართველოს ტელევიზიამ და ფართოდ გამოეხმაურა ჩვენი რესპუბლიკის პრესა.

დამთავრდა მეტად შთაბეჭდილი შეხვედრები, მაგრამ იმ დღიდანვე დაიწყო ფიჭირი და ზრუნვა მომავალ, ახალ შესხვედრებზე. ანზორ დოღენჯაშვილმა მოგზაურობის დროს ნათქვამი სიტყვარი რომ ინგილო ბავშვებთან მუშაობას არ შეეწყვეტ და ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ საინგილოში წავალ სამუშაოდო, — შეასრულა კიდევ. დამამთავრებელი გამოცდების ჩაბარებისთანვე საინგილოს მიაშურა და ქართველ ბავშვებთან ერთად კახის რაიონის აზერბაიჯანულ მოსწავლეებთან ამხადებს სპექტაკლს, საქართველოს თეატრალური საზოგადოება ძალიონეს არ იშურებს, რომ ყველა პირობა შეუქმნას ახალგაზრდა საეცილოსტს, რათა ჩამოაყალიბოს ქართული სახალხო თეატრი და დახმარება გაუწიოს აზერბაიჯანულ დრამატულ დასს.

აზერბაიჯანის თეატრალურ საზოგადოებასთან მიღწეულია შეთანხმება კახის და მარნეულის რაიონების მოსწავლეთა თვითმოქმედ კოლექტივთა საპასუხო შეხვედრა მოეწყოს შემოდგომაზე აზერბაიჯანში. ეს ინიციატივა მოიწონა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რაც დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას.

დაე, მარადიულო მეგობრობის მზე დაჰნათოდეს ქართველი და აზერბაიჯანელი, აზერბაიჯანელი და ქართველი ნორჩების ცხოვრების გზას.



ქართველი

სსრკ შუამდინის 60
წლისთავისათვის

პოეზი დოლიკა

ქართველი რეჟისორი პარკლიაში

თოთხმეტი წლის წინათ ვახეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ (22.III.1968 წ.) დაიბეჭდა ჩემი სტატია „ახალგაზრდა ხელოვანი“, რომელიც მიემდინა იმჟამად კიევის სათეატრო ხელოვნების ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის III კურსის ფრიადოსან სტუდენტს ოთარ ჯანგიშვირას. იმ წარმატებებს, რომელსაც მან თავისი აღმზრდელი პედაგოგის, პროფ. დ. ალექსიძის ხელმძღვანელობით მიაღწია ჯერ კიდევ ინსტიტუტში სწავლისას.

მას შემდეგ, როგორც ითქვა, საკმაოდ დიდი დრო გავიდა. სად არის ახლა იგი, როგორ გაგრძელდა მისი შემოქმედებითი გზა?

1970 წ. ო. ჯანგიშვირასი წარმატებით დაამთავრა კიევის სათეატრო ხელოვნების ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი (პროფ. დ. ალექსიძის ჯგუფი) 1971-72 წ. წ. მოსკოვში მუშაობდა ბუშკინის სახ. თეატრში. 1973-74 წ. წ. ულიანოვსკიში, 1975 წ. დაამთავრა ლენინგრადის სახ. ხელომწიფო თეატრალური ინსტიტუტის უმაღლესი სარეჟისორო კურსები და ორი წელი მცირე თეატრში დაჰყო — სსრკ კავშირის სახალხო არტისტ, რეჟისორ ბ. რავენსკისთან მუშაობდა რეჟისორ-სტაჟიორად.

1977 წლიდან ოთარ ჯანგიშვირასი ქართლის ასსრ დედაქა-

ლაქის პეტროზავოდსკის რუსული თეატრის მთავარი რეჟისორია. ახლის მანძილზე ისეთი ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა გააჩნდა, რომ უკვე ქართლის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე და კომკავშირის პრემიის ლაურეატია. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად მის სპექტაკლებს: „დღეები ჩვენი ცხოვრებისა“, „ძია ვანო“, „სამი და“, „ირაკლესული ამბავი“ და სხვა, რომელთაც ყოველთვის ოპერატიულად და დადებითად ეხმარება საკავშირო პრესა.

მაგრამ, ცხადია, შორეულ კარგლიაში მომუშავე ჩვენი თანამემამულე არც საქართველოსთან კარგავს კავშირს. ხშირად ჩამოდის აქ. 1978 წელს გამოქვეყნდა „ხელოვნება“ გამოაქვეყნა მისი წიგნი „კურსი მიჰყავს დიმიტრი ალექსიძეს“. მთელი ამ ხუთი წლის მანძილზე ოთ. ჯანგიშვირასი ცდილობდა პეტროზავოდსკიში დასადგმელად შეერჩია ისეთი ქართული ნაწარმოები, რომელიც ღირსეულად წარადგენდა ქართველ კაცს, მის საუკეთესო იდეალებსა და მისწრაფებებს ქართლის სცენაზე, სადაც ჯერ ქართული პოესა არ დადგმულა. დიდი ფიქრისა და განსჯის შემდეგ მისი არჩევანი შეჩერდა ჩვენი სასიქადულო მწერლის ნოთარ დუმბაძის განხილულ რომანზე „მარადისობის კანონი“.

რამდენიმე თვეა შესდგა ამ სპექტაკლის პრემიერა, რომლის სანახავედაც პეტროზავოდსკიში საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მიმავლია. ჩავიდ წინა დღით, გენერალური რეპეტიციის დროს, ე. წ. სპექტაკლის ჩაბარებაზე. მეტად საინტერესო იყო ამ სპექტაკლზე დასწრება, იმ კამათის მოსმენა, რომელიც სპექტაკლის შემდეგ გაიმართა და რომელმაც ნათელი გახადა, თუ რა სიყვარულით მიიღეს კოლექტივის წევრებმა, განსაკუთრებით მსახიობებმა ქართველი მწერლის ნაწარმოები.

მაინც რაში გამომყავნდა ეს? ნ. დუმბაძის რომანის ინსცენი-



რება ეკუთვნის თვით დამდგმელ რეჟისორს, რომელსაც ეს ინსცენირება გაუზარებია როგორც „რომანი თეატრისათვის“ ორ ნაწილად — სწორედ ასე აწერია სპექტაკლის პროგრამას. ვეგბ სულაც ასეთი გაზარების გამო სპექტაკლი დიდი გამოვიდა. მართო პირველ ნაწილს დასჭირდა ორი საათი. ამ ორმა საათმა კი ისე გაიზარდა, რომ არავის შეგვიძინებია. სამხატვრო საბჭოს მხოლოდ ერთმა, ისიც ე. წ. მოწვეულმა წევრმა, შეგვახსენა, პირველი მოქმედება ძალიან დიდია. თუმცა, დროის მიხედვით თითქმის ოცივე ითქმის მეორე მოქმედებაზეც. ერთის მხრივ მართალიც იყო — კარგა ხანია თეატრში აღარ იდგმება ოთხსაათიანი სპექტაკლები, მაგრამ ავტორისეულმა მართალმა და გულთბილმა სიტყვამ ისე გაიტაცა მაყურებელი, რომ დროის გრძობა ყველამ დასკარგა. მაგრამ როცა მანაც დაისვა სპექტაკლის რამდენადმე შემცირების საკითხი, თეატრის წამყვანმა და ყველაზე ტიტულოვანმა მსახიობმა, რსფსრ სახალხო არტისტმა კ. ფილიპენკომ, ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელმა აკეთურ განაცხადა, ერთი სიტყვაც რომ ამომიგდოთ ტექსტიდან, უმალ ვწერ განცხადებას, თეატრიდან მივდივარ და ხეალ, პრემიერაზე ახალი შემსრულებლის გამოძებნა დაგჭირდებათ. კ. ფილიპენკოს სხვა მსახიობებიც აპყვენ და ამტკიცებდნენ, რომ ჩვენი მაყურებელი ისეა დაზარებული ასეთ ცხოვრებისეულ სიმართლესა და ქართული ხასიათის მძაფრ გამოვლინებას, რომ სპექტაკლის შემცირება სულაც არ არის საჭირო. საბოლოოდ გადაწყდა, პრემიერაზეც ასე გაეშვათ სპექტაკლი და უშუალოდ მაყურებელზე „გაეხიჩკათ“ იგი.

პრემიერის მეორე დღესვე გამოვჩინდი თბილისში და აღარ ვიცე, როგორ და რამდენად შემციირდა სპექტაკლი, მაგრამ ერთი რამ ცხადია — მხოლოდ ორიოდე უმნიშვნელო კლბოური თუ შეიძლებოდა შეეტანათ მასში, მხატვრულ-კომპოზიციური თვალსაზრის-

სით იმდენად მტკიცედ შეკრულნი და დარახტულია იგი. აქ თავი იჩენა იმ გარემოებამაც, რომ რომანი ფორმის მიხედვით ერთობ არასცენურია, რაც სულაც არაა მისი ნაკლი. ნ. დუმბაძე, უპირველეს ყოვლისა, პროზაიკოსია, შემოქმედებით პროცესში ლიტერატურულ გამომსახველობაზე ფიქრობს და არა იმაზე, მისი ნაწარმოების მიხედვით რას დადგამენ — სპექტაკლს თუ ფილმს. ნ. დუმბაძის ამ ნაწარმოების სტრუქტურა კი თავისი ფორმით კინემატოგრაფიულ ბუნებას უფრო ექვემდებარება, ვიდრე სცენურს, რაც თითქმის მთელი რომანი რეჟისოსპექციის სტილშია გადაწყვეტილი. მთავარ გმირს ბაჩანა რამიშვილს ავადმყოფობისას ვეცნობით, მის წინ მართლაც რომ კინემატოგრაფიული სისწრაფითა და ხილვადობით გაიზრუნს მთელი მისი ცხოვრება.

ყოველივე აქედან ბუნებრივად მომდინარევე თხრობის მძაფრი რიტმი, რაც იშვიათად თუ ნელდება. ამიტომაც მაყურებელი, რომ იტყვიან, სულგანაბული შესცქერის სცენაზე დატრიალებულ ვნებებს, ცხოვრებისეული ავ-კარგით დამუხტულ ამბებს, რომელთაც ლიტმოტივივით გაპყვება ფილოსოფიური საუბარი ადამიანის რაობაზე, მის ამქვეყნიურ მოწოდებაზე, კაცურ კაცობაზე. ამ საუბარში მოწაწილეობენ სხვადასხვა ასაკის, განათლების, გამოცდილების და ეროვნებისა და რწმენის ადამიანები, რომელთა ავტორისეული სიღრმე, მრმზივლელობა და დამაჯერებლობა შესახიშნავად გადმოსცეს სპექტაკლის შემქმნელებმა. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება დატოვეს მთავარი როლების შემსრულებლებმა. ესენი არიან: კარელიის ასსრ დამსახურებული არტისტები ა. ტამაზა (ბაჩანა) და ა. ყულიევი (ბულიკა), რსფსრ სახალხო არტისტი კ. ფილიპენკო (მამა იორამი), კარელიის ასსრ კომპაგშირის პრემიის ლაურეატი დ. მატასოვა (თამარი) და სხვ.

მეტად სასიამოვნო. (და ცოტა

გასაცარიც) იყო ის, რომ სპექტაკლში ქართული ყოფა ნებისმიერი არაქართული თეატრისათვის ნამდვილი შესასურერი დონით არის ნაჩვენები. აქ, ცხადია, მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის სპექტაკლის მხატვრული გაფორმების ავტორს, საქართველოს სსრ დამსახურებულ მხატვარს მურაზ მურვანიძეს, რომელიც საგანგებოდ მიიწვია ოთ. ჯანგიშერაშვილმა და ამით გავრძელდა მათი შემოქმედებითი კონტაქტი. ჩვენმა ნიჭიერმა თეატრალურმა მხატვარმა ყველაფერი გააკეთა რათა ის გარემო, რომელშიც მოქმედება ხდება, ქართული ელფერით დამშვენებულიყო და ამით კარგი ელ მაყურებელს, რომლის თეატრშიც პირველად იღვმებოდა ქართული სპექტაკლი, შესაძლებლობა მისცემოდა კიდევ უფრო გაემდიდრებინა თავისი წარმოდგენა საქართველოსა და საერთოდ, ყოველგვარ ქართულზე. ამ კეთილშობილური ჩანაფიქრის ხორცშესხმას პრაქტიკული ამაგი დადო კარელიაში მომუშავე ახალგაზრდა მოქანდაკემ ჩენკა შუკვაძემ, რომელმაც თეატრის მხატვრებთან ერთად მოწაწილეობა მიიღო მ. მურვანიძის ესკიზების რეალურ განხორციელებაში.

პრინციპული თვალსაზრისით იგივე უნდა ითქვას სპექტაკლის მუსიკალურ გაფორმებაზე, რომელიც ეკუთვნის კარელიის ასსრ კომკავშირის პრემიის ლაურეატს ვ. ნიკიტინს. იგი, შეიძლება ითქვას, ქართული მუსიკის ნამდვილი ტრფიალი და, რაც მთავარია, შესანიშნავი მცოდნეა. ამასთან კარგად გრძნობს იმ დრამატურგიულ დატვირთვას, რაც მუსიკას უნდა მიენიჭოს სპექტაკლში. ყველაზე მეტად კი მაინც ვამაოცა ქართულმა სიმღერებმა, რომლებიც იმდენად მძალოსტატურად შესრულდა, თანაც ქართულ ენაზე, რომ თავდამირველად ჩაწერილი მეგონა. ყოველივე ეს, შესაძლოა, არცთუ ისე გადაწყვეტი იყოს სპექტაკლის გამარჯვებისათვის, მაგრამ იმ დიდ სიყვარულს ხომ მოწმობს, რომლითაც კარე-



ო. ჯანგიშერაშვილი „მარადისობის კანონის“ რეპეტიციასზე.

ლიელი მსახიობები არიან გამსჭვალულნი ჩვენს მიმართ და სპექტაკლიც ხომ სწორედ ამ ძმობას და მეგობრობას მიეძღვნა. როგორც კარელიის ასსრ კულტურის მინისტრმა ა. სკურატოვსკიმ განაცხადა, ამ საეტაპო სპექტაკლით პეტროზავოდსკის რუსული დრამატული თეატრი, რომელიც საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში გაწეული წვლილისათვის ახლახან დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის“ ორდენით, ღირსეულად ზღვდება საბჭოთა კავშირის შექმნის სახელოვანი 60 წლისთავის მოახლოებულ იუბილეს.

მადლიერებისა და სიამაყის გრძნობით ვეთხოვები კარელიას, სადაც ასე ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა ჩვენი თანამემამულე, რეჟისორი ოთარ ჯანგიშერაშვილი.

რუსთავის თეატრი მოსკოვში

31 მაისიდან 10 ივნისამდე მოსკოვში წარმატებით ჩატარდა რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლები. გასტროლები მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს და მიმდინარეობდა მოსკოვის ვ. მაიაკოვსკის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში. საგასტროლო რეპერტუარში იყო: ვ. იაქაშვილის „ჰორიზონტს იქით“, დ. კლდიაშვილის „სოლომონ მორბელაძე“, ნ. დუმბაძის „ზურიკელა“, ლ. თაბუკაშვილის „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“, ა. ჩეხოვის „თოლია“ და ელუარდო დე ფილიპოს „ცილინდრი“.

გასტროლები გაიხსნა 31 მაისს სპექტაკლით „ჰორიზონტს იქით“. გასტროლების დაწყება მოსკოვის თეატრალური საზოგადოებრიობის სახელით თეატრს მიულოცეს სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა ა. გონჩაროვმა და თ. დორონინამ.

საპასუხოდ სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის ბირველმა მოადგილემ ი. გამრეკელმა.

— ეს გასტროლები დედაქალაქის ერთ-ერთი საუკეთესო თეატრის სცენაზე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. იგი მიმდინარეობს სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის წელს. ჩვენ მოსკოველებს უნდა ვუჩვენოთ, რა ნაყოფიერად ვითარდება ქართული სასცენო ტრადიციების ფონზე ჩვენი ერთ-ერთი ახალგაზრდა თეატრი — მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქის თეატრი. საქართველოს თეატრალური საზოგადოებრიობისა და რუსთავის თეატრის

მთელი კოლექტივის სახელით დიდი მადლობას მოგახსენებთ გულთბილი მიღებისათვის.

მოსკოვის პრესაში რუსთავის თეატრის გასტროლების შესახებ იბეჭდებოდა ინფორმაციები და სცენები სპექტაკლებიდან, გაზეთ „სოვეტსკაია კულტურაში“ (1982. 11/VI) გამოქვეყნდა ვ. პოტაპოვის წერილი სათაურით „ძიება უანტრაქტოდ“.

9 ივნისს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროში გაიმართა რუსთავის თეატრის საგასტროლო სპექტაკლების განხილვა. განხილვა გახსნა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს თეატრალური სამმართველოს უფროსმა მ. გრიბანოვმა.

მოხსენებით გამოვიდა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ვ. ფროლოვი.

— რუსთავის თეატრი ახალგაზრდა, მაგრამ მან უკვე მოიპოვა მაყურებელთა აღიარება. თეატრის კოლექტივი მტკიცედ იბრძვის თავისი სახის შენარჩუნებისათვის. დიდი შინაგანი ტემპერამენტი, ეროვნულობა, მოქალაქეობრიობა და ახალი გზების ძიება განსაზღვრავს დღეს რუსთავის თეატრის სახეს. სიმართლე, ადამიანური სითბო, მაღალი პროფესიონალიზმი, სათუთი დამოკიდებულება ყველა სპექტაკლისადმი, არავითარი ტყამები. ასე წარმოსდგა თეატრი მოსკოველების წინაშე. შთამბეჭდავია თეატრის რეჟისურა, მთავარი რეჟისორის ა. ქუთათელაძის ხელმძღვანელობით, მომწეონა თ. მესხის და მ. ბუკიას დადგმები. სუფთა, შინაგანად ნატიფია ა. ქუთათელაძის მიერ განხორციელებული „თოლია“. რეჟისორული გამომსახველობა და გამომგონებლობა ახასიათებს რეჟისორ თ. მესხს. თუმცა, თეატრის რეპერტუარში თანამედროვე თემების ნაკლებობა იგრძნობა, სპექტაკლში „ჰორიზონტს იქით“. მშვენივრად თამაშობენ მსახიობები ჯ. მაზიაშვილი, თ. დაუშვილი, ი. ნობუა. აღსანიშნავია რიგოლტოს ეპიზოდურ როლში მსახიობი გ. ლეჟავა.



მართალია, ოდნავ გულუბრყვილო და მელოდრამატულია პიესა „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“; მაგრამ თანამედროვე ახალგაზრდობის ცხოვრებას ასახავს და ინტერესით უნდა მოეციოდოთ. რეჟისორს (მ. ბუკია) და მხატვარს (გ. მღებრიშვილი) კარგად შეურჩევიათ სპექტაკლის ფონი, მთელი თბილისის პანორამა. საოცრად ნაწი და სიმბოლური სცენური სახეა ბებია ი. ხობუას შესრულებით. შინაგანი სისავსით ანსახიერებენ თავიანთ როლებს ახალგაზრდა მსახიობები ე. ქუთათელაძე ნინიკო და რ. ჩხიკვიშვილი კოკა.

სპექტაკლ „ჭურჭელას“ უანრის სტრუქტურის განსაზღვრა უფრო ზუსტი უნდა იყოს. ერთიანი ფორმის მხრივ ბოლომდე არ არის სრულყოფილი. ბრწყინვალედ ასრულებენ დაკისრებულ როლებს მსახიობები: ჯ. გავნიძე, ბ. ბეგალიშვილი, ე. სიხარულიძე. პირდაპირ კონცერტივით არის მათი დუეტები. ბ. კაკაბაძეს შესანიშნავი იმპროვიზაციის უნარი აქვს, კარგად მოქმედებს, იუმორიც გააჩნია პირველი კლასის მსახიობია, მაგრამ ოდნავ დიდია ჭურჭელას როლისთვის.

ბრწყინვალე ნაწარმოებია დ. კლდიაშვილის „სოლომონ მორბელაძე“, ასეთივე სცენური განსახიერება ჰპოვა მან თეატრში. სასიამოვნო შთაბეჭდილება დაატოვებს ჩემზე ახალგაზრდა მსახიობებმა ე. ქუთათელაძემ (ნინა ზარეჩნაია) და გ. კიკნაძემ (მაშა) სპექტაკლ „თოლიას“.

განხილვაზე სიტყვით გამოვიდა მოსკოვის „მალია ბრონაიას“ თეატრის მთავარი რეჟისორი, რსფსრ სახ. არტიტი ა. დუნაევი.

— რუსთავის თეატრის დღევანდელი სახე ვაფიქრებინებს, რომ ამ თეატრს დიდი მომავალი და პოტენციური შესაძლებლობები აქვს. განსაკუთრებით მომეწონა სპექტაკლი „თოლია“ და ჩეხოვის ნაწარმოებისადმი ფაქიზი მოპყრობა. გამოაცა მხატვარ ნ. ვაჟრინდაშვილთან ერთად რეჟისორმა თ. მესხმა მეტად ეროვნულ და

ჭარმონიულ სპექტაკლში „სოლომონ მორბელაძე“. შენიშვნად მაქვს — ოდნავ სწორსაზოვანია სპექტაკლ „ცილინდრის“ ფორმა. არ მომეწონა „ჭურჭელაში“ დაშვებული კომპრომისი. მე ვაულისხმობ ასეთ მოზრდილ ჭურჭელას.

რსფსრ სახ. მხატვარმა მ. კუროილომ აღნიშნა:

— ქართველი მხატვრებისათვის დამახასიათებელი მაღალნიჭიერება და პროფესიონალიზმი საქვეყნოდ ცნობილია. ამჭერადაც გამაჯვირვა რუსთავის თეატრის მხატვართა ბუნებრიობამ და უბრალოებამ. გამომსახველი და დამაჯერებელია „თოლიას“ მხატვრობა (მხატვარი ა. ჭელიძე), ასევე მომეწონა „ჭურჭელას“ და „ცილინდრის“ მხატვრობა, რომელიც მცირე, მაგრამ მანვილგონივრული დეტალებით არის შექმნილი (მხატვრები ა. ჭელიძე, გ. მღებრიშვილი), ძალიან თეატრალურია „სოლომონ მორბელაძის“ მხატვრობა (ნ. ვაჟრინდაშვილი). შესანიშნავია „სოლომონ მორბელაძის“ და „თოლიას“ კოსტუმები ფერისა და კოლორიტის მხრივ; მხოლოდ არ ვეთანხმები მხატვარს არკადინას („თოლია“) კოსტუმების გადაწყვეტაში. საერთოდ რუსთავის თეატრის მხატვრობაში დავინახე თანამედროვედ მოაზროვნე მხატვრები.

სპექტაკლ „თოლიას“ ირგვლივ ისაუბრეს ხმალგებათმცოდნეობის დოქტორმა მ. სტროევამ და თეატრმცოდნე ტ. როდინამ.

მ. სტროევა: მოსკოვის თეატრების ჩეხოვის პიესების პოლემიკაში რუსთავის თეატრისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ავტორისეული ტექსტის სათუთი მოპყრობა. ეს სპექტაკლი ტრადიციულია კარგი ვაგებობით. ვიგრძენი რომ შესანიშნავად არის შენარჩუნებული სპექტაკლში ჩეხოვის რომანტიკული და პოეტური სული. ნინა ზარეჩნაიას, ტრეპლოვის, ტრიგორინის ან არკადინას პოზიციით კი არ არის დადგმული, როგორც ზოგჯერ ხდება, არამედ



მრავალფეროვანია რეჟისორული ხედვის არე.

მაღალი პროფესიონალიზმით თამაშობს ლ. შოთაძე არკადინან სცენურ სახეს, თუმცა, არ ვითანხმები სპექტაკლში მის ფინალურ მონოლოგს, ეს უკვე სხვა პიესაა და ჩეხოვიდან გადახვევაა. შესანიშნავია: ევა ქუთათელაძე (ნინა ზარეჩნაია) გ. კიკნაძე (მაშა), რ. ჩხივიშვილი (ტრებლოვი) მართალია, ე. ქუთათელაძეს მე-4 მოქმედებაში ოდნავ აკლია დრამატრიაში, მაგრამ საერთოდ უახლოვდება როლის სრულყოფას. კარგად თამაშობს ლ. მიშველიძე სორინს, მასში შერწყმულია ქართული და რუსული ინტელიგენტურობა, ჭკვიანი, მშვიდი ინტონაციებით გამოირჩევა, ბრწყინვალეა ა. ლოლუას დორნი.

ტ. როდინა: ქართულ თეატრს ახასიათებს სხვა რეპერტუარი, სხვა ტემპერამენტი, მაგრამ ესთეტიკით და პოეტურობით უახლოვდება ჩეხოვს. როცა ვისმენდი ქართულ სიტყვას, ვგრძნობდი ჩეხოვის ესთეტიკას, რეჟისორი ნამდვილად ცოცხლობს მსახიობში. მაგალითად მაშას როლის შემსრულებელი გ. კიკნაძე გარდა მსახიობური ნიჭიერებისა, კარგად ართმევს თავს რეჟისორის ამოცანას. საერთოდ „თოლია“ საინტერესო ნაშუშევარია.

კრიტიკოსმა მ. ვოლინსკიმ მაღალი შეფასება მისცა სპექტაკლებს „სოლომონ მორბელაძე“ და „თოლია“.

რუსთავის თეატრის სახელით სიტყვა წარმოსთქვა თეატრის მთავარმა რეჟისორმა ა. ქუთათელაძემ.

განხილვა შეაჯამა სსრ კავშირის თეატრების სამმართველოს უფროისი მოადგილე დ. ბაიტირია-კოვამ. მან აღნიშნა, რომ რუსთავის თეატრის გასტროლები ორგანიზებულად, სანიმუშო დისციპლინით და შემოქმედებითი წარმატებით ჩატარდა, თეატრის კოლექტივმა სერიოზული გამოცდა ჩააბარა მომთხოვნ მოსკოველ მაყურებელს. სსრ კავშირის შექმნის წილისთვის წელს საქართველო-

დან კიდევ ერთი თეატრის გამოვლა მოსკოვში, მნიშვნელოვანი ფაქტიაო.

10 ივნისს რუსთაველმა წარმოადგინეს უკანასკნელი საგასტროლო სპექტაკლი „თოლია“. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ დამსწრე საზოგადოებას მიესალმა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი, სსრ კავშირის სახ. არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი ო. თაქთაქიშვილი.

11 ივნისს მოსკოვის ხელოვნების ცენტრალურ სახლში ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის კულტურის მუშაკებმა შეხვედრა გაუმართეს რუსთავის თეატრის კოლექტივს. წარმოდგენილი იქნა სცენები თეატრის იმ სპექტაკლებიდან, რომლებიც არ შევიდა საგასტროლო რეპერტუარში: „მგლები“, „რევიზორი“, „ღამის ამბავი“ და „რას იტყვის ხალხი“. საღამო მიმყავდა თეატრის ახალგაზრდა მსახიობს ნ. გაგნიძეს.

რუსთავის თეატრის საგასტროლო სპექტაკლებს რუსულ ენაზე სინქრონულად თარგმნიდნენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, თეატრმცოდნე ე. გალუსტოვა და მოსკოვის ვ. მაიაკოვსკის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი გ. ანტოზოლი. მაყურებელი განსაკუთრებული მაღლიერების გრძნობით აღნიშნავდა ე. გალუსტოვას დიდი ტაქტითა და პროფესიონალიზმით სპექტაკლების რუსულ ენაზე თარგმნას.

მოსკოვის ქუჩები მოფენილი იყო გემოვნებით შესრულებული (შხატვარი ნ. გავრინდაშვილი) რუსთავის თეატრის საგასტროლო პლაკატებით. თეატრის შეკვეთით საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გამოსცა საგასტროლო ალბომი და ექვსი დასახელების ილუსტრირებული პროგრამა.

ლია ხსენიანილი

ქართველი მოღვაწე დიდ თეატრში

„დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აონრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ქვე-რა ხმლისა და მახვილისა მტრისა ხელით მოღურებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლშვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც წვევდა და მბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა მიწას, ჩვენს საცხოვრებელს. გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მართო საშინელ, შემადრწუნებელ სახსოვრადღა დავერა. დაუღვა ახალი ხანა მოსვენებულს, უშიშარის ცხოვრებისა“.

ლია ჭავჭავაძე

ზურაბ სოტკიალა მუსიკალურ ხელოვნებაში მოულოდნელად მოვიდა და ყველასათვის შესამჩნევი ბრწყინვალეობით აკაფდა მისი ლამაზი, გულში ჩამწვდომი თბილი ხმა; ყველასათვის ახლობელი გახდა დაუფიქარი ზემოქმედების, დიდი შინაგანი ექსპრესიის, ემოციური და შთაგონებული ნიჭი. იგი მღეროდა მთელი არსებით და მსმენელიც სიხარულით სახვე თვალებითა და დიდი სიყვარულით აჯილდოებდა. დღეს სსრკ დიდი თეატრის სოლისტი ჩამოდის თბილისში, ხშირად მღერის თავისი საყვარელი ქალაქისათვის და ამიტომ, ჩვენი საუბარიც ძალდაუტანებელია და უშუალო.

— სიმღერა მიყვარს თავდავიწყებით. სხვანაირად ვერაგინ მიმიყვანდა კონსერვატორიაში, ვერ მაიძულებდა მემღერა. ჯერ ნ. ბოკუჩავასთან ვმეცადინებოდი. მასთან ორი წელი დავეყავი, როგორც პარტიკონსა. მასთან ვიმეორე ვალენტინის, სილოვისა და ქერმონის არიები, ოპერა „ჭამბაზების“ პროლოგი.

დ. ანდლოლადის კლასში ჩარიცხვისთანავე ვაღაწყდა, რომ სიმღერა ჩემთვის დეუსია უნდა გამხდარიყო. ეს იყო 1952 წლის დეკემბერი. მეცადინებოდა დავიწყე როგორც ტენორმა, 1963 წლის აპრილში, დ. ანდლოლადის მთელი კლასი წავგიყვანეს მოსკოვის კონსერვატორიაში პედაგოგთა საკავშირო სემინარზე. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ აქ შედგა ჩემი ნათლობა, აქ დავიბადე როგორც მომღერალი. ვ. სარაჯინვილის სახ. კონსერვატორიის მე-5 კურსის სტუდენტი რომ ვიყავი, ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსში გაემიარევე. შემდეგ მონაწილეობა მივიღე ალჟირის ფესტივალისათვის შესარჩევ კონკურსში. ამ კონკურსშიც გაემიარევე, მაგრამ ალჟირში მომხდარი გადატრიალების გამო, ფესტივალის ნაცვლად იტალიაში ვავემგზავრე, ცნობილ ლა-სკალას თეატრში, როგორც სტაჟირი. ორი წელი ვმეცადინებოდი გამოჩენილ პედაგოგებთან ჯენირო ბარასა და ენრიკო პიატასთან. იქ იტალიურ ენაზე ნ პარტია მოვაქმადე. იტალიიდან დაბრუნებისას დიდი თეატრის მომღერლებთან თ. სინიაჯკაიასა და მ. ქასარაშვილთან ერთად სოფიის მსოფლიო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მე-9 ფესტივალზე წარგზავნილთა შორის აღმოვჩნდი. ფესტივალმა მთავარი პრიზი „ოქროს მედალი“ და პირველი პრემია მომიტანა. სოფიის გამარჯვებულს უნდა მივეწერო მასკანის „სოფლის პარტიკონსაში“ ჩემი გამოსვლების მიმართ ქართველი საზოგადოებრიობის გაზრდილი ინტერესი.

მაურებლის სიყვარული მხოლოდ ქეშმარიტი ხელოვანის ხვედრია. არც შეუნღებელი აღმასვლაა მისთვის უცხო. 1978 წლამდე, ვიდრე ზ. სოტკიალა საბჭოთა კავშირის დიდ თეატრში ვადავიდიოდა, მის შემოქმედებით ბიოგრაფიას ახალი ელვარე ფურცლები ავსებს. 1970 წელს მოსკოვის ჩაიკოვსკის სახ. მუსიკოს-შემსრულებელთა მეოთხე საერთაშორისო და 1971 წელს ესპანეთის ქ. ბარსელონაში ვკაღისტთა მე-8 საერთაშორისო კონკურსებზე მისმა გამოხველუმმა სენსაციის ჩაიკოვსკის სახ. მუსიკოს-შემსრულებელთა მხადებას და არც მათში მონაწილეობას ხელი არ შეუშლია მისი საოპერო რეპერტუარის ინტენსიური ზრდისათვის.

— ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ნამღერი მქონდა წამყვანი პარტიები ოპერებში: „რიგოლეტო“, „იოლანტა“, „ქარმენი“



და „აბესალომ და ეთერი“. 1973 წელს მიმიწვიეს დიდ თეატრში ხოზეს პარტი-ის შესასრულებლად. სპექტაკლის შემდეგ თეატრის დირექციამ შემომთავაზა დადარჩენილიყავ ამ სახელგანთქმულ თეატრში. გულახდილად რომ ვთქვა, მოწვევა ათრეც მქონდა. პ. ჩიკვაძის სახ. კონსერვის შემდეგ, მაგრამ გადასვლაზე არ მიიღებია. თბილისის თეატრში სიმღერა მიყვარდა, რადგან ეს იყო საბჭოთა აკვშირის ერთ-ერთი საოკეთესო თეატრი როგორც თავისი შემოქმედებითი ძალებით, ისე აკუსტიკით. გარდა ამისა, მე სულით მაინც სპორტშივე დავრჩი, ში-ჯიბრის წყურველი სისხლში მაქვს გამ-ჯღარი. დიდი თეატრის სცენაზე პირვე-ლობისათვის ბრძოლა ნადრეგათ მიმაჩ-ნდა, მაგრამ თბილისის თეატრში მომხ-რარის ხანძრის შემდეგ გადასვლა გადაე-წყვიტე. უკვე 9 წელია საბჭოთა აკვში-რის დიდი თეატრის სცენაზე ვმოგრი. შესრულებული მაქვს მთავარი პარტიე-ბი ოპერებში: „ტროუბადური“, „იოლან-ტა“, „სადკო“, „მთვარის მოტაცება“, „ოტელო“, „აიდა“, „ბალ-მასკარადი“.

ბუნებამ უხვად დააჩოღოვა ზ. სოკიალავა, მაგრამ შემოქმედებითი მწვერვალების დასაპყ-რობად ტალანტს, მონდომებას და გულმოდგი-ნებას შემოქმედებით ატმოსფეროში ყოფნა, სა-ინტერესო მუსიკოსებთან, რეჟისორებთან, ლი-ბრეორებთან, კონცერტმენისტრებთან შეხვედ-რები ესაჭიროებოდა.

— ტემპერამენტი, ემოცია, ქართული ხასიათის ერთ-ერთი კომპონენტი, ბუ-ნებით მომადლებული მძლავრი იარა-ლია. მაგრამ ყველა მომღერალმა, და მათ შორის მეც, უნდა გავთვალისწი-ნოთ, რომ დღეს ვერავითარი ლამაზი ხმა, სითბო და მუსიკალობა ვერ შექმ-ნის მომორგალ-მსახიობს, თუ მას არ გააჩნია ინტელექტი, საშემსრულებლო კულტურა. თუ მე ამ მიმართულებით წარმატებას მოვიღწეე, ორ ადამიანს — ნ. ანდლუაძეს და გ. ჩაჩავას უნდა ვუ-მადლოდე. ამ უკანასკნელმა ჩამხედა კამერული მუსიკის სიღრმეებში. მისი დახმარებით ანდლუაძე შევიგებინე კოლონის, რიხარდ შტრაუსის, შოპანის, შუბერტის, განსაკუთრებით რახმანინო-ვის, რიმსკი-კორსაკოვის, ჩაიკოვსკის, ქართველი კომპოზიტორების მუსიკა.

განსაკუთრებული გავლენა იქონია ჩემზე დიდი თეატრის მთავარმა რეჟი-სორმა პ. პოკროვსკიმ. მან, თუ შეიძლე-ბა ასე ითქვას, ხელახლა ამაღმევეინა

ფენი სცენაზე. იტალიაში, როდესაც კე-რისორს გაეცანა ოტელოს პოკროვსკი-სეული გააზრება, იგი დამეთანხმა და ყველაფერი უცვლელად მიიღო. ბოლო-ნის სცენაზე ოტელოს როლის განსა-ხიერების შედეგი კი ის გახლდათ, რომ მე ამ ქალაქის ხელოვნების აკადემიის საპატიო აკადემიკოსად ამირჩიეს.

ღირსიერთაგან არ დამავიწყდება ილ-ჯინ ორმანდთან შეხვედრა. ი. ორმან-დი თილაღლოვის სიმფონიური ორკეს-ტრის ხელმძღვანელია, მან მიმიწვია ვერდის „რეკვიემზე“. ამ ნაწარმოებს იგი თავისი დაბადებიდან 80 წლისთავის აღსანიშნავ სათანოებში ასრულებდა. ამერიკის ოთხ ქალაქში ვიმოგრი. შეს-რულებას წინ უძიოდა ორკვირიანი მო-სამზადებელი სამუშაო. დღეში სამჯერ სამ-სამ საათთან რეპეტიციებს ატარებ-და. არ დამავიწყდება როგორი მთავო-ნებით მუშაობდა, როგორი ვადამდეგი იყო მისი შემოქმედებითი ალტინება, როგორი დამყოლი ვხდებოდი მისი მრავლისმთქმელი აქსტიკულაციის და მეტყველი თვალების შემხედვარე...

სამოწვევებით ვიგონებ ე. სერგლანოვ-თან მუშაობას. რით იყო მნიშვნელოვან-ი ეს პერიოდი? საორთოდ, ბევრ დარ-გემაში მივიღია მონაწილეობა, მაგრამ ისეთი თბილი, ამასთან პროფესიული, შეიძლება ითქვას, რთეალური ატმოს-ფერო, როგორც მან თით თეატრში „ოტელოს“ დადგმისას შექმნა, ვერ მო-მიგონებია. იგი მეგობრულიც იყო და ძალიან მომთხოვნიც.

ქართველ ღირსიერთაგან ჩემი პირ-ველი წარმატებები დაავიწროებულაა გ. კახიციანთან — დიდი ნიჭისა და გემო-ციის მუსიკოსთან. მასთან მოგამზადე და შევესრულე ჩემი პირველი სპექტაკ-ლები „ტოსკა“ და „სოფლის პატიოს-ნება“.

გულმოდგინებას, სიბეჯითეს, დაუოკებელ ში-ნაგან წვას ითხოვ მსახიობისაგან, ახალი ნა-წარმოების მომზადება, მაგრამ არანაკლები დრო და ენერჯია სჭირდება ერთსა და იგივე როლ-ზე მუშაობას სხვადასხვა დადგებებში.

— ვოდემონი, ოტელო, კავარადოსი — ეს პარტიები სხვადასხვა ქვეყნის თე-ატრების დადგებებში მიმღერია. სხვადა-სხვა დადგებებში მონაწილეობა მომღე-რალს საშუალებას აძლევს უფრო ჩა-უღრმავდეს პარტიას, მიადწინს შესრუ-ლების მეტ სილალეს. კავარადოსზე, მა-გალითად, სამ თეატრში მიმუშავინა.



დებიუტისათვის თბილისში ტ. დუნენ-კომ მომამზადა (საოპერო სტუდიაში გამოსამეგბ საღამოზე ნამღერო მქონდა მესამე აქტი მ. ქსარაშვილითან ერთად). დებიუტმა კარგად ჩაიარა. რა მოთხოვნას პასუხობდა ჩემი გამოსვლა? იმჯერად მთავარი იყო თავიდან ბოლომდე რემიღრა ლამაზი ხმით, უმეცლომოდ, შეძლებისდაგვარად, ემოციურად. დიდ თეატრში სხვა ამოცანების წინაშე აღმოვჩნდი. ეს იყო მოთხოვნა, რომელსაც ბ. პოკროვსკი აყენებს ყველა საოპერო მომღერლის წინაშე. მაგალითად, ბ. პოკროვსკი პირველ მოქმედებაში დიდ სიყვარულთან ერთად კავარადოსისაგან კეკლუცობას ითხოვს, რაც ამ აქტის ძირითად სცენას მსახიობ-მომღერალ ქალთან უფრო პარმონიულს ხდის, ხოლო მეორე და მესამე მოქმედების კონტრასტულ ხასიათებთან ერთად მთლიანობაში კავარადოსის სახეს მეტი რელიეფურობა და დამაჯერებლობა ენიჭება. თბილისისა და მოსკოვის თეატრებში ტრადიციული დადგმები იყო, დროის შესაფერისი კოსტუმებითა და დეკორაციებით. ხოლო ინგლისელთა დადგმა, რომელშიც წელს ვიმღერე, საინტერესო იყო იმით, რომ მოქმედება გადმოტანილია 1942 წელს, მუსოლინის პერიოდის იტალიაში. სკარპია გესტაპოელის ფორმით გამოდიოდა სცენაზე შავ მუნდარში. მე კი, როგორც ომისდროინდელ მხატვრებს ეცვათ — ჟილეტში, ჰალსტუხსა და ჩვეულებრივ შარვალში ვიყავი გამოწყობილი. მუსიკალური მხარე, ჩემი გავებით, ყოველთვის განიცდის ცვლილებას, ყოველ ახალ დადგმაში ჩნდება ახალი დამოკიდებულება, ტექნიკური ისტაბილუმი სრულყოფა ახალი, უფრო მეტყველი ფერების შეტანის საშუალებას გვაძლევს ვოკალში, მაგრამ ძირითადი ხაზი მანაც იგივე რჩება.

— რას გაძლევთ დიდ თეატრში გატარებული წლები?


— მოსკოვი დიდი მუსიკალური კულტურის ქალაქია, მსოფლიო აღიარების გზა მოსკოვზე გადის, თუ ეს გზა არ გაიარა, მომღერალი ვერაფერს ვახდება. ამას ვარდა, საბჭოთა კავშირის დიდ თეატრში მუშაობა ერთის მხრივ ბუნებრივად აწვითარებს მომღერლის პროფესიონალიზმს, ამაღლებს, სრულყოფს მის საშემსრულებლო ჩვევებს, მეორეს

მხრივ აფართოებს საგასტროლო ვარს. საკონცერტო პროგრამები უცხოეთში დიდ თეატრში გადასვლამდე ბევრს ვმოგზაურობდი, სპექტაკლებში მიწვევა კი მივიღე მხოლოდ ზალცბურგში, სპექტაკლ „იოლანტაში“ მონაწილეობის შემდეგ, სადაც 1979 წელს მიმოწვიეს ვ. ატლანტოვთან თ. მილაშკინისა და ე. ნესტერენკოსთან ერთად. პირველი მოწვევა ამის შემდეგ მივიღე ბოლონიაში (ვიმღერე „ოტელიოში“, „აიდასა“ და „ხოვანშჩინაში“) და ინგლისში („ტოსკა“) ჩემს საყვარელ პარტნიორ მ. ქსარაშვილთან ერთად მიმოღერია ლენინგრადში, რიგაში, ხარკოვში, მინსკში, კიევში.

— ხელს ხომ რ გიშლით ამდენი მოგზაურობა?

— ფართო საგასტროლო გეოგრაფია, წარმატებები და პოპულარობა მომღერალს არ უსუსტებს პასუხისმგებლობის გრძნობას. პირიქით, უფრო მეტი პრინციპულობითა და სიფრთხილით ეკიდება ახალი ნაწარმოების მასშტაბის სამსჯავროზე გამოტანას.

ყველა ნაწარმოები, რომელსაც ვასრულებ, ერთნაირად მიყვარს. როგორც შვილებს შორის ვერ გამოთარევე რომელიმე ერთს, ისე ვერცერთ რაღას, ან ნაწარმოებს ვერ მივიცემ უპირატესობას. ნაწარმოების შერჩევასა და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ იმას, თუ რამდენად ახლოსაა იგი ჩემს ბუნებასთან, ტემპერამენტთან, რუსი კომპოზიტორებიდან, მაგალითად, ძალიან მიყვარს რახმანინოვი. მასთან ბევრ საერთოს ვპოულობ ტემპერამენტის თვალსაზრისით. სამწუხაროა, რომ არ იდგმება რახმანინოვის ორი თებერა თორემ სიამოვნებით მექნებოდა რეპერტუარში. მის რომანსებს კი ხშირად ვმღერო. რაც შეეხება ჩაიკოვსკის, მე მგონია, ეს კომპოზიტორი ბოლომდე არაა გავგებული. ჩაიკოვსკის ლირიზმი უფრო ღრმაა, ვიდრე მისი შესრულების ტრადიცია გვაქვს. მე მხედველობაში მყავს ისეთი შემსრულებლები, როგორიცაა ლემეშევი, კონსოვსკი. ჩაიკოვსკის „ნიკის ქალს“ ვთვლი ერთ-ერთ უძლიერეს ნაწარმოებად საოპერო ლიტერატურაში. ეს არის ფსიქოლოგიურად დატვირთუ-



ლი ოპერა და შემსრულებლისაგან მრავალკლანიანობას მოითხოვს. ჩემს კოლეგას დიდ თეატრში შესანიშნავი ხმა აქვს, გარეგნობაც, მაგრამ მისი გერმანი არ არის ისეთი სიღრმის, როგორიც შექმნა დიდი თეატრის სცენაზე ჩვენმა სასიქაღულო მომღერალმა ზ. ანჯაფარიძემ. ზ. ანჯაფარიძის გერმანი საუკეთესო სახეა, მათ შორის რომელიც კი ოდესმე მოამსმენია. გერმანიის პარტია 5 წლის წინ შევისწავლე, მაგრამ ჯერ მისკენ მიბრუნებას ვერ ვბედავ.

საოპერო სცენაზე ჩემი საბჭოური რეპერტუარი ძალზე დარბობი. ჯერჯერობით ვიმღერე მხოლოდ ო. თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება“. შეიძლება ითქვას, რომ ოპერა ჩემს თვალწინ დაიბარდა. არზაყანის პარტია ჩემთვის დაიწერა, მაგრამ საბოლოოდ ძალიან რთული გამოვიდა. სიმართლე უნდა ვთქვა — ოტელო არ მდღის ისე, როგორც არზაყანი. საქმე იტყობა იმაშია, რომ გარდა აქტიური მოქმედებისა სცენაზე, ამ პარტიაზე ემოციასაც მომეტებულად ვხარავ, რადგან ქართული მუსიკაა დიდ თეატრში და მინდა, რომ მაქსიმალურად კარგად იყოს შესრულებული. ამ მხრივ თეატრის დანარჩენი შემსრულებლების მიმართ მხოლოდ კომპლიმენტები მეთქმის. დიდი თეატრის თბილისში გასტროლების დროს თეატრის შესრულების მაღალი პროფესიონალიზმი დარსებულად შეაფასა ქართველმა მაყურებელმა. რითაა მიმზიდველი არზაყანის სახე? ეს არის ახალგაზრდული ენერგიით სავსე გმირი, თავის თავში დაჯერებული, ურყევი რწმენის, რომელმაც მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებამდე უნდა მიიყვანოს. ადრე მეჩვენებოდა თითქოს გმირის ხასიათს ბ. პოკროვსკი ზედმიწევნით ბევრ მოძრაობაში კვებდა, მაგრამ როცა როლზე მუშაობა დავასრულე და რამდენიმე სპექტაკლი ვითამაშე, დავრწმუნდი, რომ ეს აქტივობა გამარტებული იყო. დადგამაზე რამდენიმე თვეთ ადრე, მუსიკალური ტექსტი უკვე შესწავლილი რომ გვექონდა, ო. თაქთაქიშვილთან ერთად ბ. პოკროვსკის ვახლდი სვანეთსა და სამეგრელოში ქართული ადათ-წესების გასაცნობად. შემდეგ პოკროვსკიმ სპექტაკლში ისეთი ადათები გამოიყენა, რომელიც უკვე მივიწყებულია, (ხმლის კურთხევა, კერის კურთხევა). ამ მოგზაურობისას ერთი საინტერესო ამბავი მოხ-

და ზუგდიდში — თვითმოქმედებამ ჩვენა კონცერტი. ბევრი იმღერეს, მაგრამ ერთმა განსაკუთრებით მოგვნიბლა. პოკროვსკიმ უთხრა თაქთაქიშვილს. „ეს სიმღერა აუცილებლად უნდა შევიღეს ოპერაში და უნდა აეღერდეს მესამე აქტის დასაწყისში“. მერე მე მომიბრუნდა: „ზურაბ, ამ სიმღერას იმღერებ იმ ენაზე, რომელზეც იგი ამ ანსამბლმა შეასრულა“. სიმღერა, მართლაც შევიღა ოპერაში, მე მას მეგრულად ვმღერე და ისე როგორც თველ ოპერას, მსმენელი ყოველთვის ძალიან თბილად ზღვდება, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ თაქთაქიშვილმა სპეციალურად ჩემთვის შექმნა „მეგრული სიმღერების“ ციკლი. ისეთი დიდი ფოსტა, როგორიც ამ ციკლის ტელევიზიით პირველი შესრულების შემოსტემაზე, არც ერთ ჩემს გამარჯვებას არ მოჰყოლია. წერილების კითხვას ვერ ავუღივლი. მსმენელები მაღლობს მიხედინენ და დიდ აღტაცებას ვამოსტემავენ. არანაკლები წარმატებით ზღვებოდნენ სიმღერების ამ ციკლს საზღვარგარეთაც. პირველად ამსტერდამში ვიმღერე რუსული მუსიკის ფესტივალზე, შემდეგ — ლიონში, საანბრუველზე, ბუდაპეშტში. ყველგან თითქმის ყველა ხომრის გამეორება მიხედვებოდა. რა იყო ამ ციკლის შექმნის მიზანი? ქართული სიმღერის მაღალი მსოფლიოს არც ერთ ხალხს არ მოეცებინება და ქართველზე უკეთესად მას ვერაინ შეასრულებს. ამაში არაერთხელ დავრწმუნდი „სისატურას“ შესრულებისას. ეს სიმღერა ჰიმნოვით მქონდა რეპერტუარში. ყველა კონცერტს ამ სიმღერით ვიწყებდი. „სისატურა“ იყო ჩემთვის ხმის შესანიშნავი გასავარჯიშებელი. ამავე დროს დარბაზის აკუსტიკის აღსაქმევლი და, რაც მთავარია, თავისი სილამაზით მაყურებლის ერთსულოვანი დამპყრობი. ამიტომ ვთხოვე ო. თაქთაქიშვილს, რომ ამ სიმღერების მსტერადანვე გამოტანის საშუალება მოეცა ჩემთვის. ასე დაიწერა ეს ციკლი. ჩემის აზრით, კომპოზიტორმა ყველაფერი გააყეთა იმისთვის, რომ ციკლში გაერთიანებულ სიმღერებს შეხარჩუნებოდა თვისი პირველივე მომხიბვლელობა.

თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან რეპერტუარში მაქვს ალ. მაჭავარიანის, გ. აზარაშვილის რომანსები. ს. ცინცაძის, ბ. კვერინაძის, გ. ყანჩელის, ვთხოვე ახალი რე-



მანსების დაწერა. ენახოთ, იქნებ, დამიწერონ.

რუს კომპოზიტორთაგან ხშირად ვმღერო სვირილოვის რომანსებს.

„ზ. სოტკილავა ერთ-ერთი საუკეთესო ტენორია“, „ზ. სოტკილავა მღერის ისე ღაღად და საუფთად, როგორც მარიო დელ მონაკო მღეროდა თავის საუკეთესო წლებში“, „ზ. სოტკილავა საუკეთესო კავარადონია“, „ზ. სოტკილავა საუკეთესო რადამსია, რომელიც კი ოდესმე მოგვისმენია“. არ იშურებენ საქმარ ეპითეტებს უცხოელი რეცენზენტები.

— კაპიტალისტურ ქვეყანაში რეკლამის მიზნით ყველაფერი კეთდება. დღინბურგში რომ ჩავედი, ქალაქში ხომ ყველგან იყო აფიშები, მაგრამ თეატრის შესასვლელთან აფიშაზე მსხვილი ასოებით წარწერილი იყო ერთი ისეთი საქმარი ფრაზა რეცენზიდან, რომ შევძინდი. მაყურებელი ამას რომ წაიკითხავს და სპექტაკლებზე შემოვა, რომ არ მოეწეოს, ხომ ცუდად იქნება საქმე-მეთეი. ძალიან ავღელდი მაგონი ყველაფერი კარგად დამთავრდა. მაყურებელი თავის შორხებულ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვახარად გამოხატავს. ერთი კურიოზული შემთხვევის შემდეგ ყურადღება მივაქციე იმას, რომ სახვარგარეთ მაყურებლის მიერ აღტაცების გამოხატვა ბევრად უფრო ეფექტურია. მსაყვალა ქასრაშვილთან ერთად 1978 წელს თბილისში ჩავატარე დღეების საღამო. ეს კონცერტი „საბჭოთა ამიერკავკასიის ფესტივალის“ პროგრამაში შედიოდა და ოპერის თეატრში გაიმართა, ხალხიც ბევრი დაესწრო. ჩვენ, როგორც ყოველთვის, მშობლიურ ქალაქში გამოავლისას, ველავდით. მაყურებელმა ძალიან გულთბილად მოგვილო. კონცერტს ესწრებოდა ჩემი ფრანგი იმპრესარიო ი. ჯაბადარი, რომელმაც კონცერტის მიღება ასე შეაფასა: „შეხი ასეთი წარმატება აღწერო მენახა, შენთან არ ვიძუტავებდით“.

საქართველოში. ზ. სოტკილავას მონაწილეობით არაერთი კონცერტი ან სპექტაკლი ქცეულა ნამდვილ დღესასწაულად და ეს საღამოები ხასიათოვნო მოგონებად აღბეჭდილა არა მარტო მრავალრიცხოვანი აუდიტორიის, არამედ თვით მომღერლის გულში. ასეთი შეხვედრები ხშირად მქონია მომღერალს.

— ჩემს ცხოვრებაში არ დამაყრწყდებია ორი კონცერტი. ერთი იყო ქუთაისის მცირე გაბარიტის ტრაქტორების

ქარხნის მსუშებთან, შევედი უხარზნარ საამქროში დიდი თეატრის სცენა და დარბაზი რომ შეაერთო იმოდენა საამქრო იყო, ვამოჩენისთანავე ისეთი ტაშით დამაჩილოდოვეს, ვიფიქრე სტუმარი ვარ და იმიტომ მხედებთან ასე თბილად მეთქი, მაგრამ კონცერტის მერე, რომ გავესაუბრე, ისეთი წვრილმანები სცოდნით ჩემი ბიოგრაფიიდან და საკონცერტო პროგრამიდან, გავოცდი, პირობა მივეცი, რომ პირველივე შესაძლებლობისთანავე კვლავ მივიდოდი იმ საამქროში და კვლავ შევხვდებოდი ამ გულითად აღაძიხებულ, კიდევ ერთხელ ვიმღერებდი მათთვის.

მეორე კონცერტი ენგურპესელებისათვის ვიმღერე, ეს იყო 1980 წლის აგვისტოში. მამინ მეთხე ავრეგატი ჩაბარდა ი. ცისკარიშვილი საბჭოთა კავშირის გმირი გახდა. ჩვენ, ალბათ, დიდ შეცდომას ვუშვებთ, რომ უფრო ხშირად არ ვხვდებით მუშებს, კოლმეურნეებს. ხელოვანი რაც უფრო ცნობილია, რაც უფრო მაღალია მისი სამშემსრულებლო კლასი, მით მეტ ვალდებულებას უხდა გრძნობდეს მშრომელთა ფართე მასების წინაშე, რადგან მაღალი ხელოვნება უფრო ადვილად პოულობს გზას მშრომელთა გულბისკენ.

ზ. სოტკილავას შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ვოკალურ-სიმფონიური თანრის ნაწარმოებებსაც (ვერდის „რეკვიემი“, როსინის „საწიემო მესა“, ბრუნერის სიმფონია, მისივე „ტიდუმი“) რაც უფრო მდიდრდება რეპერტუარი, მით უფრო მძლავრად შლის ფრთას ფანტაზია.

— უახლოეს გეგმაში მაქვს თბილისში შევასრულო ყველა ის ხაწარმოები, რომლებიც ქართველი მსმენელისთვის ჯერ არ მიმღერია. ვოცნებობ შეიქმნას ახალი ქართული ოპერა, რომელშიც დამიქსრუება თანამედროვე გმირის შესრულება.

ზ. სოტკილავას სამშემსრულებლო ოსტატობა ზეხიტშია. წარმატება ვუსურვოთ მას მომავალშიც, რადგან იგი გახლავთ ერთ-ერთი იმ ქართველ მოღვაწეთაგანი, ვინც ესოდენ აფართოებს და აღრმავებს ქართულ-რუსულ თეატრალურ ურთიერთობებს.

რედაქციის თეატრალურ
აფიშასთან

პირა კვიჩია

პირიანა სხსლი ლვივება

ქართული საბჭოთა ლიტერატურის პირველ საკოლმეურნეო გმირს მექის (კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“) ეხაკვიანთა მესაფლავე დახუნდარა ეუბნება: „შენი კერიიდან რომ კვამლი ამოვა, მექი, შენზე იტყვიან დასახლდაო, სოფელი სათვალავში ჩავთვლის, კაცად გიცნობენ“. ეს მადლიანი ფრაზა ამეკვიატა, როცა თბილისის დიდ დასახლებაში გლდანს რომ ვეძახით, ახლად გახსნილი სახელმწიფო დრამატული თეატრის რიგით მეოთხე პრემიერას

რას დავესწართ და ი. ვაკელის „პრაკუნე ჭიჭიშვილის“ წარმატების მოწმე ვავხდით. რაღაცით გავდა ის საღამო დახუნდარას გლხურ ფილოსოფის. თეატრის კერია გაჩაღებულია. მისგან წამოსული ხასხასა ლურჯი კვამლი ყოველი ახალი სპექტაკლია, თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრი კი დასახლებული და სათვალავში მიჩნეულია.

თეატრმა უმოკლეს დროში დრამატურგის ყველა ქანას მიმართა: ტრაგედიის მძაფრ კოლოზიებს, პეროიკულ დრამას, კომედიის სილაღეს, ვოდველითაც გაახარა გულმემატკივარი და თანამედროვეობის ამსახველი, მუშათა კლასის თემაზე შექმნილი პიესაც შემოგვთავაზა. ასე მრავალქანრული ვახდა რეპერტუარი და თეატრმა გვიჩვენა რომ დასს ხელეწიფება შემოქმედებითი ძიებანი, შრომა, კლასიკური დრამატურგიული მემკვიდრეობის ნიმუშების წვდომა და საკუთარი ხელწერისა და მიმართულების ჩამოყალიბებისათვის ზრუნეაც. ამის საწინდრად პირველივე სეზონის დადგმებიც გამოდგება: რუსული საბჭოთა კლასიკის ქმნილებაც. ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია“, გენიალური ვაჟას „მთანი მალაზნი“, თანამედროვე

სცენა საბჭოთა კლდეან „პრაკუნე“





დრამატურგის ო. იოსელიანის „ყრუ ღძეოთები“ და ი. ვაკელის „აპრაკუნე ჭიმჭიმელი“. ამას გარდა, თვრიციალურ განსნამდე თეატრმა მოამზადა ო. ჩხეიძის „თეგლორე“.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, რეჟისორ ლერი პაქსაშვილის შემოქმედების შეხების წვრილიებს კარგად იცნობს თეატრალური საბუარი. მისი მრწამსი ჰეროიკულ-რომანტიული თეატრისაკენ სწრაფვია. მის მიერ ჩვენში თუ მოძმე რესპუბლიკების თეატრებში დადგმული სპექტაკლებიდან იმყოფათად გაისხენებით მკვეთრი კომედისა და სატირისადმი ყურადღების განსაკუთრებულ გამახვილებას. თუმცა, ამ სატირისებების ავტორი მოწმეა თეატრის თეატრში მისი მიერ დადგმული „ჭიჭრაქასის“, რომელიც ამ ზღაპრის ერთერთ საუკეთესო დადგმად მიიჩნია პრესამ. ო. პაქსაშვილის რეჟისორული გამოგონებლობა უცხო არ არის მახურებელისათვის, მაგრამ მისეული „ჭიჭრაქა“ სცენური ფახტახის ფეიერვერკი იყო და ზღაპრული სიტუაციების განზღაბრებული მშვენიერება. ამდენად მოულოდნელი არ იყო კომედისადმი ო. პაქსაშვილის რეჟისორული მზერის მიპყრობა. საამისოდ საუკეთესო არჩევანი განზღადთ აპრაკუნესა და მის ავანჩავანთა ამბავი.

„აპრაკუნე ჭიმჭიმელი“ არა მარტო ქართულ ლიტერატურაში, არამედ საბჭოურ დრამატურგიაში დაიბევირა ადგილი. პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერის“ გვერდით აოგუხა ადგილი მახურებელმა და მკითხველმაც, ათეული წლების სიცოცხლე ძიენიჭა სოციალიზმის მშენებლობის საწყის წლებში შექმნილ ნაწარმოებს. იგი დღემდე არ კარგავს მხატვრულობას, შემოქმედებით ძალას, მოვლენათა სიძარღლის გახუზომელ მზიშვნელობას, გამოჩენვა ბასრი სატირული ქღერადობით და ჭეშმარიტების დამკვიდრების სწრაფვით. ჭიმჭიმელის სცენურმა სახემ თეატრალური ნათლობა ოცდაათიან წლებში მიიღო და

დღემდე შეინარჩუნა ყვარყვარეს ხარიტონის, დახუნდარას სენზიტიური ფერადოვნება. იონა ვაკელი ქართულ დრამატურგთა იმ თობის წარმომადგენელია, რომლებიც მომსწრე და მოწმენი არიან ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის ბრძოლის რთულ გზაზე აღმართული დაბრკოლებების, მიხინჯი გამოვლინებების, შელაპაზებული ხიხის, მიჩქმალული მანკიერების დაძლევისა. ცხოვრებამ დაგვანახა, რომ უდიდეს ცვლილებებსა და გარდაქმნებთან ერთად რჩება აქტიური პრობლემა აპრაკუნეების წინააღმდეგ ბრძოლის გარდევლობისაც. ჭეჭყის წინსვლასთან ერთად ზოგჯერ სუფთა დანალექში შეიმჩნევა ჭუჭყის მოლეკულა, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ბრძოლის დასაწყისში აღმოჩენილს და იმპრომატ შეუძლებელია დამშვიდება. ყველა დროს ჰყავს თავისი აპრაკუნე და მით არის მხატვრული ლიტერატურა მარად მებრძოლი, მხოლოდ მას შესწევს უნარი დროულად შეამჩნიოს და საამკარაოზე გამოიტანოს გამოსატანი, გამოაშკარავს გამოსაშკარავებელი. მიტომაც არის პირვანდელი მზიშვნელობით ფასეული ჭიმჭიმელის მხატვრული სახე, ამიტომაც მიმართა დღეს თეატრმა ამ დაუბერებელ პიესას. წაიკითხა და გადამწყვიტა იგი ახლებურად. ამიტომაც აყლერდა სპექტაკლი და რეჟისორის დამსახურებაც ესაა.

ო. პაქსაშვილის დადგმის სარეჟისორო გეგმა პროფესიული ექსპლიკაციის ნიმუშია. სპექტაკლი დანვეწილია, კომედიური მხარე ლალი, მოქმედ ვიროთა ხასიათები გამოკვეთილი და ცხადი, სცენური ქმედება გამართლებული, მასა — გაქტიურებული, მიხანსცენებია აზრიანი და ლამაზი, ყოველი ეპიზოდისა და ეტიუდის ამოცანა გაართლებული და კომედიისათვის უცილობელი სიმსუბუქით არის შეფერილი. ბეგრია ერთობ საჭები სცენა. მაგალითად, ვარდენთას შეხვედრა, მეზობელი კოლმეურნობიდან ჩაის მოპარვის ცდა, ჭიჭრით დასუსხული ხალხის,



ძველის შემქმნის კომიკური სცენები, რომლებიც რეჟისორული ფანტაზიის უბადლო ხაყოფია და სახანაობითი თვალსაზრისით შესანიშნავი, მაგრამ, როცა ვამბობთ, რომ დადგმის ფორმაა ახალი, სხვისაგან ჯერ შეუხებელი, შეუძლებელია განუშარტებლად მივიღოთ ეს განცხადება.


დადგმის ახალ ფორმაში იმას როდი ვგულისხმობთ, რომ ლ. პაქსაშვილს წინანდელი დადგმებიდან არაფერი არ გაუშეოვებია. დადგმის ახლებურებაში იმ ფორმებსა და წარმოსახვის იმ საშუალებებს ვგულისხმობთ, რაც სხვას აზოადრაც აო მოსვლია. ამიტომ ითქვა ამ სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, არც გვეგონა დღეს „აპრაკუნეს“ ასე დადგოდა თუ შეიძლებოდა. ითქვა ეს პროფესიული მკურნებლისაგან, თორემ ი. ვაკელის აივისის ტექსტს ვიცხ მოისმენა, ისეც ისიათვხებს. ახალი ფორმის შეხება დადგმაში, პეისიდან დაიწყო. ლ. პაქსაშვილმა ახალი ინტერპრეტაციით დაუბრუნა სიცოცხლე ტექსტს, ცხოვრების რიტმის შესაბამისი ცვლილებანი შეიტანა მასში და გათმასხველობითი საშუალებები უწინარესად ცხოვრებისეული სიმათლის მხატვრული ინფორმაციისაგან აიღო. წინააღმდეგ შემთხვევაში რეჟისორული ინტატობა მხოლოდ თვითმიხზუარი იქნებოდა.

სპექტაკლში აპრაკუნეს მხატვრული ტიპაჟი პიროვნული სატირისათვის არ არის წაოზოდგნილი. იგი მხატვრულად განზოგადებული რეალური ცხოვრებიდან აღებული ტიპაჟია, რომელიც ყოველ სიანხლეს მოჰყვება და თანხლებია დადებითი გმირისა. ამდენხად იგი ტიპური განხა ჩვენნი დროისთვისაც.

სოციალური გარდაქმნის ნაყოფი, ცხადია, როგორც ყოველი სიანხლე ცხოვრებაში, განმტკიცებამდე და გარკვეულ ნორმად ჩამოყალიბებამდე რთულ პროცესს გაივლის, ახალ ეპოქაში განიცდის მოდერნიზებას, ძველსა და დრომოქმულს თანდათან იშორებს, იძენს ეპოქის მიერ ნაქარნახვე სი-

ანხლებს, რაც შემდგომ განხორციელდება პროლოგს ნიჭიერ მხატვართა შემოქმედებით პრაქტიკაში. დღევანდელიობით არის ნაკარნახევი ხაცნობი პეისის პაქსაშვილისეული დადგმა. აპრაკუნეს სცენური სახე რეჟისორმა გაათავისუფლა გრიმისაგან. ადრე ძირვეული ვიყავით გროტესკობამდე, დაყვანილ სცენურ სახეს, მეტიც — გამარჯებულს. რატომღაც აპრაკუნეს აუცილებლად უნდა ჰქონოდა გროტელი ცხვირი, ღიმი, ალაგალაგ ბეწვჭერჩინილი შელოტი თავი, ცოდა გალიფე შარვალი და უსაშველოდ ფაშფაშა პერანგზე ქამრად ღვლეტი ჰქონოდა შემოჭერილი, ეოთი სიტყვით, ითავითვე დაციხვის საგახი უნდა ყოფილიყო. გარეგნობიდან გამომდინარე განვეწყობოდით ხოლმე მისადმი ანტაგონისტურად. ლ. პაქსაშვილისა და დ. დვალიშვილის აპრაკუნე ჩვეულებოივი ანაღაზრდა კაცია, ხორშალური შესანდდავ, დადის, ცხოვრობს ჩვენს გვერდით, მოდერნად აცვია, არც გოძელი ცხვირი აქვს და ძაინც სიძახისხვეს ჩვენი ყოფის. წაომოიდგიხეთ იძექვიდრესაც გვეტოვებს, აბა, უაპრაკუნეოდ ხომ არ დავეტოვიდრიო ქვეყანას, დამაჯვრებლად აცხადებს წარმოდგენის ფიხალში აპრაკუნე. ეს ფინალია სწორედ რეჟისორული ჩანაფიქრის კოედო და საუცხოოდ მიხახმილწეული. ისმის „სოს“, რეჟისორმა ჩამოჭრა გამაფრთხილებელ ხარს, რაკი სუამის გამოცლა შეგმელით და დაკავებული თახამდეტობიდან გაჯათავისუფლეთ, ნუ გვეგონება საიოლოოდ მოვიშორეთ აპრაკუნე, სადღაც აკვანში დაიქყვილა ახალმა აპრაკუნემ. სპექტაკლის ფიხალიდან ასულეტილი სატირის ეს ისარი მიხახს ხვდება. ამდენად დიდიან სპექტაკლის ზემოქმედებითი ძალა. წარმოდგენა ლაკოსიზმით, ექსპრესიულობით, აზრის სისხარტით, იდეული სიმძაფრით გამოირჩევა.

რეჟისორმა დ. დვალიშვილის და ნ. ყურაშვილის სახით ქვემარიტად ბრწყინვალე შემსრულებლები იპოვა აპრაკუნესი და ვარ-



დენისა. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი დ. დვალიშვილი ცხვრის ტყავში გახვეული მგელია, გარეგნულად საოცრად მშვიდი, უმტკივნეულო რეტროგრადი, სულიერად დაქვეითებული სუბიექტივისტო, მანიაკი, მანკიერი ფილოსოფიით, რომელსაც რეჟისორი ვხადავხა ოსტატურად გვაწვდის. ძალდაუტანებლად, უშუალოდ, გმირის სიცოცხლით ცხოვრობს და მართალი აქტიორული საშუალებებით მოქმედებს, ამხინჯებს სოფელს, თანასოფელთა სულელებს, ცხოვრების სინამდვილეს, მთელ ჩვენს ცხოვრებას. მის თარგზე იჭრება და მისთვის კეთდება ყველაფერი. არც არაფრის რცხვენია, არც არაფრის შიში აქვს: „მომაფუროთხე, თორემ ვერ მოვიწმინდავ!“ ესაა ერთერთი მისი ბრძნული ტირადათაგანი. მის ხელშია კოლმეურნეობა, სოფელი, და, როცა ასპარეზზე ჩნდება მეორე ყეყეჩი ხელმძღვანელი მუშაკი ვარდენი (მსახიობი ნ. ყურაშვილი), იწყება რეჟისორული გამომგონებლობის კიდევ ახალი ხერხის წარმოჩენა: თუ აქამდე მთელი სოფლის მამაკაცები აპრაკუნესდარად იყვნენ შემოსილნი, ვარდენის გამოჩენისთანავე მისდარ კოსტიუმებში გადაინაცვლეს. ვარდენის უბადლო სატირული სახე შექმნა ნ. ყურაშვილმა. მსახიობის ხალასი ნიჭი

და აქტიორული საშუალებებით ჩანს ყოველ წუთს, მართლაც, როცა უსიტყვოდ ხის, იგი მაყურებლის მხედველობის არეს არ შორდება. პირიქით, თვალს ვერ მოსწყვეტ მის ყოყლოჩინა ანფასს. ნ. ყურაშვილის გმირი ყალბი ტირადებით არის თავბრუდამხვეული, მისთვის განკუთვნილი ქებათაქების სადღეგრძელოებით სათქმელად გრძელი ყანწყების ტრიალითა ჩაყურყუმალბებული. ნ. ყურაშვილმა ქედმილობით დამახინჯებული აღამიანის სამყარო კარგი აქტიორული საღებავებით მოგვაწოდა და დავგარწმუნა, რომ ამ დრამატული ნიჭის მსახიობს შესწყვეს კომიკურად განწყობის ნიჭი. ერთმანეთზე უკეთესია მის მიერ ამ თეატრში შესრულებული მრავალწახნაგოვანი სცენური სახეები ჯოყოლასი და ალექსეისა. რადიკალურად განსხვავებული მათგან ვარდენი — გროტესკული სახე, მსახიობის მიერ ბეწვის ხილზე ჯამბაზის ოსტატობით გამოტარებული. დრამატული მსახიობისათვის ჩინებული ვოკალური მონაცემები ჩუქურთმასავით ეწნება ნ. ყურაშვილის ნიჭის უმშვენიერეს ფორმებში გამოვლენას. იგი გაბედული, მაძიებელი შემოქმედია, რომელმაც კარგად იცის კომედიამი — ზომიერების, სიმლერაში — მგრძნობიარობის, ცეკვაში — ცეცხლოვანების, მეტყვე-

სცენა სპექტაკლიდან „აბაჯენე“



ლებამი ბგერის წარმოთქმისა და საერთოდ შობბლიური ენის ფასი.

დროის მცირე მონაკვეთია, ერთი ამოსუნთქევა ჭიმჭიძელის ბოვინი და სპექტაკლშიც ვერ იპოვით პაუზას, რომელიც სავსე არ იყოს სათქმელით, საინტერესოდ შექმნილი სცენური სახეებით. აპრაკუნეს გულის სწორი პეპელა (მსახიობი მარინე ხარჩილავა) თავს გვამახსოვრებს ლალი ქმედებით. ეს უსაქმური, იოლი გზებით მავალი თვალთმაქცი დედაკაცი რაპდენიშე მახვილი შტრიხით სრულყოფს პეპელას ბუნების წარმოჩენას. მ. ხარჩილავას უხვად მოეპოვება ფერები მის მსახიობურ ახალგაზრდა პალიტრაზე სახისათო გმირის დასახატად. განსხვავებული სცენური სახეა სათნო მარიაში, რომლის სიძლიერე შინაგან ბორჯვასა და სიმართლესი. ადრე თუ მარიაშის სახეს ხატვდნენ როგორც ენერგიულს, შრომაში ჩაფლულს, ხელმედაკაპიწებული, მისთვის ვაქცაყური ბუხების ქალის გამოსაძერწ შტრიხებს არჩევდნენ, ნ. ბადალაშვილმა ქალურობა არ მოაცილა მოწინავე კოლმეურნის სახეს და დაგვარძუნა, რომ ფაქიზი, ნახი, სულიერად ამაღლებული უნდა იყოს სულით ძლიერი, შრომის დამკვრელი. სიმართლისათვის საბრძოლველად მას არ სჭირდება დაკუნთული სხეული, მისთვის პირდაპირობაც საკმარისია სიყალბის დასამარცხებლად.


რესპუბლიკის სახალხო არტისტის მ. ხაჯალიას და მსახიობ ნ. ხიდურელის გამოცდილება და ოსტატობა კიდევ უფრო ამკობს ამ თეატრის ახალგაზრდა დასს. მსუბუქად ხატავენ ისინი ემოკრიტესა და არქიფოს სახეებს და ფეროწერულ ოსტატობამდე აპყავთ ტიპაჟები. მათი იარაღი უშუალობაა, ბუნებრივობა, რაც დამრიგებლურად შემოქმედებს და მაგალითია კოლეგებისათვის. კარგად გვამახსოვრდება ხახულისა და ბუხუტიას შემსრულებლები მ. სეთურიძე და ვ. შინამვილი, მცირეოდენ გაზვიადებულა კვერცხის დაღების შარუული სცენა. თავს გვამახ-

სოვრებს ნ. ფაცურას კუკურა, მეტი ფერები სჭირდება კვიტიას სახეს (მსახიობი ვ. ციცილოშვილი), სპექტაკლის საუკეთესო კომპონენტია ხრინწანის მოდერნიზებული ქორო მახვილა და ხატოვანის მისი სპექტაკლს უ. ახარაშვილის მუსიკა და ბ. მონავარდისაშვილის ცეკვები. სპექტაკლის გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ა. ჭელიძის სცენოგრაფიას. ლეკორაციის არქიტექტურული გააფმოცვა მსუბუქია, კონსტრუქცია — სადა, სამოქმედო ასპარეზი ლალი.

თეატრის არჩევანი გამართლებულია, გზა — სწორი, მიზანი — ნათელი. მის კერაზე ღვივდება შემოქმედებითი ცეცხლი, გვიხიდავს, გვათბობს და გვააჟებს.

...შენი კერიდან რომ კვამლი ამოვა, მეტი, შენზე იტყვიან დასახლდათ, სოფელი სათვალავში ჩაგთვლის“...

თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრი დასახლდა, იგი სათვალავში ისე მიითვალა ქართული თეატრების ძველმა და დიდმა ოჯახმა, თითქოს მისი ნაბოლარა კი არა, სამემკვიდრე ძეა



ახალგაზრდული თეატრი:

„საჭიროა პიროვნული პასუხისმგებლობის აეპლდება“

მეტების ახალგაზრდულმა კოლექტივმა დადგა ალ. ჩხიძის ცნობილი პიესა „ხიდი“. წარმოდგენას, უბრალოდ ავტორთან შთიანხებით, უწოდებს „უძიებდე“. ახალმა სპექტაკლმა საკმაოდ ინტერესი გამოიწვია. ვთავაზობთ საუბარს სპექტაკლის დამდგმელ რეჟისორ კანდიდ გურგენიძესა და მეტების თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგის გ. მურღულიას შორის.

— „ხიდი“ საკმაოდ პოპულარული პიესაა, იგი მრავალ თეატრში დაიდგა, როგორც ჩვენში, ისევე უცხოეთში. აი, ახლა თქვენ მეტების თეატრში დადგმისას სათაური შეუცვალეთ, ეს უბრალოდ სათაურის შეცვლაა თუ...

საკუთვლათაოდ ცნობილი ფაქტია — სხვადასხვა თეატრი, რომ მიმართავს ერთსა და იმავე მასალას, თავისებურად, საკუთარი შემოქმედებით სტილიდან გამომდინარე განიხილეს პიესაში დასმულ პრობლემას. ჩვენეულ გადაწყვეტას, ჩვენი აზრით, სწორედ ამგვარი სახელწოდება შეეფერება, რაშიც მე გმონი, ის მაუბურებელიც დამითანხმებ, რომელმაც უკვე იხილა სპექტაკლი.

— არანაკლებ საინტერესო უნდა იყოს მაყურებლისთვის რამ გამოიწვია დღეს ამ პიესის დადგმა. საზოგადოებამ უკვე იმდენჯერ ნახა „ხიდი“ მიხედვით განხორციელებული სპექტაკლები, რომ თითქოს ახლებური თვალთახედვა ერთგვარად გამორიცხულიც კი იყო. რისი თქმა სურდა დამდგმელ ჯგუფს, რა დინამია მან აქტუალური და შემოქმედებითი თვალსაზრისით აუცილებელი ამ პიესაში?

— უპირველესად ჩვენ იმის თქმა გვსურდა, რომ პრობლემა, რომელიც ალ. ჩხიძის ამ ნაწარმოებშია დასმული, ჯერ კიდევ აქტუალურია. ბრძოლა, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში აგრე უკვე რამდენიმე წელიწადია მიმდინარეობს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, არ შეიძლება დასრულებულად მივიჩნიოთ, რაზედაც ახალგაზრდულმა კოლექტივმა დადგმა დაიწყო.

ნივთ, რაზედაც არაერთხელ ვსაუბრობდით, ლი. ბოროტება აღვიკენებდით, მაგრამ მის დაძლევას დიდი დრო სჭირდება. ამ ბრძოლაში ხელისუფლებას განსაკუთრებით შემოქმედ ახალგაზრდობას. არ შეიძლება ეკავოს პასიური პოზიცია.

დღეს ზოგიერთები ლაპარაკობენ ახალგაზრდა თაობის პოლიტიკურ და სოციალურ ინერტულობაზე, რაც სრულიად უსაფუძვლოდ მიგვაჩნია. ჩვენ ვვინდოდა გვეჩვენებინა, რომ თანამედროვე ახალგაზრდობას გულთან ახლოს მიაქვს ყველაფერი ის, რაც ხდება ჩვენს ქვეყანაში და მთლიანად მსოფლიოში. სპექტაკლი ეხება პიროვნული, ხაზს ვუსვამ, პიროვნული პასუხისმგებლობის ამაღლებას. საზოგადოების დიდი ძალა ხომ სწორედ ცალკეული პიროვნების პოლიტიკურ და სოციალურ აქტივობაშია. ჩვენ შევეცადეთ გვეცვალოდით ყოფითობას და წარმოდგენის მხატვრულ სახეთა სისტემა უფრო სიმბოლური გავგებოდა. როგორ მივაღწიეთ ამას, დაე მაყურებელმა განსაჯოს.

რაც შეეხება დასმული შეკითხვის ბოლო ნაწილს სპექტაკლის შემოქმედებითი თვალსაზრისით აუცილებლობის შესახებ, უნდა ითქვას მხოლოდ ერთი რამ — არ არის საკმარისი, რომ აღამაინო კარგი სოციალისტი იყოს მხოლოდ, უფრო მეტად — არც მისი პასიური კეთილშობილება რაიმეს მაქნისი. პიროვნების შინაგანი სიკეთე და სამართლიანობა დინამიკაში უნდა გადაიზარდოს. ჩვენი მსახიობები ისეთი დიდი გულმოდგინებითა და, მე ვიტყვოდი, შემართებით მუშაობდნენ ამ სპექტაკლზე, რომ ექვი არ არის არც მათი შემოქმედებისთვის ჩაუვლია უკაცოდ ამ წარმოდგენას.

თუ არა მსახიობთა პირადი ინტერესი და მათი ბუნების შთიანია გამსჭვალვა სპექტაკლში დასმული პრობლემათი, ალბათ, შეუძლებელი გახდებოდა მაყურებლის თანამოზიარედ გახდომა. ეს თანამოზიარობა კი დღეს ფაქტს წარმოადგენს, ერთის მხრივ თავად პრობლემის აქტუალობის გამო, მეორეს მხრივ კი, ვიმედოვნებ, სპექტაკლის ხარისხის გამოც თუმცა, მის ნაკლოვან მხარეებს ჩვენც კარგად ვხედავთ.

— ერთი საჩიოთიო შეკითხვაა გევაქვს — რეჟისორის თავდაპირველი იდეა სრულყოფილად იშვიათად თუ ხორციელდება ხოლმე სპექტაკლში. ყოველთვის რჩება უკმარისობის გრძობა. რის მიღწევა ვერ შეძელით წარმოდგენაში?

— ამ შეკითხვას ასე ვუპასუხებდი: სპექტაკლის მხატვრული გადაწყვეტა, მისი ფორმა იმდენად მრავალწახნაგოვანი აღმოჩნდა, რომ მის ცალკეულ კომპონენტთა იდეალური შერწყმა, ცალკეულ სახეთა დახვეწა დროის იმ მონაკ-



ვეთში, რაც დათმობილი ჰქონდა მომუშავე ჯგუფს, საკმარისი არ აღმოჩნდა. თუმცა, ყველაფერს დროს ნუ დავაბრალებთ. „ეტიმბელი“, რომ ვამბობთ, ეს არა მხოლოდ ქემშარტიტებისა და პიროვნების მიერ საკუთარი თავისა და ადგილის ძიებას გულისხმობს, არამედ იმასაც, რომ ჩვენ თვითონ, ყოველდღე უნდა ვისწრაფოდეთ სრულყოფილ ჩვენი შემოქმედებითი მუშაობა. ვეძებთ... ვნახოთ სროგორი იქნება შედეგი.

— საზოგადოებას კარგად ახსოვს რუსთაველის თეატრში „ხიდი“, შემდეგ სატელევიზიო დადგმა, რომელშიც ჩვენი საყვარელი ერთი მანჯგალაძე და სხვა ცნობილი მსახიობები თამაშობდნენ. ძალიან ადვილი შესაძლებელია უშუალო პარალელების გაგება, რაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარ რისკს წარმოადგენს. რას ვეუბნებით თქვენს სპექტაკლში მონაწილე მსახიობების შესახებ?

— ჩვენ ყველაზე მეტად ვგრძობდით, რომ თუკი ჩვენი მუშაობის შედეგი მხოლოდ პარალელიზმად შეიგვიყვანდა, არც ღირდა „ღია კარების მტკრევა“. სპექტაკლის დაღწევების სხვაგვარობაში იმთავითვე გამოიკვეთა სახეთა კომარება, რადგან უშრავლეს შემთხვევაში ჩვენი მსახიობები თამაშობდნენ თქვენს მიერ ნახებულ დადგმის პერსონაჟთან განსხვავებულ ტიპებს.

პროკურორის თანაშემწის რაზმების სახით (მსახიობი რუსუდან ქვიციანი) ჩვენ შევეცადეთ დავეხატა პიროვნება, რომელიც საკუთარ თავთან ჭიდილში პოლულობს ქემშარტიტებს. მისი საბოლოო პიროვნული გამოვლიანება მხოლოდ ფინალში ხდება. ამ წარმოდგენაში მსახიობები თამაშობენ არა მხოლოდ შეთავაზებულ სახეს, არამედ საკუთარ თავსაც. პიროვნული ინდივიდუალობა კი განუმეორებელი ფენომენია და ყოველგვარი პარალელი გამოირიცხულია.

უნდა დავუმატო ისიც, რომ პრემიერის შემდეგ დამდგმელი ჯგუფის მუშაობა არ დასრულებულა და ვიმედოვნებ, სპექტაკლის სიყრდნული ცხოვრება კიდევ უფრო მეტად დახვეწს სახეთა სისტემას.

— როგორ წარმოიადგენიათ სპექტაკლის შემდგომი ბედი?

— სპექტაკლი მთავრდება იმისთვის, საზოგადოებისთვის იქმნება. მისი სიცოცხლე მხოლოდ ხალხის ინტერესზე და ყურადღებაზე დამოკიდებულია.

ჩვენ ვაპირებთ ამ სპექტაკლით მივიდეთ ახალგაზრდობის ფართო აუდიტორიასთან და ეკუთვნის გულაბილი პრინციპული, მოქალაქეობრივი პათოსით გამსჭვალული საუბრე-

ბი. თუკი ეს მისია შესრულდება, თავს ვამსახურებ ვებულად ჩათვლით.

დასასრულ მინდა გამოვიტყვა რწმენა, რომ ახალგაზრდა თაობა, საერთოდ ყველა მაყურებელი მზარს აგვიხამს, რომ ერთობლივად მივალწით სახურველ მიწას — ერთგულად ვემსახუროთ სიმართლეს, სიკეთეს, ვიყოთ ჩვენი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების მუშაგულში, გვერტვას პატიოსანი, შევგებულნი, პატრიოტის, მოქალაქის სახელი.

დავით კლიაშვილის სოუზები

თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა სიმონეთის დ. კლიაშვილის სახ. საშუალო სკოლასთან არსებულმა მოსწავლეთა დრამატულმა წრემ სკოლის შენობაში მაყურებელს უჩვენა დ. კლიაშვილის „სლოტონ მორბედი“, რომლის ინსცენირების ავტორი და დამდგმელია საქართველოს თეატრალური საზოგადოების ქუთაისის განყოფილების „მსახიობის სახლის“ მთავარი აღმინისტრატორი რამაზ გიორგაძე. სწორედ მისივე ინიციატივით და ხელმძღვანელობით შეიქმნა აღნიშნული დრამატული წრე, რომელიც ერთადერთი თერჯოლის რაიონის სკოლებს შორის.

დადგმის მხატვრობა ეკუთვნის თ. კობრიძეს, მუსიკალური გაფორმება ტ. ბერაძელოვს, მეტყველების პედაგოგია ვ. გიორგაძე. პრემიერის შემდეგ გამართა სპექტაკლის განხილვა, რომელზეც საინტერესოდ ისაუბრეს თეატრმცოდნეებმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ე. ვალუხტოვამ, ი. ვაათაძემ, კ. ნინიკაშვილმა, ვ. ბრეგაძემ, პოეტმა ფ. ფხაკაძემ, დრამატურგმა, გ. იმერელმა და კინომსახიობმა ა. გუგუშვილმა.

რამდენიმე დღის შემდეგ დ. კლიაშვილის სახლ-მუზეუმში გამართა თეორიული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა მწერლის დაბადების 120 წლისთავს. აღნიშნულმა დრამატულმა წრემ ღია ცის ქვეშ წარმოადგინა თავისი სპექტაკლი. მუზეუმის ეზოში გათვალისწინდა წარმოების გამარჯობა.

ნინოსა კვიციანი

ლია ბაბრიაძე

„მარადისობის კანონი“

3055 თანამედროვე ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებას გულმოდგინედ აღწევნებს თვალს, უთუოდ შეინიშნავს, რომ მებრძოლი, მძაფრი, პრობლემატური თეატრის პულტთან სულ უფრო მტკიცედ იკავებს ადგილს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებელი მოღვაწე, გრიბოედოვის სახ. რუსული დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი გიჟო შორდანიანი.

გიჟო შორდანიანს რეჟისორულ ხელწერას ახასიათებს ახალი გამოშახველობითი საშუალებების გამოყენებული ძიება, დრამატურგიალი შესაღის თამაში ადაპტაცია, სცენური ეპოზოდების ფართო სივრცობრივი გადართვა, რეჟისორული ფანტაზიის შინაგანი სინათლე და სიმართლე. ამიტომ თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები მუდამ მოხარულნი არიან, რომ პროფესიულ დაოსტატებს ასეთ ნიჭიერ ხელოვანთან გადაიან.

ჯერ არცეი ჩამცხრალა სტუდენტურ სცენაზე „სამოთხის ჩიტი“ გამოწვეული ადატაცება, რომ წარმატებით დაადგა მოსოხტეატრსელთა სალიბლომო სპექტაკლი „მარადისობის კანონი“.

მოქმედ პართა სიმრავლის გამო სტუდენტურ სპექტაკლში ერთსა და იმავე სტუდენტს რამდენიმე სახის თამაში უწევს, ამასთან ეს სახეები უმრავლეს შემთხვევაში კონტრასტული, ურთიერთდაპირისპირებულია.

უნდა აღინიშნოს რეჟისორის მიერ კარგად მიგნებული სცენები: „კორიწები“, „ცილისმწამლები“, ე. წ. „ანონიმურიები“, რომანში ნათქვამია, რომ სახლში დაბრუნებულ ბაჩანა რამიშვილს დახვდა ანონიმური წერილი პორნოგრაფიული და შემწარავი სურათებით. სცენაზე კი ჩვენ ვიხილეთ ამგვარი წერილების უკან მდგომ ადამიანთა ნამდილი სახე.

რომანში ნათქვამია: თამარას სასადილოში გამოჩენის სამი თვის თავზე სოფელში ქორი დარბა, აღოღდა, აგორდა, ამოძრავდა, ფრთა შეისხა, გაშალა, გაფრინდა გაზაფხულის მერცხალივით ყველა ოდის ბანსა და ფანჯარას მიაფრინდა“. ამ მომენტის სცენურ ფორმებში გამოხატვის მიზნით რეჟისორმა მამარია შვენიერ

ბერბს: სპექტაკლის ყველა მონაწილე ქალბ. დასახლისად აქცია, ერთად შეყურებს და სხვათა შორის თითქოსდა საოჯახო საქმეებით დაკავებულნი, გადასცემენ ერთმანეთს ქორებს, ამასთან ეს ქორი იზრდება, იბურება, მძაფრდება და ბოლო ქორიანაში პროტესტის ფორმას იღებს. ეს სცენა შეუდარებელია თავისი სიმბოლიკით და გარდასახვის კომიზმით. აქ გოგონებმა საოცარი ნიჭი გამოავლინეს.

ბაჩანა რამიშვილი სპექტაკლის ცენტრალური გმირია. მის ბედში აისახა დროის ტყვილი, რწმენა და იმედი, სიწმინდე და პატიოსნება. უწყვეტ ნაკადად ჩაივლიან ადამიანები, რომელთაგან თითოეული თავის კვალს სტოვებს ღმერთს, ეცვლება ექიმი (სტუდენტი ვალერი ნერგაძე) გლახუნა ბიძა (სტუდენტი ვალერი ტოროსაძე) იმის რწმენას უნერგავენ მოზარდ ბაჩანას, რომ ქვეყნად სიყუთე არ დაილევა. ცხოვრების ყველაზე მძიმე წუთებში მათ ხელი შეაშველეს ბაჩანას და დალუბავს გადარჩინეს. შემდეგ გამოჩნდა სურისავითი „ყელმოღვრებული თამარა“. და იხარა სურისის ნერგა — 17 წლის ბაჩანა იქით შეაშველა ხელი — მოაშორა ღმერთს ბასილაიას სასადილოს. სოფლის საზარელ ქორებს გაარიდა, შრომადღებზე აღებული აფანს მისცა და შემდეგ პატიოსანი სახელი აღუდგინა — პირტიცელა ბიჭი უშიზრად დაუპირისპირდა — დუტული ცენტრატქს, მამუკა იაშვილს, თორნიკე კინწურაშვილს.

შეუძლებელია არ აღვნიშნოთ სტუდენტ ზურაბ სტურუას მიერ (ბაჩანა) კარგად შესრულებული სცენები: საუბარი ბაბუასთან მანუჩარა კიკვაძის მოკვლის შემდეგ, მარიათან შეხვედრის სცენები, საუბრები საავადმყოფოს პალატაში მამა იორამთან და ბლოკასთან.

სპექტაკლმა გამოავლინა ახალგაზრდა მსახიობთა სცენური შესაძლებლობანი. მსახიობთა ამ შერწყმულ ანსამბლში პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ კახა თავართქილაძის ხალასი ნიჭიერება. იგი სპექტაკლში ორ დამეტრალურად საწინააღმდეგო სახეს — „იესო ქრისტეს“ და ბეწვეულის კომპინატს გაქნილ მმართველს — ხანდრო მაღლაფერიძეს ახსახიერებს.

კახა თავართქილაძე ქრისტეს როლში ბოლომდე ლეოტაბრივი ჰაბუკური სიმშვენიერით ბრწყინავს. მაცხოვართან დიალოგს რელიგიურ ფანატრმამდე კი არ მიყვებარო, არამედ ადამიანის არსებობის აზრის ძიებადღ. სწორედ აქედან იღებს სათვალ მარადისობის კანონი.

ქრისტესთან შეხვედრა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ეპოზოდია სპექტაკლში, ისე როგორც რომანში. მარამ აქ მინც დიდი იყო ქრისტეს სახის არასწორი ინტერპრეტაციის საშიშროება. და აი ამ მხნელად გამოჩნდა სიმბოლიკა, თეატ-



რალური აზროვნების სინთეზური მთლიანობა, როგორც გიჟო უორდნაის სტილის განმსაზღვრელი ნიშანი, სექტაკლში ქრისტე მწიფური ველიდან კი არ შემოდის, როგორც ეს რომანშია, არამედ სინთეზის სამყაროდან და ისევე ამ სამყაროსაგონ მიემართება. ამით რეჟისორმა სიმბოლურად მიუთითა ადამიანის გონებაში დღოის შექმნის პირველყოფილ საწყისებზე იმ უშორეულეს ხანაზე, როცა ადამიანს ბნელში უწევდა ცხოვრების სიძნელეებთან ბრძოლა და გაუთვითცნობიერებულად, თითქმის გონებრივ ბინდში ქმნიდა თავის ღმერთებს და კერპებს.

კახა თავართქილაძემ სცენური გარდასახვის კარგი უნარი გამოამჟღავნა სრულად განსხვავებული სახის — ბენეფელის კომბინატის მმართველის სანდრო მაღლაფერიძის გასცენიურებისას.

სტუდენტ მეკლულ სამადალაშვილს შეეყვართ ვერელი მარგოს ტრაგიკული ცხოვრების სამყაროში. ვერელი მარგო, ვერის უბნის სიაპაე, წყალდიდობის ცოცხალი მსხვერპლი, ქუჩის ქალი და მეძაფე არ გამბედა, სხვის სამოწყალოდ და სამათხოვროდ არ დავარდნილა. ასეთი ადამიანისადმი პატივისცემა, ყურადღებანი დამოკიდებულება ამაღლებს ადამიანს. სწორედ ასეთი ამაღლებული სულის ვერელი ახალგაზრდები წარმოგადგინეს ახალგაზრდა მსახიობებმა. მეკლულ სამადალაშვილმა, როლანდ ზურაძემ, ვალერი ტრონაძემ, გია კენჭოშვილმა, ზურაბ სტურუამ, გიორგი მელიქიძემ, გია ჯაფარიძემ მაყურებლის თვალწინ ცოცხლად და შთამბეჭდავად წარმოგადგინეს ვერის უბნის კოლორიტი, ხილი მარგოს როლის შემსრულებელი მია შედეგია შეიძლება სექტაკლის აღმონენად მივიჩნიოთ. საუკეთესო სცენური და ვოკალური მონაცემები, სინაზე და სინატიფე, მკაფიო დიქცია, სცენური გარდასახვის ხალასი ნიჭი — აი, რა თვისებები წარმოაჩინა ახალგაზრდა მსახიობმა გიფი მარგოს როლის განსახიერებისას. მია შედეგია მლაღი, ბუნებრივი თამაშით სრულად განგვაცდევინა ნ. დუმბაძის ტრაგიკული გმირის კრიტიკალური შინაგანი სამყარო.

ბულოკას როლს წარმატებით ასრულებს აღქსანდრე ჯანელიძე. ფესტი, მიმიკა, ტონი, დიქცია, ინტონაცია, ასე განსაკეთ, თვით გარეგნობაც იხე მორაგო ა. ჯანელიძემ ნ. დუმბაძის პერსონაჟს, რომ მივიღეთ ერთი დამაჯერებელი. დასამახსოვრებელი პლასტიური სახე სექტაკლში. ბულოკა ქალაქური იუმორის ცოცხალი განსახიერება. ეს არის მხიარული, თავისებურად გონიერი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც უყვარს ხუმრობა ცხოვრებისეულ საკითხებზე, აქვს საკუთარი აზრი ყველაფერზე, თვით პოლიტიკაზეც. აღექსანდრე ჯანელიძის ბულოკა ცხოვრებისეული ტიპია, ნამდვილი ახალგაზრდა თბი-

ლისელი მეჭაღან თავისებური ქილიკი და ნიჭი მახვილი, ცხოვრების პრაქტიკული ფილოსოფიის გამოჩრდილი. მაყურებელი იხე ეთვისება ალ. ჯანელიძის ბულოკას, რომ დიდი ტკივილით აღიქვამს მამა იორანის სიტყვებს: „სიზმარი ავინდათ, ბატონო ბაჩანა, მზე გარდაცვილა“. ბულოკას დატარიგებულნი საწოლი სცენაზე დასჯარგის მტკივნეულ განცდას იწვევს დარბაზში.

ასევე კომიკური ელემენტების სიჭარბე გრძნობოდა ნინო ზაუტაშვილის თამაშში ნინა სანელიძის როლის განსახიერებისას. ნ. ზაუტაშვილმა ნიჭურად წარმოგადგინა იოლი ცხოვრების მოყვარული, პროტექციების მოიხმეე პანიკიორი ქალი.

სცენური დამაჯერებლობით გამოირჩეოდა მია შედეგინძის თამარა, ჭულიტა პაკელიანის ფენია, ნანა ჯაბაურის მარიამი, გია ჯაფარიძის მანუჩარა კიკვაძე.

ორთაქალის სამების ტელისის მოძღვარს იორამ კანდელაკს რომანშიც და სექტაკლშიც ხავისებური სიცოცხლურ-ეთიკური ფუნქცია აქისრია. ეს არის მეტად რთული როლი თავისი შინაგანი დინამიზმით. ამ როლში სტუდენტს დიდი სიფრთხილე მართებდა. მ. ბუბორიშვილმა დახსლია ეს ბარიერი და საზის სწორი გაზრებით შექმნა დასამახსოვრებელი სახე.

სექტაკლის საერთო წარმატებაში, გადამწყვეტი როლი შეასრულა მეტყველების პედაგოგის საქართველოს სსრ ბელოგენების დამახსოვრებული მოღვაწის დოცენტ ბ. ნიკოლაიშვილის დაუღალავმა მუშაობამ ახალგაზრდა მსახიობთა მეტყველების კულტურის ასამაღლებლად.



სცენა, მელოტეკურსელთა სექტაკლიდან „მარადისობის კანონი“.



მარიამ თვილალი

პკლავ ბეასიკაუი

„საოცარი“, „ბრწყინვალე“, „ფანტასტიური“, „არაჩვეულებრივი“ — უწოდეს შექსპირის „რიჩარდ III“. ედინბურგში, ლონდონში, ფლორენციაში, რეგიო-ემილიაში, ვენუაში, ტურინში, რომში, მილანში, ჟენევაში, ცურინში, სპექტაკლმა აღაფრთოვანა საფრანგეთში, ავინიონის ფესტივალზე დამსწრე საზოგადოება.

ყოველ ჩვენგანი ერთნაირად აღსავესება უდიდესი სიამაყის გრძნობით, ყოველი ჩვენგანი ერთნაირად ვლელავთ, ვგრძნობთ დიდ პასუხისმგებლობას არა მარტო ჩვენი საყვარელი შ. რუსთაველის სახ. თეატრის, არამედ მთელი ქართული ხელოვნებისადმი, და აი, კიდევ ერთი ახალი ფურცელი ჩაიწერა ქართული თეატრის ისტორიაში — „რიჩარდ III“ მექსიკის ქალაქ გუანო ხუატოში „სერვანტინოს“ საერთაშორისო ფესტივალზე უნდა წარმოგვედგინა.

ძალიან დღლავდა სპექტაკლის ყველა მონაწილე. უწინარესად იმიტომ ვლელავდით, რომ ხუთი წლის წინათ 1977 წ. რუსთაველის სახ. თეატრის მიერ გუანო ხუატოში „სერვანტინოს“ საერთაშორისო ფესტივალზე წარმოდგენილი ბრეტის „კავკასიური ცარცის წრე“ აღიარებული იქნა ფესტივალის საუკეთესო სპექტაკლად.

მღელვარების მიზეზი ისიც ვახლდაა, რომ მექსიკაში გამგზავრების წინა დღეებში, ჯერ კიდევ აპრილის დასაწყისში გემი „ნოვოკუიბიშევსკი“ დაიტვირთა ჩვენი სპექტაკლის დეკორაციით, კოს-

ტუმებით, რეკვიზიტით, რომელიც დროულად, უნდა ჩასულიყო მექსიკაში.

აპრილის ბოლო რიცხვებში შეგვაცხოზინეს, რომ გემი მექსიკაში არ ჩავიდა. ამ ცნობამ ააფორიაქა სპექტაკლის ყველა მონაწილე. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა გვეთამაშა ახალ დეკორაციებში, ახალ კოსტუმებში, რაც ასე არ უყვართ მსახიობებს. რობერტ სტურუა ჩვეულებრივი სიღინჯით შემოგვექეროდა და ვიგრძინით, რომ მან გამონახა გამოსავალი. გვიტხრა. ფესტივალის კალენდარის შეცვლა შეუძლებელია. სახელდახელოდ უნდა შეარჩიოთ კოსტუმები. დატრიალდა ვარდერობის გამგი კატუნა გულიევა. ბევრი კოსტუმი შეარჩიეს. ზოგი სასწრაფოდ შეიკერა, დღე და ღამ არ გამოდიოდა სამკერვალოდან გიორგი ოვანოვი, რეკვიზიტიც, რაც შესაძლებელი იყო, ვაკეთდა, აქეთ ჯონი, იქით ვიკირეინები, ბობოქრობდა თამარ ლორთქიფანიძე და 30 აპრილს რობერტ სტურუა და მხატვარი მირიან მშველიძე მოსკოვიდან გუანო ხუატოს გადრინდენ დეკორაციის შესარჩივად. 4 მაისს მოსკოვიდან გაემგზავრნენ სადადგომ ნაწილის გამგი გიორგი ლაფანი, სკენის მემანქანე გ. შერმაზანოვი, გურამ კვლინაძე და გამნათობელი ვალერიან არუთინოვი. 6 მაისს მთელი დასი მატარებლით ჩავიდა მოსკოვში. 7 მაისს კულტურის სამინისტროში საუბრისას გვიტხრეს: ჩვენ მექსიკას შევთავაზებთ სამხატვრო თეატრის სპექტაკლი, მაგრამ მათ ვადაპრით მოითხოვესო „რიჩარდ III“.

ღამის 12 საათსა და 30 წუთზე ილ-62 დაავადეჭით გზას. ირლანდიის ქალაქ შინონამდე 4 საათი ვიფრინეთ, შინონიდან ჰავანამდე 9 საათი, ჰავანიდან მეხიკომდე 3 საათი. 16 საათი ვიყავით ჰაერში. მეხიკოში სასტუმრო „ბემერ“-ში დავბინავდით, აქ დაგვიგდა თარგმანი სელმა ამსირა, შესანიშნავი ქალიშვილი, რომელმაც დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ამჟამად არის ფილოლოგიური ფაკულტეტის ასპირანტი.

ყველას ერთი აზრი გვაწუხებდა. რა ხდება გუანო ხუატოში, რა გამოსავალი ნახა რობერტ სტურუამ? 9 მაისს დილის 9 საათზე ავტობუსით გავემგზავრეთ გუანა ხუატოში, ჩამოვედით დღის 3 საათზე და დავსახლდით სასტუმრო „კარუახე“-ში სწორედ იმ სასტუმროში,



რომელშიც 1977 წ. ვახოტობით „კავ-
კასიური ცარცის წრის“ მონაწილენი.
დაგვიხელა გურამ კვლინაძე, ყველა მას
მივკვივდით, ვაკეთა დიპლომაცია? რო-
გორია? ყველაფერი კარგად არის, ნუ
ოელავთ — გვიპასუხა გურამმა, მირე
მოვიდნენ რომბერტ სტუტოლა, რამაზ ჩხი-
კაძე (რამაზი ათრე დიპლომა გუანო
ხუატოში კლიმატის შესაყოფილად) და
მთელი ტექნიკური პერსონალი, ახ-
მაორთა სასტუმრო, გაიხარა ენო-გარე-
მომ. ხვალ დილით რომბერტია, სალამოს
საუკუნეში, დღეს შესვლინება — გამო-
გვიჩხადა ტექნიკურმა რეჟისორმა ლია
ჯღანტიაშვილიმა. გავივით სალამოს 7
საათზე ლია ცის ქვეშ ისტრადანზე გამო-
ლოდა ტივიანის ანსამბლი, დალოინი
ვიყავით, მაგრამ რამდენიმე მაინც წა-
ვივით. იქვე ვავიგე, რომ ბენიკო ხუა-
რესის თეატრში, სადაც ჩვენ ხვალ სპექ-
ტაკლი უნდა ვითამაშოთ, გამოლის ის-
რავლის სიმბოლოები იარკისტრი, რომ-
მისაც ლეონარდ ბორშტინი იბრაი-
როსო. გვიხსრეს ამ კონკერტზე მოხ-
ველობაზე ლაპარაკიც კი ზედმიტომ. ძა-
ლიან ვინოვე ჩვენს თარქიმანს წაყი-
ვანე, კონკერტი დაწყებული იყო. მაინც
შევადი თეატრში, რომელიც ჩემთვის
ნაცნობი იყო წინა გასტროლებიდან,
აველი მისამე იარუსზე, პირველ განყო-
ფილებებში უკრავდნენ პრეკოფივს,
პირველ რიგში რომბერტ სტუტოლა და
გია ყანჩელი დავინახე, შესვლინებაზე ჩა-
ველი პარტურში, ჩემდა საბუნდოროდ
აღმოჩნდა ერთი ადგილი, კარგად მო-
წყობილი, მითრე განყოფილებებში უკრავ-
დნენ სტრადისკის. კონკერტის შემდეგ
რომბერტ სტუტოლა და გია ყანჩელი მთე-
ლი დამე დარჩნენ თეატრში ტექნიკური
პერსონალიდან ერთად სცენის შესამო-
სად და გასამართავად.

დილით რეპეტიციებზე რომ მივიდით,
რომბერტი მთელი დამის უძილო ტრია-
ლებდა საცენაზე, გაოცებულთ ვიდექით
და ვუყურებდით სცენას, ყველაფერი
იყო როგორც ჩვეულებრივი სპექტაკ-
ლის ოროს. რეპეტიცია გავიარეთ კოს-
ტუმებში, მოვირევეთ, შევეგუეთ. თავ-
ში ვიდედით, არავითარი ხელის შეშეშო-
ვი პარტობეი. სალამოს 9 საათზე გვაქვს
პირველი სპექტაკლი.

გარეთ რომ გამოვიდით, ქუჩაში უამ-
რავი ხალხი ტრიალებდა, სიმღერა, ცე-
კა, ცხენზე შემჯდარი ახალგაზრდები
მექსიკურ კოსტუმებში სომბერტობით

მუსიკისგან იროვნულ კოსტუმებში
მთელი ქალაქი გარეთ იყო გაშლილი.
ლი. ჩვენმა თარქიმანმა სელომა ანსარია
გვიამბო, თუ როგორ დაიწყო „სერვან-
ტინოს“ საფესტივალო მოძრაობა: 1953
წელს 20 თებერვალს სან როკის (წმინ-
და როკის) მოედანზე შეიკრბა დიდი
ჯგუფთ, რომელსაც ხელმძღვანელობდა
გუანო ხუატოს უნივერსიტეტის თეატრ-
ის დირექტორი ენრიკო რუელიას ეს-
პინოზა. აქ იყვნენ ექიმები, პედაგოგ-
ები, მოსიკოსები, ხელონები, შინამო-
სამსახურები. წარმოადგინეს სერვან-
ტის ინტერმედია, ის ტრადიციად თან-
დათან დამკვიდრდა, მოქალაქინი ყოველ
წელში იარბებოდნენ მექსიკის სხვა
ქალაქებშიდანაც. მერე კი ოცხოვლებიც
მოიწვიეს „სერვანტინოს“ პირველი სა-
ერთაშორისო ფესტივალი გამართა
1972 წელს, თესტივალის დღეებში
დღესასწაულია მთელ ქალაქში, ყველა
გარეთ გამოდის დიდი, პარკა, მოხუცი,
ახალგაზრდა, ყველა მონაწილობს ამ
დიდი თეატრალურ ცხოვრებაში, თუ
ქუჩაში პატარებმს რიგი დანახეთ, ეს
იმას ნიშნავს, რომ მათ უფასოდ ური-
გებენ ნაყინს, ან ტკბილეთუფლობას.

სალამოს 7 საათზე ყველა მონაწილე
თეატრში ვიყავით, დაიწყო სპექტაკლი,
ვანო რავარევიოროსა წაიკითხა პირვე-
ლი მოქმეობის მოკლე შინაარსი, ხალ-
ხი სოლოგანაბული ადგილებს თვალს მოქ-
მეობებს. დამთავრდა პირველი მოქმე-
დება და ივრიალა ტაშმა, მორე მოქმე-
ობებაც კარგად მიიღეს. დამთავრდა სპექ-
ტაკლი. ყავილები, შეძახილები, თიხ-
ზე იდგა მაყურებელი, უკრავდა ტაშს
და დიხხანს არ ტოვებდა დარბაზს.

მორე დღეს რამდენიმე ვახეთში და-
იბეჭდა რევენია, ისევე როგორც 1977
წ. „კავკასიური“, ახლაც „რიარლი“
აღიარეს ფესტივალის საუკეთესო სპექ-
ტაკლად. „ბრწყინალო“, „დიდებული“,
„შესანიშნავი“, „არამგეოლოგობი“, ასე
აფასიბდნენ რომბერტ სტუტოლას რეჟი-
სურას, რამაზ ჩხიკაძის რიარლს და
სხვა როლდების შემსრულებელთა ოს-
ტატობას.

12 მაისს დღის 3 საათზე გამოვეშვი-
ლობეთ გუანო ხუატოს და წამოვედით
მექსიკოში. 14 მაისს ვიწყებდით გასტ-
როლებს „რეატრო დელ ბოსკე“-ს („თე-
ატრი ტყეში“) სცენაზე. დიდი იყო ინ-
ტერესი ჩვენი სპექტაკლებისადმი. გუა-
ნო ხუატოში შექმნილმა ატმოსფერომ



გამოგვიღია გზა ასწლიანი

საგარეოს სახალხო თეატრის, რომელმაც
ახალ, ჩინებულ შენობაში აღნიშნა
100 წლის იუბილე.

წვეთ გადმოინაცვლა. მესიკოს გაზეთებ-
ში დაიბეჭდა მრავალი რეცენზია.

17 მაისს გვექონდა დასვენების დღე,
სეულმა ანსირამ შემოგვთავაზა გვენანა
სპექტაკლი პოლიფორუმის კულტურის
სახლში, თამაშობდნენ დოსტოევსკის
„საბარლო ადამიანებს“ რომელიც სწო-
რედ სეულმა ანსირას უთარგმნია. მისი
სადისერტაციო შრომაც დოსტოევსკია,
ინსცენირება და დადგმა ეკუთვნოდა
მთავარი როლის შემსრულებელს კარ-
ლოს ანსირას, (სელმას მამა). კარლოს
ანსირამ ითამაშა ჩეხოვის „აულბლის
ბაღში“ ჩებუტეჟინი, ხოლო გოგოლის
„შეშლილის წერილებით“ მოწვეული
იყო მოსკოვში, თეატრალური საზოგა-
დოების სცენაზე. ძალიან ამაღელვებე-
ლია ასეთი დანიტერესება რუსული
მწერლობით. სპექტაკლის შემდეგ შე-
ვედით კულისებში, კარლოს ანსირას მი-
ვულოცეთ წარმატება, გადავეცით სა-
ჩუქრები, მანაც მოგვილოცა „რიჩარდ
III“ გამარჯვება.

მესიკოში ჩვენი ყოფნის დროს გაიხ-
სნა როდენის გამოფენა, ვიყავით მუზე-
უმებში, ვნახეთ საინტერესო კინოფილ-
მები, ფათვალდებულებით ქალაქს. თქვეს-
მეტ დღეში ვითამაშეთ თორმეტი სპექ-
ტაკლი, ეს ძალიან დამღლევი იყო, მაგ-
რამ მადლობა ღმერთს, ამინდი ხელს
გვიწყობდა, თითქმის ყოველდღე წვიმ-
და, ვრილოდა და როდესაც ამდენი სი-
ხარულია, დალოლობას არც ვრძნობ.

აღფრთოვანებული მექსიკელები
გვთავაზობდნენ გასტროლების გაგრძე-
ლებას, სხვა ქალაქებში გადასვლას, და
29 მაისს გამოგვაცილეს იმ რწმენით,
რომ ახლო მომავალში აუცილებლად
მოგვიწვევენ უფრო დიდი ხნით. მანამდე
კი გასტროლები ვრძელდება, ჩვენს ხე-
ლოვნებას ვაეცნობა ციმბირი და შორე-
ული აღმოსავლეთი, რამდენიმე სპექ-
ტაკლით წარვსდგებით ლენინგრადალი
მეაქურების წინაშე.

შთაგონებულად (და გაბედულად
გამოვივლია გზა ასწლიანი,
ჩემს უბეზოვად ფეთქავს მტრედულად
შენი ლამაზი ფართის ნიაგი.
სწორედ რომ შენ ხარ,
შენ ხარ ის სცენა,
მე რო პირველად ამ ქვეყნად ვნახე,
შენ ვამიწაფე ენა და სმენა,
შენით შევეტებე თეატრის სახელს.

ბიჭს გულუცოდველს მამით
ობლობის
ტკივილმა გული რომ დამიბურა,
შენ შენი წრფელი

თანამგრძნობლობით
მეძეც ამ ქვეყნად პირველ
ტრიბუნად.

ხსოვნის ფერგაცილილ ფურცლებს
ხარბად ვშლი,
იმ ძველ ჟრუანტელს ვერც
გავექცევი,

შენს ძველ სცენაზე,
შენს ძველ დარბაზში
დამარჩა ბავშვური ჩემი ლექსები.
გთხოვ, მამატიო, ძველს რომ
გაქსენებ —

გული იმ ხსოვნის ღვინომ შეატრო,
დღეს ხომ ახალი ფარდა გახსენი,
თეატრო, ჩვენი გულის თეატრო.

გილოცავ ამ შენს, მართლაც, მზიან
დროს,
ფრთის ახალ გაშლას, აღორძინებას,
სულის სინათლის ბურჯო, თეატრო,
შუქად გაჰყევი დროთა დინებას.

ყოველთვის მებრძოლს, თამაშს,
ჩვენებურს
გილოცავ ახალ ახალგაზრდობას!
შენს ამშენებელს, დამამშენებელს
უწრფელეს გულით ვეძევი
მადლობას!

შთაგონებულად და გაბედულად
გზები ვაგველოს ათასწლიანი!
ჩემს უბეზოვად ფეთქავს მტრედულად
შენი ლამაზი ფარდის ნიაგი.

ახალგაზრდა შემოქმედრ
პერიფერიის თეატრში

რუსლან ოტიაშვილი:

უნდა იზარუნო ჩვენს პროფსიონალიზმზე

სსკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის თაობაზე ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ცხოვრების ქვაკუთხედად იქცა. რამდენი სასიკეთო რამ გაკეთდა რესპუბლიკაში ამ დადგენილების მიღების შემდეგ, რამდენი ახალგაზრდულ შემოქმედებით კოლექტივს, მწერალს, მომღერალს, მსახიობს გაეხსნა წარმატებისაკენ მიმავალი გზა. ქართული თეატრის მუშაკებისათვის ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ივლისის დადგენილება პერიფერიული თეატრის მუშაობის თაობაზე. ეს დადგენილება ცვადალებს ვიზრუნოთ ყოველ შემოქმედზე, ვიფიქროთ მისი ზრდის პერსპექტივაზე.

„ახალგაზრდა შემოქმედი პერიფერიის თეატრში“. ასე ჰქვია ჩვენს ახალ რუბრიკას, რომელშიც დაბეჭდება მასალები ახალგაზრდა რეჟისორების, მსახიობების, თეატრალური მხატვრების შემოქმედებით ცხოვრებაზე თბილისის გარეთ თეატრებში, იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს ახალგაზრდა შემოქმედის ცხოვრება პერიფერიაში წემოთხსნებული დადგენილებების შუქზე.

კოსტა ხეთაგუროვის სახ. სახელმწიფო დრამატული თეატრის ქართულ დასს, იკვებ როგორც ნებისმიერ შემოქმედებით კოლექტივს, თავისი საფიქრალ-საზრუნავი გააჩნია.


ამ კოლექტივის სისხლხორაკეული ნაწილია ახალგაზრდობა, რომელმაც უკვე დაიკვივრა თავისი ადგილი თეატრში. თეატრის ახალ თაობაში გამორჩეულია რუსლან ოტიაშვილის სახელი.

რუსლანი შ. რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე სავანგებოდ ცხინვალის თეატრისათვის გამოჩენულ ჭგუფთან ერთად მოვიდა ამ ცნობილ კოლექტივში. იგი დღესაც სიამოვნებით ივონებს თუ როგორ დაულოცა გზა ახალკურსდამთავრებულებს საქართველოს სახალხო არტისტთა ეროსი მანკვალიძემ, (ეროსის შემოქმედებით ცხოვრებაც ხომ ცხინვალში დაიწყო).

თეატრალურ ინსტიტუტში რუსლანმა სამსახიობო წრითობა ავ. ხორავას, გ. ლორთქიფანიძის, და ი. კაკულიას ხელში გამოიარა და არ უკვი 10-12 წელიწადი პირველადი გატაცებითა და მოწიწებით ეკიდება თავის პროფესიას. მიუხედავად კოლეგებისა და მყურებლის აღიარებისა, თვითმყაფილებით როდი განეწყო. თეატრში მუშაობის მანძილზე თითქმის ყველა სპექტაკლში იყო და არის დაკავებული. იმუშავა ამ წლებში ცხინვალში ჩამოსულ ყველა რეჟისორთან. საუბარიც სწორედ რეჟისურით იწყე-

ბა, რადგან სწორედ იგია განმამბობებელი თეატრის შემოქმედებითი სიცოცხლისა. ამ საუბარს წარმართავს თეატრმცოდნე იამზე გვათაყა.

რ. ოტიაშვილი: ცხადია, ჩვენი კოლექტივის ცხოვრებაში შემოქმედებითი სიხარულიც ბევრი იყო და ჩაგარდნაც, მაგრამ დღეს დასს ვამსაყურებთი ესაჭიროება ხელისშეწყობა რეჟისურის მხრივ, ჩვენ არა ვართ რეჟისორებით განებივრებულნი. მსახიობები ძირითადად ინდივიდუალურად ვმუშაობთ. ნუთუ ისეთი მსახიობი ვარ, რომ ყველაფერი კარგად ვამომდის, არაფერი აქვს შესასწორებელი რეჟისორის თვალსა და ხელს? ჩვენი თან რეჟისორები ხშირად იცვლებოდნენ, უმეტესად ისეთები მოდიოდნენ, რომლებიც ვერ გაზრდიან მსახიობს. ბუნებრივია, რომ მსახიობებს არ სჯეროდათ ამ რეჟისორებისა. ასეთი რეჟისორი ვერ დააყენებს მსახიობს სწორ გზაზე, რაც შეეხება პროფესიონალიზმზე ზრუნვას, იყო პერიოდი, როცა ახალბედა მსახიობები დამოუკიდებლად ვმუშაობდით მეტყველების დახვეწაზე — ჩვენ თვითონ ვვაჯრჯიშებდით ერთმანეთს, მაგრამ ეს არაკვალიფიციური მუშაობა იყო. სასცენო მოძრაობაში მსახიობებს ავარჯიშებდა ქორეოგრაფი მ. შავლოხოვი, თუმცა, ამასაც ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა.



ბ. გვათუა: მსახიობი ბრძანდებით და ალბათ, გაქვთ საოცნებო როლები. რომელ ნაწარმოებზე ისურვებდით მუშაობას?

რ. ოტიაშვილი: ოცნება კარგია, მაგრამ თუ ჩვენს თეატრში საქმე კალაპორტში არ ჩადება, მისი განხორციელება წარმოუდგენელია. ჩვენი თეატრის რეპერტუარი არ აკმაყოფილებს არც დასს და არც მაყურებელს. თეატრში არ იგრძნობა სამხატვრო საბჭოს არსებობა. არც კი ვიცით რამდენი წევრია საბჭოში, რადგან ისინი არ ვეინახავს, თუმცა ფურცლებზე ჩამოწერილი სია არსებობს. პიესას არ კითხულობენ სამხატვრო საბჭოს წევრები, ამიტომაც საბჭოს გადაწყვეტილებას მნიშვნელობა არა აქვს. ვფიქრობ, ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია იმითაც, რომ სამხატვრო საბჭოს ზოგიერთი წევრი არაკომპეტენტურია თეატრალურ ხელოვნებაში.

ბ. გვათუა: როგორია თქვენი მაყურებელი, რა უმთავრესი ნიშან-თვისებები ახასიათებს მას?

რ. ოტიაშვილი: ისევე როგორც ბევრ თეატრს, ჩვენც გვაქვს როგორც იაფფასიანი ე. წ. „საყასო“ სპექტაკლები, ისე საინტერესოც. აქედან გამომდინარე არის მაყურებელი, რომელიც მხოლოდ გასართობად მოდის თეატრში და მაყურებელიც, რომელიც ცხოვრობს თეატრის ინტერესებით, რამდენჯერმე მოდის ერთსა და იმავე სპექტაკლზე. შესაძლოა, რომელიმე სპექტაკლი ფართო მაყურებელზე ანშლავთ არ მიდიოდეს, მაგრამ როცა დარბაზში შედარებით ცოტა მაყურებელია, ეს ის ხალხია, ვისაც უყვარს და ესმის თეატრი, მათთან კონტაქტი გვამხნევეს. გასვლითი სპექტაკლების სიხშირე სულაც არ უწყობს ხელს ჩვენი კოლექტივის შემოქმედებითი დონის ზრდას. მით უმეტეს, თუ გაეითვალისწინებთ ცულ საბჭოში პირობებს. პატარა და კეთილმოუწყობელ სცენას, ცულ გზებს, სიცივეს და სხვა, მაგრამ მაყურებელს ესაჭიროება ჩვენი მისგან ადგილებზე. ცხადია, გასვლითი სპექტაკლის დროს მთლიანად ვერ გადავმოცემო შენს შემოქმედებით შესაძლებლობებს, მაგრამ როდესაც სპექტაკლი მოსწონთ, მეორე დღეს ცხინვალში ჩამოდინან მის სახანაგად. ასე იყო, როდესაც ერთ-ერთ სოფელში ვითამაშეთ „ბროწეულუმს ცეცხლი ეკიდებთ“. სპექტაკლს 40-45 კაცი ესწრებოდა, მაგ-

რამ მეორე დღეს დარბაზში, რატომაც იტყვიან, ნემსი არ ჩაეჭრებოდეს?

ბ. გვათუა: ყოველი შემოქმედითისათვის მნიშვნელოვანია მისი ცხოვრებისეული პირობები, რა მდგომარეობაა ამ მხრივ თქვენს თეატრში?

რ. ოტიაშვილი: 12 წელიწადია მეუღლესთან, ისიც ამავე თეატრის მსახიობია, და ორ შვილთან ერთად ვცხოვრობ ნაჭირავე ბინაში. მართალია, ლიმიტით ჩამოვივით, მაგრამ ბინით დოემდე ვერ დაგაეკმაყოფილეს. ასეთსავე მდგომარეობაშია რამდენიმე მსახიობი. საერთოდ კი თეატრს ძალზე აკლია ყურადღება. იშვიათად ეწყობა სპექტაკლების კვალითიციარებული განხილვები, დისკუტები, არ ჩამოდინან თეატრმოცოდნეები, ყოველი ასეთი ჩამოსვლა და განხილვა კი ჩვენთვის მაცოცხლებელი ჰაერია. გვინტერესებს საზოგადოებრივი შემოქმედებით პრობლემებზე, მოქმედება ამ პრობლემათა დასაძლევად.

ბ. გვათუა: რომელ რეჟისორთან ისურვებდით მუშაობას?

რ. ოტიაშვილი: სიამოვნებით ვიმუშავებდი გურამ მაცხონაშვილთან.

ბ. გვათუა: რა თვისებებს სცემთ განსაკუთრებულ პატივს მსახიობის პიროვნებაში როგორც შემოქმედისა და მოქალაქისა? პარტნიორთაგან ვის გამოყოფთ და რატომ?

რ. ოტიაშვილი: მსახიობის პიროვნებაში პატივს ვცემ სიმართლეს ცხოვრებაში და მხატვრულ სიმართლეს სცენაზე. ჩემი სათაყვანო მსახიობები არიან სერგო ზაქარაიძე და ეროსი მანჯგალაძე. პარტნიორთაგან კი გამოყოფდი ჯემალ გოჩაშვილს. მასთან სცენაზე ურთიერთობა საშუალებას მაძლევს გავიგო ის, რასაც რეჟისორი ვერ მიმახვიდრებს, რადგან მე მისი თვალებიდან, მოქმედებიდან გამოვივარ. ჩვენთან არიან ახალგაზრდა საინტერესო მსახიობები ჰამლეტ გოგიძე, თენგიზ ხიდაშელი და სხვები.

ბ. გვათუა: საშუალება რამ მოგიცეთ, სხვა თეატრში თუ წახვიდოდით სამუშაოდ. იმ თეატრში, სადაც უკეთესი შემოქმედებითი და საცხოვრებელი პირობები გექნებთ?

რ. ოტიაშვილი: არა. ჩემს ადამიანურ მოვალეობად მიმაჩნია ქართულ თეატრს სწორედ აქედან ამოუღდე მხარში.

დებიუტი

ლევან ხეთაგური

„სპი ახვას“ ინსპინიკუბისათვის მარჯანიშვილის თეატრში

ლევან ხეთაგური და გიორგი ჩართოლანი საქართველოს შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტები არიან. როცა მათი პირველი შრომები გამოქვეყნდება „თეატრალური მოამბის“ ფურცლებზე, ისინი უკვე მეორე კურსზე იქნებიან გადასული. ლ. ხეთაგურმა და გ. ჩართოლანმა წარმოდგენილი შრომები წაიკითხეს თბილისის უნივერსიტეტში სტუდენტთა XII რესპუბლიკურ კონფერენციაზე. ლ. ხეთაგურის შრომაში მიიღო პირველი პრემია — საქართველოს ალკც ცენტრალური კომიტეტისა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სიგელი, ხოლო გ. ჩართოლანმა მეორე პრემია და სტუდენტთა სამეცნიერო რესპუბლიკური საბჭოს სიგელი. ორივეს შრომას რეკომენდაცია მიეცა დასაბეჭდად.

გადაიღვა პირველი ნაბიჯი მომავალმა თეატრმცოდნეებმა იგემეს პირველი სიხარული პათოსანი შრომისა.


დადალ მხარებს ჩემი სტუდენტების წარმატება. მჯერა, რომ ისინი ბევრჯერ გადახარებენ. მანამდე კი სიზიფეს შრომა ელთი. არაფერი ღირებული არ შექმნილა ამჟვეყნად დიდი სიყვარულისა და შრომის გარეშე. საქართველო დიდი თეატრალური კულტურის ქვეყანაა. მის ისტორიას და თანამედროვეობას სჭირდება ნიჭიერი, განათლებული თეატრმცოდნეები.

მჯერა, რომ მათ რიგებს შეემატებიან ჩვენი ახალგაზრდები.

პასილ კიანაძე

ლიტერატურული ნაწარმოების ინსცენირება, ისტორიულად თეატრის რეპერტუარის ორგანული ნაწილი გახდა. მისი წარმოქმნა კახონზომიერი თვლენაა. ინსცენირებას თეატრში მოაქვს დიდი ლიტერატურა, თავისი პრობლემებით, ძიებებით, სახეებითა და ახალი იდეებით. ლიტერატურის გამოვლი, რომლებმაც დროთა გამოცდას გაუდლეს, მუდამ იწვევდნენ საზოგადოების დიდ ინტერესს. სმირად დოამატურგიაში იო აონს ის, რასაც პროზა გვთავაზობს.

კარგი ინსცენირება გულისხმობს ლიტერატურული ნაწარმოების დრამატურგიულ ეხანე გადატანას. ყოველი სიტუაციის ქმედებაში მოყვანას, ფულტ მიხანდასაზღობას, ლაკონურობას, „მეორე პლანის“ აოსებობას. პროზის სცენური ქმედების ეხანე გადატანა იძლევა საშუალებას თეატრს იაოვოს რეპერტუარის გამდიდრების ახალი საშუალება. რაკი ზოგჯერ დრამატურგია პასუნს ვერ იძლევა საზოგადოებაში მომწიფველ ძთელ ოივ საკითხებზე, თეატრი მას აოულთოს პროზაში. მეორე მხრივ თეატრს ყოველწლიულად სჭირდება ახალი პიესები, რეპერტუარის გაახლება. რეპერტუარის შევსება დაუსრულებელი პროცესია. მაგალითად, საქართველოში წელიწადში 150-მდე ახალი სპექტაკლი იდგება. ამის ნახევარიც, რომ იყოს, ახალი პიესა მაინც საჭირო იქნებოდა. პრაქტიკულად თითქმის შეუძლებელია პროზის გარეშე ფონს ვასვლა. ქართული თეატრის რეპერტუარი, მისი რეპისურა და აქტიორული ხელოვნება ერთობ გაღარიბდებოდა, რომ არ იყოს: ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, დ. კლდიაშვილის, გ. წერეთლის, მ. ჯავახიშვილის, ლ. ქიჩელის, ნ. ლორთქი-



ფანდიის ნაწარმოებების დადგმები, რომ არ შექმნილიყო: გ. ჯანა-
ძის პეზია „გლახის სნამბობში“ ვ. ანჯაფარიძისა და თ. ქავჭავაძის
ოთარაანთ ქერივ — ვ. გოდიაშვილის — ლუარსაბი („კაცია ადამი-
ნი?!“), ს. ზაქარიაძის — ბეკინა („სამანძვილის დედინაცვალი“),
ე. მანჯგალაძის — გვალი („გვალი ბიგვა“) და მრავალი სხვა.

ყოველივე ეს ფაქტია, მაგრამ პროზას სცენაზე აქვს თავისი
„აქილევსის ქუსლი“. ინსცენირება ბეწვის ხიდზე სიარულია. დიდი
ზოიერიებაა საჭირო, რათა მისმა მოძალებამ ხელი არ შეუშალოს
ორიგინალური დრამატურგიის განვითარებას. ინსცენირებას ახასია-
თებს ფრაგმენტულობა, თხრობა, რეზონანსობა, კომპოზიციური
მომლოლობა, ხშირად სახეების მთლიანობის უქონლობა, ეპიზოდუ-
რობა, ილუსტრაციულობა.

წინააღმდეგობის გარეშე მოქმედების განვითარება შეუძლებე-
ლია. დრამატული ნაწარმოები გულისხმობს მოქმედებას. „ღრამა —
ამბობდა ი. ჭავჭავაძე — უსათუოდ სულის და გულის უდიდეს
ძვრაზე უნდა იყოს აგებული და ამენებული, ამით იცნობა იგი ღრ-
მად“. ეს მოქმედება ვლინდება პიესის მოქმედ გმირთა ურთიერთო-
ბაში, ურთიერთობა ატარებს ბრძოლის ხასიათს, ე. ი. ხდება ინტე-
რესთა მუღმივი შეხლა-შემოხლა, სწორედ ეს ბრძოლა წარმოადგენს
კონფლიქტს. ამის გარეშე არ არის პიესა — ესაა მისი ბუნება.

თახამედროვე თეატრში დიდი განვითარება ჰპოვა პროზის პირ-
ვანდელი სახით წარმოდგენის ტენდენციამ, არა ინსცენირებამ, არა-
მედ მთელი მოთხრობის გადატანამ სცენაზე. ლიტერატურული თე-
ატრის სინთეზი კლასიკურ ტრადიციულ თეატრალურ ფორმებთან.
ამ მხრივ გამოირჩევა თ. ჩხეიძის ძიებები. მან რამდენჯერმე დადა
პროზა თავისი პირველქმნილი უშუალოებით.

ლ. ქიაჩელი „ჰაკი აბას“ გ. ხუხაშვილისეული ინსცენირების
ორი ვარიანტი არსებობს. პირველი ვარიანტი (122 გვ.) ორ მოქმე-
დებიანია, მეორე — ერთმოქმედებიანი პიესაა (34 გვ.) სწორედ მეორე
ვარიანტი განხორციელდა კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის სცენაზე.
(დამდგმელი რეჟისორი თ. ჩხეიძე, მხატვრები: ოლეგ ქიაჩაძე,
ალექსანდრე მლოცინსკი, იური ჩიკვაძე).

საოცრად გასსვავდება პირველი და მეორე ინსცენირება ერთ-
მანეთისაგან. პირველი ვარიანტი მოცულობით ლ. ქიაჩელის ნაწარ-
მოებზეც ბევრად მეტია. მასში ინსცენირების ავტორს შემოყვანილი
ჰყავს უამრავი გმირი, გაზრდილია სიუჟეტი და ახალი პლანებია
გახსნილი, რაც ნაწარმოებში არ გვხვდება. გარდა ამისა, წინა პლან-
ზე წამოწეულია ბედისწერის იდეა და ინსცენირების ავტორისათვის
ლამის თვითმიზნადაა ქცეული. დარღვეულია ლ. ქიაჩელის მოთხრო-
ბის აზრი და ნაწარმოებში სხვა ასპექტშია გადაწყვეტილი. ამიტომ
ორიგინალურ ნაწარმოებთან შედარებით იგი საკმაოდ ზედპირუ-
ლად გამოიყურება, არ ხდება გმირების ხასიათების გახსნა დიალო-
გებში, გადატვირთულია ფრაგმენტით, არის ბევრი თხრობა, მსჯელობა.
გ. ხუხაშვილი გამოცდილი დრამატურგია და სჩანს პირველი ვარი-
ანტი ირთავარ „სამეშაო მასალად“ მოიანზრა. შემდგომ დაიწყო მი-
სი გაწმენდა ზედმეტობისაგან.

თ. ჩხეიძეს ვკითხვ: მუშაობდა თუ არა ინსცენირებაზე თვითონ.
— არა — მიპასუხა თ. ჩხეიძემ — მე მხოლოდ ზედმეტს ვიღებ-
დი, რაც პირველ ინსცენირებაში იყო, რადგან თვითონ ქიაჩელის ნა-
წარმოებში ვხედავთ, რომ მოქმედება მხოლოდ ერთ საათში უნდა
დამთავრდეს და ამიტომაც ინსცენირების მოქმედებაც ამ რიტმში
უნდა მიდიოდეს.

თ. ჩხეიძის აზრით, არიან მწერლები, რომელთა ნაწარმოებებსაც
საერთოდ არ სჭირდება ინსცენირება. მაგალითად, დ. კლდიაშვილის
„სამანიშვილის დედინაცვალს“, ან მ. ჭავჭავაძის „ჯაყოს ნიზ-“



ნებს“. მე არც კი დამიწერია აფიშაზე ინსცენირების ავტორით. მათ არ სჭირდებათ ავტორები, რადგანაც მე მათგან დიდი ღირებულებებს ვიღებ და ავტორობაც მათ რჩებათ.

რეჟისორის თქმით, ლ. ქიაჩელის „ჰაკი აძმა“ ასეთ ნაწარმოებებს არ მიეკუთვნება, რადგან ავტორისეული ტექსტი ჭარბობდა ნაწარმოებში, რაც დიდი ღირებულების სიმცირეს იწვევს. საჭიროა გახდეს ინსცენირების ავტორსა და რეჟისორს შორის აქტიური თანამშრომლობა, არა ტექნიკური, ფორმალური, არამედ შემოქმედებითი.

საინტერესო ტრანსფორმაცია განიცადა ლ. ქიაჩელის ნაწარმოების პირველივე ნაწილმა ინსცენირებაში და სცენაზე. პიესაში ავტორის ტექსტის წასაკითხად შემოყვანილია მთხრობელი, მაგრამ სცენაზე ეს ფუნქცია ყველა მსახიობზე — მოქმედ გმირზეა განაწილებული. გარდა ამისა, არის ასევე მოქმედების გადაადგილება და სცენაზე გადატანილია ეპიზოდების სახით, გარკვეული კადრებით. მოქმედებას თავისი რიტმი გააჩნია და ერთი კადრის ჩაქრობასთან ერთად, მხოლოდ იწყება. სცენაზე აცხადებენ: „ეს მოხდა 1918 წელს, ქალაქ სოხუმში“. ეტლის ქვეშ უკუშემა მოექცევა (ო. მეღვიხეთ-უხუცესი) და იქვე ყვავებისა და თოლიების ხმა ისმის როგორც ბედისწერის კვილი, რომელიც თან სდევს ამ გმირის გამოჩენას და რომელიც მის სულს აფორიაქებს.

მოქმედების ყველა ობიექტი ეტლია, იგი ხან დავანაძის ბინაა, ხან — საბჭოს შენობა, ხან კი კაც აძმას საჯინბო. შეიძლება იგი ბედისწერის მანქანაცაა. — ვინ იცის?

სცენაზე გაისმა „შიდტი“-ს პორტში შემოსვლის ხმა და ლუკის სახურავი ხმაურით დაემხო ამ ხალხის წინაშე, მისგან კი ბოლი ამოვიდა. საბჭოს წევრების შხერა ამ ლუკს დაეცა და მათ თვალბში შიში აისახა, მოხუცხუნი შესცქეროდნენ და თვალბში ერთმანეთს ეკითხებოდნენ, რას უნდა ნიშნავდესო მათი აქ გამოჩენა.


ქალაქის საბჭოს ყრილობამ დაადგინა და ქალაქის დელეგაციაც სამსონ დავანაძის ხელმძღვანელობით კრესიერს ესტუმრა.

კომისარი ჟურავლიოვი (ი. გოგიჩაიშვილი) კიბეებიდან ეშვება, როგორც ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წარმომადგენელი. მანამდე კი დელეგაციამ მოასწრო ეკიპაჟის გაცნობა: ვასილ ხრიტაიუვი (მიხეილ მაღალაშვილი) მიტია გორბანი (აკაკი შანშიაშვილი). მხელვაურები ისე იქცევიან მსკოვან ხალხთან, როგორც თანატოლებთან — მხარზე უპარტყუნებენ, მათთვის არ არსებობს მოკრძალება, ზრდილობა. ჟურავლიოვი დელეგაციას უახლოვდება, ამ დროს კილვა (ირაკლი უჩახეიშვილი) გამოჩნდება, მისი სახე შემზარავია, ორადა გაყოფილი, როგორც ქიაჩელი ამბობს: „ერთი მხარე მრისხანებს, ხოლო მეორე სათნოებასა და სიკეთეს გამოხატავს“, მაგრამ კილვა სახე რევოლუციის სიმბოლიკასაც მიგვაჩივებს. ჟურავლიოვს მარჯვენა ხელი გამზმარი აქვს. ქიაჩელი ამის შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ ამბობს, ინსცენირების ავტორი გ. ხუხაშვილი — რომ იგი კილვას მარჯვენა ხელია.

ორივე გმირი ფიზიკური ნაკლითაა წარმოდგენილი, ამიტომაც ისინი ერთმანეთთან ახლოს არიან, ერთმანეთი უნდა შეავსონ — კანონმა და ძალამ, მაგრამ რომელი იმარჯვებს, ვინ იცის — ისტორია სჯის ყველაფერს.

ლ. ქიაჩელს მოთხრობაში არა ჰყავს კომისარი. გ. ხუხაშვილის მიერ შემოყვანილი ახალი სახე სწორედ იმ გაწონასწორებას გული-სხმობს, რომლის შესახებაც ახლა შევნიშნეთ. კომისარის ასეთი გამოყვანით ინსცენირების ავტორი გარკვეულ მიზანს ისახავდა. ერთგვარი ანრობრივი წონასწორობა და იდეური აქცენტების მონაცვლეობა შეაქვს კომისარს სპექტაკლის საერთო გადაწყვეტაში.

დელეგაცია თბილად მიიღო კაპიტანმა. ფორტაც გადაიღეს, რო-



გორც ყველა დიპლომატიური შეხვედრის დროს ხდება, მაგრამ ბოლომდე ისე სწორდება, რომ ვგრძნობთ: კილგა ვერ იტანს ამ ხალხს, მათ ქცევას, თვალთმაქცობას. მისი ბრძანებით ეკიბაჟის ნაწილი ქალაქში გადადის. იგი ხრიტიანუკს იბარებს და როგორც შეილს, საკუთარ შეხვედრებს, საქმის გამგზავლებელს და იძენს ისე ემშვიდობება. სურისა და სიყვარულის თვალთ შეისტეკერის მის ახალგაზრდულ სხეულს და მის ახალგაზრდულ მოძრაობას.

გ. ხუნდავილისათვის მთავარია თეატრის მისცეს საქმეალება ზუსტად გადმოსცეს უჯუძისა და ჰაკის უოთიერთობა, მათი დამოკიდებულება მოვლენებთან. ამოხსნას პიროვნების ბედი რთულ სიტუაციებში.

უჯუძე ემსა ეტლზე აღის, მას კვლავ დასჩხავის თავზე ბედისწერა, იარაღს ვერ უშვებს ხელიდას, თავზე წაძრავდება ჰაკი აბა (ხ. მგალობლიძევილი) ის თვალში თავგახეიოვია ასახული. მოქმედებაში — მოუხეივობა. ცხოველივით მოქნილი და სიაოტია. მათ წიხ კაც აბა (მთაა ქოჩოლაძე) გამოდის. აქვე ვხედავთ ადამიანის სიძაბივის გაჭირვების ქაშს, შიშს, გადაწყვეტილებითი ძილების უზნარობას.

ხალხი უჯუძე ემხას სახლს შემოხვევია. სახლში დახვდებათ უჯუძის დედა (თააარ სხირტლაძე) და უჯუძის და (ძარიხე ბეალავა) დედა ქადაცივით დგას. ხაოიქ ემბა (იაკობ ტრიბოლსკი) ხელზე ეამბოივება, საკადრის პატივს მიაგებს, კახკია კი თავს დასჩხავის, თვალს შეუფიხებს. დედამ იცის, რომ მისი ძვილი ვაჟაკია და თვითონ ვაჟაკია მძობელია.

ხათესავებთა გაყიდეს, ცრემლი მოადგა უჯუძეს თვალებზე. ჰაკი, როგორც ყალუხე შედგაი, ისე უვლის გარეთ, ის უხდა, რომ ხათესავებიც არ გაეკაროხ ახლოს. უჯუძე თანამბა თვითონ მივიდეს კილგათათ, ჩაბაოდეს. კახკიასათვის მიუწვდომელია ვაჟაკისა საქციელი, მახ მხოლოდ ის იცის, რომ ვეოვიზ გაქცევა. ამ დროს ხალხს წინ გადაუდგება ჰაკი — ხრიტიანუკის ძველგლოას თავის თავზე იბარავის, — უჯუძე ხელს უწვდის, ლოცვასი უჭირავს, თითქოსდა, შოიიდანვე ლაშობს ჰაკის გულში ჩაკეოას, რომ მასთან ერთად გაიზიაროს ყველა ტანჯვა.

ეს არის რთული დრამატული სიტუაცია, რომელმაც სცენაზე ჰპოვა ფსიქოლოგიურად მოტივირებული გადაწყვეტა. ლ. ქიხელის მხატვრულ ჩახაფიქოს ხორცი შეახსა რეჟისორია და იხსცენარების ავტორია. მიღწეული იქნა შედეგი, რაც ასე იშვიათია იხსცენარების დროს. ვიგრძნობთ პროცესი სცენური ქმედებისა.

ასევე დრამატული სცენაა ჰაკისა და კილგას შეხვედრა. ეს კონფლიქტია ხაწარძობის კულმინაცია. ახ კიდევ დასჯის სცენა.

დასჯა იწყება. უჯუძეს ხელში ლოცვასი უჭირავს, გაიხის სროლა და დამაბრძავებელი სილიოის სიხათლე იფეთქებს სცენაზე. მასში მოჰყვება ჰაკი და კილგაც. თითქოსდა სული გაუშუქეს ამ ადამიანებს და მათი ყველაფერი გამოაჩინეს. ჰაკი ზევით აობის, კიბეზე, ცისკეხ მისწრავის. ტყვიამ უწია და ადგილზევე ჩაიყვია. კი არ ჩაიყვია, ფრთები ვაშალა და აოწივის გაფიხის პოხაში გაიყინა.

კილგამ (ირაკლი უჩახეიშვილი) ხელი ჩაიქნა. ხელში აიღო დაგდებული ლოცვასი. გადაავლო, გადაიარა, საკუთარი ფეხით გადათელა ათივე მცება. ჰაკისთან ბრძოლაში დაბარცხდა. კილგა ყოველთვის მიწიდან ამოდის. იგი მყარად დგას მიწაზე, მაგრამ მწიწერ კანონებზე მდლა, დაუწერელ კანონებამდე ვერ აძალდდა...

საქეტაკლის განმავლობაში ყველა გმირი საპროექციო აპარატზე ჯდებოდა. ისტორიამ შემოინახა მათი სახეები.

წარმოდგენა დამთავრდა და დამთავრდა ის ამბავიც, რომელიც „ქალაქ სოხუმში მოხდა“.

ლ. ქიანელის „ჰაკი აბას“ მთავარი გმირი უჭუმემა რაღაცით ჰგავს ბ. ლავენიევის შტუმებს, არა საქციელით, არა ხასიათით, არა მუდ იმით, რომ ორივე ამ რევოლუციის მსხვერპლი გახდა. ისინი ისტორიის მსხვერპლები არიან. გახუთულნი არიან, რადგან არ შეუძლიათ მიიღონ ახალი დრო, ახალი სიამაღვილე. ო. მელნიკეთუხუცესის მიერ ეს მოტივი უფრო გამძაფრებულია, ვიდრე ეს არის ლ. ქიანელის მოთხრობაში.

ინსცენირების ავტორმა გ. ხუხაშვილმა თითქოსდა შემოიყვანა ახალი ვიბრები, მაგრამ სინამდვილეში თავ მხოლოდ და მხოლოდ განაზრდა ლიტერატურული ხაზობობების გმირების ხვედრითი წონა სცენურ დინამიკაში. ზამბარასავით დაჭიბა მოქმედება და რგოლგბივით ააწყო მასზე სიტყვის ქსოვილი.

გ. ხუხაშვილი კარგად იყენებს დიალოგს გმირების ხასიათის გასახსნელად, რითაც ინსცენიოებაში შესაზრუხებელია ლ. ქიანელის მოთხრობის ძირითადი აზრი და სცენური საეციფიკის შესატყვისად მოქცეულია დრამატულ ფორმაში, თუმცა, ილუსტრაციულობის მოთხეტი ძინც შეიფოძობა.

ინსცენირება მთავრდება გ. ხუხაშვილის მიერ დამატებული დიალოგით:

„უთოავლოვი — ვინ გასჯის ამდენ მსხვერპლს, კაკიტანო?!

კილგა — „ისტორია, კომისარო...“

ამ ორი ფოთხით ერთგვარად შეიკრა ინსცენირება და სრულყოფილი სახე შეეცა სათქმელს. გათოიკვეთა პროილეათა ჯრე, რომელთაც დაეძატა ისტორიაში შეტანა ათ თუ იმ თოვლებისა, დანათაულისა და შემდეგ მისი განსჯისა, ცოდვისა და შემდეგ მიტეგებისა, სიკეთისა და თედდეგ გაგებისა და ვინ მოსთვლის კიდეგ რას აო სჯის ისტორია...

ლ. ქიანელის „ჰაკი აბას“ დასასრულს ორი ვარიანტი არსებობს. ერთი, რომ ჰაკის ჰკლავს კილგა, ხოლო მეორის მიხედვით იგი თვითთო ვადეშგება წყალში, კილგა კი ორივე ვარიანტი ჰაკი აბანზე ამბობს — „ის მახც მონაა, სხეხანიარად ვერ იცხოვრებდაო“.

ჰაკი მონა არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. იგი ერთგული მეგობარი იყო, რომელმაც თავი მმისთვის გასწირა და ეს ვაუკაცობის მაგალითი იყო. ვაუკაცი კი მონა არასოდეს არ არის.

უჭუმის რომანტიკულად ამაღლებული, ღრმა ადამიანური სეგდის მოძგვრული სახე ავტორის ბიერ მძაფრადაა გაცდილი. ფსიქოლოგიურად მოტივირებულია ყოველი ნიუანსი, ქესტი, რაისდული სიამაყით კვდება უჭუმე და ძალიან ბევრს უტოვებს საფიქრალს — ახალ თაოიას, დღევანდელ მაყურებელს, ის ძიდის, მასზე ფიქრი კი რჩება.

ლეო ქიანელის მოთხრობის მხატვრული სინამდვილე თეატრში გატოცნლდა ახლებურად. ეს არის დღევანდელი კაცის თვალთი დანახული სიმყარო. რეჟისორი ო. ჩხეიძე თანამედროვედ იანბრებს ყველაფერს, რასაც მოთხრობა სთავაზობს. მოძხდარ ღროსთან დიდი მანძილი ამორებს და თავისუფალია ხედვის წერტილების გადაადგილებაც. საპროექციო აპარატი თავისუფლად მოძრაობს, ყველაფერს (თვით ისტორიასაც) აშუქებს, სიღრმეში წვდება და ისე გამოდის სამხეოხე.

სვანური ხალხური სანახაობა „ჭერია მიშუ“

როდესაც ვისხენებთ ქართული თეატრის წარსულს, ჩვენს წინ ყოველთვის იშლება ის ხალხური, თეატრალიზებული სანახაობანი, რომელნიც საფუძვლად დაედო ეროვნული თეატრის წარმოშობას. რასაკვირველია, პირველ რიგში მანაც გაცოცხლდება ბერიკაობა, ყეენობა, თუ მურყეამობა — ძირითადი ფუძე და საწყისი ქართული თეატრისა.

ქართული თეატრის ისტორიის შესწავლა ხალხური სანახაობითი კულტურის კვლევა-ძიებით იწყება. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვის პროფ. დ. ჯანელიძეს. დიმიტრი ჯანელიძემ თავის წიგნში „ქართული თეატრის ხალხური საწყისები“ მოათავსა საქართველოს თითქმის ყველა კუთხისათვის დამახასიათებელი ხეჩვეულებანი, ვართობა-სანახაობანი, სასიმღერო თუ რიტუალური ფერხულები და სხვა. მათ შორის საკმაოდ დიდი ყურადღება დაუთმო სვანურ ხალხურ წეს-ჩვეულებებსაც.

ამ ნაშრომში ჩემი მიზანია განვიხილო ერთი მეტად საინტერესო სვანური წეს-ჩვეულება, რელიგიური რიტუალი „ჭერია (ჭორია) მიშუ“ ანუ „ემშაკეულთა კვირა“, რომელიც არსებითად შეუსწავლელია თეატრალურ-სანახაობრივი თვალსაზრისით.

ვიდრე აღნიშნულ რიტუალს შევეხებოდეთ, წარმოვიდგინო ერთი სახალწლო სანახაობის ბოლო ნაწილს, რომელიც 1981 წლის აგვისტოში ჩავიწერე, სოფელ იფრალში. ვფიქრობ, იგი არ უნდა წარმოადგენდეს სახალწლო წესის შემადგენელ ნაწილს, არამედ უნდა მიეკუთვნებოდეს ჩვენთვის საინტერესო „ჭერია მიშუს“.

გავეცნობთ აღნიშნული ცერემონიალის ბოლო ნაწილს:

დღესასწაულის საღამოს ბავშვს გადაადარებენ ზეწარს, სახეზე წაუსვამენ ნახშირს, უკეთებენ ხელოვნურ კბილებს და უშვებენ რომელიმე ოჯახში. ოჯახში შესულს მთელი მისი წევრები ასტამითა და ქვების ერთმანეთზე მიჯახებით დევნიან გარეთ. ბიჭი მეთორე ოჯახში გადაინაცვლებს და ა. შ.

ესლა კი დავუბრუნდეთ ისევ „ჭერია მიშუს“ და გავშიფროთ თუ რა კავშირი აქვს მას ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტთან.

სვანეთში ყოველი დიდმარხვის უკანასკნელ კვირას ორშაბათიდან დიდ ხუთშაბათამდე ეწყობოდა ემშაკეულთა სახლიდან განდევნა: „ამ დღეებში ყოველ საღამოს მამაკაცები და ახალგაზრდობა კარიდან ავარვარებულ მუგუზლებს გარეთ გააქანებდნენ და ყვირილითა და ხმაურით ავი სულების დასაფრთხობად შორს გადაისროდნენ“.

სოფ. ლატალში (სოფ. იფხში) „ჭერია მიშუ“ ისტ. მეცნ. დოქტორმა მის. ჩართოლანმა შემდეგნაირად ჩაიწერა:

„ორშაბათს კაცებს ეკლის (ასკილის) ჯოხები მოჰქონდათ და



კარ-ფანჯარებს უკეთებდნენ გარედან. სანამ ეკლებს გაუკეთებდნენ, კარ-ფანჯარას, მანამდე ეშმაკებს დედნიდნენ სახლიდან. ამ პროცესს ლორილარი ეწოდებოდა. ბავშვები ლაყულფაში იღებდნენ ცეცხლ-მოკიდებულ მუგუზლებს. ამ მუგუზლებს აქეთ-იქით აქანებდნენ და ასე კერას სამჯერ შემოუვლიდნენ, ეშმაკებს ერეკებოდნენ. ერთ ბავშვს ხელში რკინის ატამი ეჭირა და მას ქვას ურტყამდა. ეს ცერეიმონალი მეორედბოდა ორშაბათიდან მოყოლებული ხუთშაბათამდე ყოველდღე. ეშმაკებს მიმართავდნენ: „ჰარა, ჰარა, ჰარა, ჰარა ეხლავე მოგვიკილი, მდინარეში წადით, ქვიშა ჭამეთ, დანსიეთ ტყეს, მდინარის მრგვალ ქვას გესვრით, მუგუზლებს დაგარტყამთ“.

ორშაბათს ღამით ოჯახის ყველა წევრი თავზე ისვამდა ნიორს და ღორის ქონს ერთმანეთში არეულს, რადგან სწამდათ ეშმაკი მას ვერ ეკარებაო.

ხუთშაბათს დილით ქალები ლემშირებს აცხობდნენ და შეავედრებდნენ (ლემშირი — დასალოცი პურები). მერე მერბილი ანუ გამომცხობილი წყვილიდა წყლის ნაპირას, იქიდან ხმის ამოუღებლად მოიტანდა: ლამყინას ქვას, წმინდა მიწას რძის საკვეთის (მოლივრა) ქვეშ დასაფენად, ეკლის ჯოხს (სარეხ) რძის საკვეთის ამოსარევიად. ყოველივე ამას რომ სახლში შემოიტანდნენ, იწყებდნენ შავი ძაფის დართვას. ამ ძაფს ღამით აბამდნენ ოჯახის ყველა წევრა მკლაფზე და ფეხზე. შავ ძაფს აბამდნენ, აგრეთვე, ულელს, კიღობას (სადაც პურის ფქვილი იყო შენახული), ფქვილის ამოსაღებ პატარა ნიჩბებს (სალოთლადარ) ამ ძაფს უწოდებდნენ თანაფოლს. ამბობდნენ: თანაფოლ სახლში ეშმაკს არ უშვებსო, რაზედაც ის არის მიბმული, იმას ეშმაკი ვერ მიეკარებაო.

ხუთშაბათს საღამოს ეშმაკებს საბოლოოდ გარეკავდნენ კარში რკინის ჩხარუნითა და მუგუზლების ქნევით. კარებს გაიხურავდნენ და ეშმაკებს ეზოდანაც განდევნიდნენ, თან მუგუზლებს და ქვებს მიაყოლებდნენ.


ამის შემდეგ კარ-ფანჯარას გარედან ეკლის ჯოხებს გაუკეთებდნენ (ლიცგორე) ზედა კამარის გარემო, რათა ეშმაკები სახლში არ შემოძრუნებულყვნენ. (ჩაწერილია სოფ. იფხში 55 წლის ოღლა ნანყანისაგან 1949 წ.).

სოფ. მაგარდელში (ცხუმარის სას. საბჭო) მოხუცი ქალი ვიში მიდიანი გარდა ზემოთ მოყვანილი ფაქტებისა, ამბობდა, რომ ოჯახის გაწმენდა ეშმაკებისაგან იწყებოდა აღდგომის წინა ორშაბათს, ამიტომ ამ დღეს ჰორიამ დემდიშეს (ეშმაკის ორშაბათს) უწოდებდნენ. სამშაბათი — რახამ თახამ (რახის სამშაბათი), ოთხშაბათი — ლიქ-შერემ ჯგამამ (ქვიშობის ოთხშაბათი), ხუთშაბათი — შიხარ ცამ (ნახშირიანი ხუთშაბათი), პარასკევი-ფურითლე ვეშიშ, შაბათი — თანფა საბტინ (აღდგომის შაბათი), ხოლო კვირა — თანფა მიშლადალ (აღდგომის კვირა) იყო.

ჰორიამ დემდიშე (ეშმაკის ორშაბათი) იმიტომ ეწოდებოდა, რომ ეშმაკები არიანო სახლში. ამ დღეს, დილას, ერთი კაცი იღებდა ხელში ან ცელს, ან ასტამს, ან ზარს, კარს გააღებდა, მერე სამჯერ კერას გარს შემოუვლიდა, რკინაზე მრგვალი ქვის (კურეშ) მორტყმით ხმაურს ატეხდა და თან ამბობდა:

„ჰორი, ჰორი, ჰორი, მომცილდით, მომცილდით, მომცილდით, ყვავილიანო, მთის თეთრი ქვის, ბარის ქვიშის მეტი ყველაფერი გამოგვლით შეისახრამუნებლად. ამტალეზის ყამირში ჩხიკვი წუხელი მომკვდარა, იმის დასატრებლად ყველა მიდის, თქვენც წადით. ქათმის კუჭ... შეგერტოთ...“

ამას ეწოდებოდა ლიპინე, ხოლო იმ კაცს, ვინც ამ პროცესს ატარებდა — მგჰინე. მგჰინე ასე აკეთებდა ყოველ დღე ორშაბათიდან დაწყებული ხუთშაბათ დღემდე. ხუთშაბათს, დილას ეშმა-



ქებს გარეთ გარეკავდა და კარებს დაკეტავდა. გარეთ ეზოში კენჭებს თოფს ესროდა — ეს გქონდეთო. მეძღვე ეკლს ჯობებს აქეთებდა კარ-ფანჯრის კამარაზე. ამავე დღეს ყახებში მიჰქონდათ ეკალი, ნახშირი, ქვიშა და თეთრი ქვა. შუა ყახაში ეკალს შიწაში ჩაბრჭობდნენ, ძირს ნახშირს, ქვიშას მოაყრიდნენ. იქვე დადებდნენ თეთრ ქვას.

„ჰერია მიძუს“ განმავლობაში ყოველ საღამოს, სოფლის ბიჭები ხელში იღებდნენ ორ თეთრ ქვას. ამ ქვების ერთმანეთზე მოოტყვით წარმოიშვედოდა ნაპერწყალი, რითაც ეშმაკებს ერეკებოდნენ სოფლიდან“.

ჩვესს მიერ შემოთავაზებულ ამ ცერემონიაში, როგორც ვნახეთ, არ იყო თვით ეშმაკის სახით წარმოდგენილი ადამიანი. ცერემონიალი თითქოსდა, ატარებდა წმინდა რელიგიური ხასიათს, მაგრამ მასში საყურადღებო სახასიათოთი ელემენტებიცაა განფენილი. ჩანს ადამიანის სურვილი, რომ რელიგიური რიტუალიც კი წარმოადგინოს სახასიათოთი ქაედების პროცესში. ძართალია, წარმოდგენილი ცერემონიალი ჩაწერილია სოფ. ლატალში, ხოლო ჩემს მიერ აღნიშნული რიტუალი სოფ. იფრალში და ისინი სხვადასხვა დროს სრულდებოდა მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ სოფ. იფრალში ჩაწერილი დღესასწაულის ბოლო ნაწილი უნდა წარმოადგენდეს ერთერთ ნაწილს ოთხდღიანი ეშმაკების განდევნისადმი მიძღვნილი ცერემონიალისა, რადგან მათ ორივეს ზოგი რამ საერთო აქვთ. მაგ.: გაშურული და სახეცვლილი „ეშმაკის“ განდევნა ხდება იგივე ხერხებით, რითაც ეშმაკებისა „ჰერია მიძუს“ დროს. „უნდა ვივარაუდოთ, რომ ამა თუ იმ დღეობის ზოგი წეს-ჩვეულება სრულიად წაშალა, ზოგმა ისე ძირფესვიანად იცვალა სახე და შინაარსი, რომ მისი პირველი რაობის მიკვლევა დღეს თითქმის შეუძლებელია“³. იგივე შეიძლება ითქვას „ჰერია მიძუს“ შესახებაც. ჩვესს შევეცადეთ სწორედ ამ რიტუალის აღდგენა და გარკვეულად სრული სახით წარმოჩინება. თუ დავუშვებთ, რომ „ჰერია მიძუს“ რიტუალი შეიცავს გარკვეულ თეატრალიზებულ სახასიათს, რომელშიც იოქმედებს სახეცვლილი ადამიანი (ეშმაკი) და ოჯახის წევრებს შორის იმართება დიალოგი, საჭიროა ზოგიერთი განმარტება მივცეთ ამ „ეშმაკის“ გრძისა და კოსტუმს, რაც ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს თეატრალიზებული სახასიათისა.

რიტუალის დროს ხდებოდა ბიჭის გამურვა. გამურვა ცნობილი ხერხია სვანურ ხალხურ სახასიათებში. გავისვენოთ მაგ.: „შურყვამობა“, სადაც ყვესს ახუ კეისარს და საქმისაის სახეს ნახშირით უძურავდნენ. ნახშირით გამურვა გამოწვეული იყო იმით, რომ ყველანე იოლ ხერხს წარმოადგებდა სახის ცვლილებისათვის. ამავე დროს მკვეთრ ეფექტს ახდებდა და საშიშს ან სასაცილოს ხდიდა მოთამაშეს.

ოაც შეეხება კოსტუმს, იგი, ალბათ, რომელიმე შინაური ცხოველის კერძოდ ცხვრის ან თხის ტყავს წარმოადგენდა, რომელიც თანდათან ზეწოთი შეიცვალა, რადგან ორივე ტყავი თეთრი ფერისა და საკმაოდ დიდ კონტრასტს ქმნიდა შავი ფერის სახესთან. ამასთან, ეშმაკი წარმოადგენილი ჰყავდათ როგორც ხშირი ბალნით დაფარული.


რიტუალში ერთ-ერთ წევრს მზჰინესა და „ეშმაკს“ შორის იმართებოდა დიალოგი. როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო იგი? ამისათვის მივმართოთ ა. შანიძის, ვ. თოფურისა და მ. გუჭეჯიანის მიერ გამოქვეყნებულ მასალებს სვანური პოეზიის შესახებ, სადაც მათ გამოაქვეყნეს ორი ჩვენთვის მეტად საინტერესო დიალოგური ფორმის ტექსტი „კაცი და ქაჯები“ და „ჰყინტული ანუ ლელი და ლე-კურ-კაბა“. ამ ტექსტებში მთავარ მოქმედ გმირებს შეადგენენ გო-

ნებაშეზღვილი და ენამოსწრებელი იკანე, ჭყინრულდი და გრძნეული სული ანუ ქაჯი (ეშმაკი). მათ შორის იმართება მეტად საინტერესო რიალიზი (კათია), რომელიც მსუბუქი ფიქტორის არაარებს და ბოლოს მთავრდება ადამიანის გამარჯვებით. სიკეთის გამარჯვებით ბოროტებაზე, აღსანიშნავია, რომ ადამიანი იმარჯვებს გრძნეულ სულებზე ყოველგვარი ღვთაების დაუხმარებლად. როგორც გრძნეული, ეშმაკობითა და მოწყურებით გრძნეულ სულთა დამარჯვება არც თუ ისე იშვიათი შემთხვევაა სევანურ თოლკლოარში. სრულიად ადვილი მოსალოინელია და არ არის გამორიცხებული, რომ ეს ტექსტები მიეკუთვნებოდეს ჩვენთვის უკვე ცნობილ „ჰერია მიშუს“ ცერემონი-ალს. ადამიანი აქაც ამარჯვებს გრძნეულ სულს როგორც ფიზიკურ-რად, ასევე სიტყვიერადაც. იგი ჯობნის მას ჩვეუთ, გარეთ იტყუებს, რის შემდეგაც საკმაოდ ძლიერ იჯაშენება, რათა კვლავ ეშმაკი სახ-ელში არ შემოვიდეს. მათი სახლიდან განდევნა ხიფათოა ჯირ სიტყ-ვიერი მოტყუილებით, ხოლო უკანასკნელ შემთხვევაში ძალის გა-მოყენებით. რა თქმა უნდა, არც ისე ადვილია იმის თქმა, რომ ესე-ნი ზუსტად ამ რიტუალის, „ჰერია მიშუს“ დროს სრულდებოდა, მაგრამ ის, რომ მისი საწყისი სწორად აქედან მოიხს, უდავოა, რა-ოდეს თუ რელიგიურ-მისტიური დანიშნულებების მთელი თხზილიანი რიტუალი ჰქონდა მიძღვნილი ეშმაკულთა სახლიდან განდევნას სენათში, მაშინ, უნდა გივარაუდოთ, რომ მათზე ცალკე ტიპისტი-ნიკურად საჭიროს ათარ წარმოადგენდა. ეს ტექსტები შეიქმნა ამ რიტუალის წარმოშობასთან ერთად, რომელიც შეიღვამში ხალხში გაავრცელდა როგორც ცალკე წარმოთქმული ლექსი. თუ ჩვენ და-ვეუშვებთ, რომ „ჰერია მიშუს“ დროს მოქმედებდა ადამიანი, ეშმა-კის სახით წარმოადგენილი და ჩნდებოდა გარკვეული სანახაობითი ელემენტები, არ შეიძლება იტყვიან „მზჭინესა და ამ „ეშ-მაკს“ შორის არ გამართულიყო რიალიზი, და, ამავე დროს, რიალი-ზის სწორედ ასეთი ფორმა. ამის მტკიცებაში გვიხმარება ტექსტო „ამტალეზის ყამირის“ შესახებ, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლა-პარაკი.

გვიჭრებ, ტექსტი წინასწარ არ იყო დადგენილი. მათ შორის იმპროვიზაციულად იმართებოდა კათია და რეზოლოტაკია იქვე იყო ცნობილი. რაღა თქმა უნდა, ორივე მხარე თითქმის ერთნაირი სიძ-ლიერათ იცავდა თავს, მაგრამ იმდენად დიდი იყო სურვილი გრძნე-ულთა დამარჯვებისა, რომ იტყვიან, უბირველეს ყოვლისა, მზჭინე (აოსანიშნავია, რომ მზჭინედ ირჩევიდნენ ალბათ ყველაზე ენამოსწრებულს იტყვიან, შესაძლებელია იგი ყოფილიყო იტყვიან უფროსი — მახევი), ყოველ დღეს ხმარობდა მის დასამარჯვებ-ლად. ეშმაკის როლის შემსრულებელი კი უნდა ყოფილიყო საკმა-ოდ კლასტიკური, სხარტი და მონერებელი, ამავე დროს, გარკვე-ული ჯამიკური ნიჭით დაჯილდოებული, რადგან ჩვენთვის ცნო-ბილია, რომ ეშმაკის სახლიდან განდევნა არც თუ ისე ადვილი იყო და ამავე დროს მას ახსიათებდა ადამიანის თვალთაგან მიმღვა. ადამიანები კი მიმართავდნენ მთელ რიგ ხერხებს, რათა საშალავი-დან გამოეცხუებინათ იგი.

რასაკვირველია, სევანური ხალხური დღესასწაული, რომელიც ეშმაკულთა სახლიდან განდევნას შეიცავდა, ეშმაკებოდა რელიგი-ურ საფუძველს, მაგრამ ამ დღის ნათელსაყოფად და უფრო მეტი სიცხოველით წარმოსადგენად, გამოყენებული იყო თეატრალიზე-ბული სანახაობითი ელემენტები.

თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ „ჰერია მიშუს“ წარმოადგენდა რელი-გიურ მისტიკას, რომელიც ეშმაკის სახით ადამიანი მოქმედებდა, ამ „ეშმაკს“ და მზჭინეს შორის კი იმართებოდა რიალიზი, სრულ-დებოდა გარკვეული სცენები, ეშმაკის როლის შემსრულებელს



ჭქონდა გრიმი და კოსტუმი, შეიძლება სრულიად ნათლად მიხედოდასა
სანახაობის აღდგენა:

დიდმარხვის უკანასკნელი კვირის ორშაბათ დილას სოფლის ერთ-ერთი მოსახლე ბავშვი ჩაიცვამდა თხის ან ცხვრის ტყავს, სახეს ნახშირით შეიმუხრავდა, გაიკეთებდა ხელოვნურ კბილებს და მაღლულად შევიდოდა ერთ-ერთ ოჯახში. ოჯახის წევრებს დილას მოჭქონდათ ეკლის (ასკილის) ჯოხები და კარ-ფანჯარებს უკეთებდნენ გარედან. სახამ ეკლებს გაუკეთებდნენ, მანამდე შემოპარულ ეშმაკს შეამჩნევდნენ და დევნიდნენ სახლიდან. „ეშმაკი“ დახტოდა, იმალებოდა, ხელიდან უსხლტებოდა, აღიზიანებდა და ცდილობდა სახლში დარჩენილიყო. მზჭიენე ასე მიმართავდა მას:

„ჰარა, ჰარა, ჰარა, ჰარა, შიშდ ნიქანდ, ჰალათე აჩად, ქვიმე ლახემდ, ათშდ დ ცხეკს, ჰალი გურეჰარს ესერ ხაფშედენ, მაცნალარს ესერ ხატცინ.“

დამალულს, თვალმოფარებულ „ეშმაკს“ გარეთ გასატყუებლად ასე მიმართავდნენ:

„ჰორი, ჰორი, ჰორი, მიქანდ, მიქანდ, მიქანდ, მახარუ. ლახვამ ჰყურუნქა, მარიმ ქვიშანეს მაგვუ აჭმდენახ ლეგზრგინად. ამტალეზის ქურაისგა ყაეჩა ლეთი ოლდაგარ, ეჩა ლაგვანათე მაგ ესლრი, სვი ღზრდად. ქათლამ კიკი ი ყ...ე ვავლახ ს... ლეჟა.“

ამის შემდეგ ეშმაკსა და მზჭიენეს შორის იმართებოდა სწორედ ის დიალოგი, რომელზეც ზემოთ მოვახსენეთ:

(„კაცი და ქაჯები“)

ქაჯები — ო, ივანე!

ივანე — ოჰო!

ქაჯები — სად იყავი?

ივანე — ოსეთში,

ქაჯები — რა ამბავია ოსეთში?

ივანე — შენისთანები ჩემისთანებს თავებს ჰრიან, წყალში ყრიან.

ქაჯები — მერე შენ რამ გიშველა?

ივანე — ჩემმა ღმერთმა და ჩემმა ბიჭობამ.

ქაჯები — ლეკური გქონდა?

ივანე — ლეკური მქონდა.

ქაჯები — მართლა ლეკური?

ივანე — ჰო, პირიანი, წვერიანი, ტარიანი, ბეწვზე მოსაკიდებელი. ვინც არ მოინმარს, ოხრად დარჩება!

ქაჯები — სახლი დადგი?

ივანე — სახლი, აბა სადორე?

ქაჯები — ნაჯახი გქონდა?

ივანე — ნაჯახი აბა წალღი?

ქაჯები — შენი ცოლი ორსულად არის?

ივანე — აბა, მეც ორსულად დაეტოვე.

ქაჯები — ორი ვაჟი ეყოლა.

ივანე — ერთს ორი არ სჯობდა?

ქაჯები — ერთი მომკვდარა.

ივანე — აბა, ორს გაზრდა არ უნდოდა?

ქაჯები — მეორეც მომკვდარა.

ივანე — აბა, მეორეს მარტო რა უნდოდა?

ქაჯები — დედაც მომკვდარა.

ივანე — დედას უშვილოდ რა უნდოდა?

ქაჯები — ულად ხარები დაუკლავთ.

ივანე — აბა, მკვდარს აღება არ უნდოდა?

ქაჯები — შენთვის ულუფა შეუწახავთ.

ივანე — აბა, მე ულუფა არ მინდოდა?

ქაჯები — შენი ულუფა კატას შეუჭამია.



იგანე — აბა, მე რომ მგლოვიარე ვიყავი, არ იცოდა კატამა?¹

ლიალივი სხარტი, ქმედითი და თეატრალიზებულია. ეს არის

ნამდვილი დრამატურგოული დიალოგი.
ასე რომ, რიტუალი თავისი სანახაობითი შინაარსის მიხედვით ძალზე კარგ მასალას იძლევა იმისათვის, რომ იგი გარკვეული თვალსაზრისით ქართული კომედიის საწყის და ერთ-ერთ ფორმად მივიჩნიოთ. ხალხის გენიას შეეძლო შეექმნა არა მარტო უკვდავი პოეტური ქმნილებები, მითიური, ეპიკური ნაწარმოებები, ზღაპრები და ლეგენდები, არამედ საინტერესო სანახაობითი კულტურაც. უხსოვარ დროიდან, თაობიდან თაობებს გადაეცემოდა სევანური თეატრალიზებული, სანახაობითი, საკულტო-რიტუალური ფორმები, რომელთაც დიდი შინაარსი გააჩნდათ. ხალხის ამ სიღრმისეულ სანახაობით ქმედობაში ერთ-ერთი მოკრძალებული და საყურადღებო ადგილი უჭირავს სევანურ „პერია მიზუს“.

1 ვ. ბარდაველიძე — „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან“. თბილისი, 1941 წ. გვ. 83.
2 მის. ჩართლანი — „ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან“. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამოცემლობა, თბილისი, 1961 წ.
3 ვ. ბარდაველიძე — „სევანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი“. თბილისი, 1939 წ. გვ. 8.
4 „მასალები ქართველურ ენათა შესწავლისათვის“. II. სევანური პოეზია. ა. შანიძე, ვ. თოფურია, მ. გუჭეიანი. თბილისი, 1939 წ.

სეზონის შეჯამება

საქართველოს თეატრალური საზოგადოება, პასუხობს რა რესპუბლიკის კომპარტიის 1981 წლის ივლისის დადგენილებას პერიფერიული თეატრების თაობაზე, ცალკეულ თეატრებში აწყობს მასურებელთა კონფერენციებს, განხილვებს.

ივლისში განვლილი 1981-82 წლების სეზონი შეჯამდა ქუთაისში, ცხინვალში, გორში, ფოთში. ამ ქალაქების თეატრებში გაიმართა ობიექტური საუბარი განვლილი სეზონის რეპერტუარის,

შესრულებული როლების, მხატვრული სახეების, რეჟისორული ძიებების თაობაზე. დათვლიერებამ ცალკეულ მიღწევებთან ერთად გამოავლინა რეპერტუარის სიმწირე, სტერეოტიპული რეჟისორული ფორმებით სარგებლობის ტენდენცია, დიდი აქტიორული სახეების სიმცირე.

ეს დათვლიერება წინ უსწრებდა და იყო ერთგვარი მოსამზადებელი სამუშაო იმ პლენუმისათვის, რომელიც სექტემბერში გაიმართება და მიემდგინება რესპუბლიკის თეატრების 1981-82 წლების სეზონის შეჯამებას და მომავალი სეზონისათვის მზადებას. სეზონის შეჯამებულ განხილვებში მონაწილეობდნენ: ნ. გუნია, ი. გვათუა, ი. თუხარელი, ნ. ურუშაძე, კ. ნინიკაშვილი, გ. ბათიაშვილი.



დიდი გზის დასაწყისი

ნინო ხომასურშიძემ რამდენიმე წელია პროფესიულ სცენაზე შედგა ფეხი და მისი ნათლობა ბელოვების ამ სახელგანთქმულ ტაძარში ფრიალ იღბლიანი გამოდგა. ხუმრობა ხომ არ არის თეატრში მისვლისთანავე საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის — ვერიკო ანჯაფარიძის პარტნიორობა! მაგრამ სჯობს თავიდანვე მოვეყვით ნინოს შემოქმედების მოკლე, მაგრამ სიხარულითა და სასიამოვნო წუთებით მდიდარ გზას.

— ბევრი ბავშვობიდანვე ოცნებობს მსახიობობაზე, მაგრამ მე ეს სურვილი ნამდვილად არ მქონია, — გულწრფელად მეუბნება ნინო. თურმე იგი გატაცებული ყოფილა ფრანგული უნთ, ამ პერიოდში შეხვედრია კინორეჟისორ ნანა მჭედლიძეს, რომელსაც გადაუღია იგი თავის ფილმში და ამ სწორედ აქედან შეყვარდა მსახიობობის „სენი“, მანინ გადაღწევა არტისტობა. თვითონ ნინო ასე იგონებს კინომსახიობად ნათლობის ეპიზოდს:

— რეთსორი ნანა მჭედლიძე თავისი მოკლემეტრაჟიანი ფილმისათვის „ვილაცას ავტობუსზე აგვიანდება“ მსახიობებს ეძებდა. მიმდინარეობდა სასინჯი გადაღებები; მეც დამიბარეს. მაშინ ცამეტი წლის ვიყავი, შევეყარე ჩვენი ენო — არიქა, კინოში მიდებენ-მეთქი. მეორე დღეს მთელი ოჯახი გამოშვეა კინოსტუდიაში — მე, დედაჩემი, ბებიაჩემი... კინოსტუდიის ენოში ამდენი გოგო-ბიჭი ერთად რომ დავინახე, შევშინდი, ავტანე ყვირილი — არ მინდა გადაღება, სახლში წამიყვანეთ-მეთქი... ის იყო ჩვენებს სახლში მიყვავდი, რომ ნანა მჭედლიძემ თვალი შეგვესწრა და დედაჩემს შემოსწერა — მოიცადეთ, ვადა მიგყავთ ნს ბავშვიო. დედამ აუხსნა, რა ეჭნათ, ძალიან ნერვიულობს და არ ჩერდებაო. ნანამ ოპერატორს გადაღება ანიშნა და ასე აღმოჩნდა კადრში ჩვენი ოჯახი, როცა მე ვბლაოდი, ხოლო ჩვენები კი მაშოშმინებდნენ. იმ ღამეს მესიზმრა, თითქოს არ დამატკიცა ნანა მჭედლიძემ როლზე და ვეხვეწებოდი — ცხვირი მაინც გამომიჩინე ტყრანე-მეთქი. შემ-

დგ როდესაც მძობრეს, რომ ფრენა შეეწყუნდა მითამაშა, სიხარულით ცას ვერეკე...
 ნინო ხომასურშიძე ამ კინოსურათში თინიკოს როლს ასრულებდა, იგი სოფიკო ჭიაურდლის პარტნიორი იყო. ფილმს წარმატება ზედა წილად და, რასაკვირველია, ნინოც ამ წარმატების მოწიარე გახლდათ.


ნინოს დედას არ სურდა, რომ მისი ქალიშვილი მსახიობი გამოსულიყო, მწველიერ კლასეული გოგონა იმდენად კარგად ფლობდა ფრანგულს, რომ დედანში კითხულობდა ფრანგ კლასიკოსებს. ამიტომ ფიქრობდნენ უცხო ენების ინსტიტუტში ისწავლისო.

1970 წელს, სკოლის დამთავრებისას ნინომ ნანა მჭედლიძის სატელევიზიო ფილმში „გელა“ მოსამსახურე გოგონა — ტასიკოს როლი გახსოვანა. ნ. მჭედლიძემ უჩინა თეატრალურ ინსტიტუტში ჩაებარებინა გამოცდები.

— მახსოვს, ნიკო ლორთქიფანიძის „გული“ უნდა წამეკითხა, — იგონებს იგი, — როცა კომისიის ამდენი წევრი დავინახე, ავდელიდი, თვანდელზე ბანდი გადამეფარა. მიხეილ თუმანიშვილმა მითხრა: ასე რატომ ნერვიულობ, დამწვიდდი, გამოდი და თამამად წაიკითხეო. ჭერ გაუბეჯულად დავიწყე, შემდეგ კი ჩემს ირგვლივ ვეღარავის ვამჩნევდი... როცა კითხვა დავამთავრე, ლოყები სულ სველი მქონდა ცრემლით... ბაბუღია ნიკოლაიშვილს მოვწონებოვარ და შევუქვივარ კადეც: ასე აღმოჩნდი თეატრალურ ინსტიტუტში, ძალიან გამომართლა, თუმერ ჩხეიძის ჭკუფში მოვხვდი. მთელი ცხოვრება მსუნდა ვუშაბდლოდი, რომ მსახიობი ვარ და რაღაცის გაკეთება შემძილა სცენაზე...

შემდეგ დაოჯახება, ინსტიტუტის დამთავრება, უთეატროდ ცხოვრება, მაგრამ 1978 წლის ბოლოს გ. ლორთქიფანიძემ მარჯანიშვილის თეატრში მიიღო და მეორე დღესვე გაუღიმა ბედმა — აღ. ჩხაიძის „შთამოშავლობაში“ ნატოს როლი მისცეს. სექტაკლს გივა ლორთქიფანიძე დგამდა.

— პირველ რეპეტიციაზე რომ მივედი, — იგონებს ნინო, — სულ გადავირიე; ნამდვილად ბედმა გამიღიმა — სცენის ამდენი ოსტატი ერთად, მე კი გამოუცდიელი ახალგაზრდა მსახიობი! უნდა მეთამაშა ისეთი მართალი აქტორების გვერდით, როგორებიც იყვნენ: ქალბატონი ვერიკო, იანა ტრიპოლსკი, მედია ჭაფარიძე, ნოდარ შვალობანიშვილი, თამარ სხირტლაძე, ჭემალ მონიავა, გვიერეაშვილი... სცენაზე ვერიკო ანჯაფარიძის გვერდით ყოფნა ჩემთვის დღესასწაული იყო. სექტაკლი ყოველთვის დიდი აწმლოავით მიდიოდა და დღესაც არ შენელებულა მისადმი ინტერესი. ასე რომ, ნატო დებიუტი გახლდათ, ჩემთვის ძალიან საყვარელი როლი...



როდესაც თეატრში გერმარდ შაუტმანას „შის ჩასვლის წინ“ განაწილა, ინკერ პეტერსის როლი ნინოს ხედა წილადა. მარჯანიშვილის თეატრში ეს მეორე დიდი როლი იყო მიხთვის. მთავარი გმირის — მატეას კლაუზენის როლს კოტე მახარაძე ასრულებდა.

— ბუნებრივია, ძალიან ვეღვავდი. — ამბობს ნინო ხომასურიძე. — მეტად საპასუხისმგებლო და რთული როლი უნდა განმეხსახიერებინა, რეპეტიციების დროს ბატონი კოტე ხედავდა, რაოდენ შტკინეულად განვიციდიდი ყოველ შენიშვნას. მაღნაზს უთხრა, შენიშვნა მე მომეცი, ხომ ხედავ როგორ დღლავეს, ყველა უნდა დავეხმაროთო. რეპეტიციები ინიშნებოდა იმისათვის, რომ განთავისუფლებულყოფილი დაქიმულობისგან. კოტე გენიალური პარტნიორია სცენაზე. ცდილობს შენ გაგაყეთებინოს ყველაფერი, რაც კი შეგიძლია. საერთოდ, კოტეს დამხმარებაა ჩემი „ამომრავება“ ამ სპექტაკლში...

ჩემს კითხვაზე, თუ რას იტყვოდა სხვა პარტნიორებთან დამოკიდებულების თაობაზე, დაუფიქრებლად მიპასუხა:

— როცა ვერცო ანჭაფარიძეს ვუყურებდი, „შთამოშავლობაში“, თავს ბედნიერად ვთვლიდი, რომ სცენაზე მის გვერდით მეც მიხდებოდა ყოფნა; იგი ხომ ცოცხალი ენციკლოპედიაა თეატრისა. როდესაც სცენაზე ქალბატონმა ვერცომ იყო, აღარც კი ვგრძნობდი, თუ სხვა პერსონაჟს ვთამაშობდი; მგეროდა, რომ ნამდვილად ნატო გამეღლაური ვიყავი. ერთხელ, მახსოვს, რიგით სპექტაკლზე ჩემი სცენა რომ ვითამაშე კულინებში გამოვედი. ქალბატონმა ვერცომ მითხრა: გაკვირდები და კარგია, რომ არასოდეს მეორედები, ცდილობ ყოველ წარმოდგენაზე რაღაც ახალი გააყეთო — აი, სწორედ ეს არის მსახიობობაო. მართლაც, ნატოს როლის განსახიერებისას ვომეღლაურების ოჯახი ჩვენი ოჯახი მეგონა, ისეთი გულწრფელი იყვნენ ჩემს ვარშემო ყველანი... აქვე მინდა აღვნიშნო, ნამდვილად მქონა ბედი. ვისთანაც კი მიმუშავია, მხედველობაში მყავს მსახიობები, ყველა ცდილა თავისებურად დამხმარებოდა ამა თუ იმ სახის განხრაში.


ნინო ხომასურიძემ მარჯანიშვილის თეატრში უკვე ექვსი როლი შეასრულა და მასურბლის სიმპათია დაიმსახურა. თგი არც პრესას დარჩენია შეუმჩნეველი — დადებითად გამოეხმაურნენ მის პირველ ნაბიჯებს სცენაზე. განსაკუთრებით აღინიშნა ნინოს უშუალოდ და ქეშმარიტი განცდა ინკერ პეტერსის როლში, სადაც თვალნათელი გახდა ახალგაზრდა მსახიობის მიერ ტრაგიკულის აღქმისა და გადმოცემის მდიდარი შეხედულებობები.

სწორედ ამიტომაც იყო, რომ რეჟისორმა მედეა კუჭუხიძემ მომწამიფოს ჩიმაკაცუს პიესაში

„შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციფრ ბაღელთა კუნძულზე“ ო-სანის მძაფრი დრამატული როლი ნინო ხომასურიძეს ანდო. ორ საუკუნენახევრის წინ შექმნილი იაპონური დრამატურგიის ამ შედევრში, სადაც სიყვარულის ტრაგიკული ამბავი ბრწყინვალე პოეტური ენითაა (მთარგმნელი ჭეშალ აჯიშვილი) გადმოცემული, ნინო თავისი ბუნებისთვის სრულიად უჩვეულო ხასიათს უნდა ჩაწვდომოდა და მასურბელსაც უნდა ერწმუნა მისი გმირის საქციელი. მთელი მეორე მოქმედების მანძილზე დიდი შინაგანი ძალა, განცდათა კონტრასტულობა და ამავე დროს ზომიერების გრძნობა გამოავლინა მსახიობმა ამ პერსონაჟის განსახიერებისას. ვაიხსენოთ სცენები ქმართან, როცა ო-სანი ისტუმრებს თავის შობობებს და ჭიჭიხითან ბრუნდება. ხომასურიძის ო-სანს სინარულისგან ადგილი ვერ მოუნახავს, ბორგავს, აი იგი დიხრება, რათა მეუღლეს მიეაღეროსო, მაგრამ წამსვე ეცვლება სახე და კომებს შეიკარავს ჭიჭიხის ცრემლის დანახვაზე: „რა ამბავია, გამაგებინე! ნუთუ იმ ქალის დავიწყება ასე ძნელია, რომ სიყვარული



„შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციფრ ბაღელთა კუნძულზე“ ო-სანი — ნ. ხომასურიძე, ჭიჭიხე — ა. ჩხიკეშვილი.



საქართველოს სსრ სახელმწიფო
მწერთა კავშირის
თეატრების ასპლი დაღმეპი

1982 წ. 1-ლი იანვრიდან
1-ელ ივლისამდე

შარშანწინდელი დღემდე ვერაფრით დაგიძლე-
ვია? — ო-სანს ხელები უთრთის, აქ კი ვი-
ლარ შეიკავებს თავს და მთელ თავის რისხვას
თავს დაატებს ჭიბვის, მაგრამ შემდეგ ისევ მოლ-
დება, წამით ჩაფიქრდება, თვალბეზებში შიში ჩაუ-
დგება და ქმარს მუდარით მიმართავს: „თავს
ნუ დაწოვავ, გეშუდარები, იმ უბედურის გა-
დასარჩენად! ო, კვედრები, ჩქარა, ჭიბვი! იქ-
ნებ იქ არის, იქნებ მიუსწრო, მის სამყოფელში
ფიცხლად შევადრე!.. ჩქარა, ჭიბვი, ჩქარა გავარ-
დი, სულს მიეშველე განტევენამდე!“ მსახიობი
დამაჭრებლად ახერხებს ო-სანის სულიერი
დარაშის გადმოკეთებას და მასურებლის გულ-
წრფელი ტარსაც იმსახურებს.

— რომელი თეატრალური ჟანრია ყველაზე
ახლოს თქვენს ბუნებასთან? — ვეკითხები მსა-
ხიობს.

— ალბათ, დრამატული. ძალიან მინდა თავი
მოვსინჯო საპირისპირო ამბლუაშიც, მაგრამ,
მოგახსენებთ, ჩვენი ბუდი რეესსურაწუა დამო-
კიდებული. სურვილი მაქვს იმის საპირისპირო
გავაკეთო, რასაც ვაკეთებ სპექტაკლში „შეყვა-
რებელთა თვითმკვლელობა ციურ ბაღთა კუნ-
ძულზე“. ისეთ როლს ვნატრობ, რომელშიც ვი-
ცეკვებ და ვიმღერებ კიდევ... მაგრამ ყველაფე-
რი ისევ რეესსორწუა დამოკიდებული.

— რაზე მუშაობთ ამჟამად, როგორია თქვე-
ნი შემოქმედებითი გეგმები?

— ამჟამად ვმუშაობ სოფიკო ჭიანურელთან
ერთად. მას ახალ ამბლუაში — რეესსორის ამ-
ბლუაშიც იხილავს მასურებელი. დამს ზილ-
დნის პიესას „გვირილა“, სადაც თვითონ შესა-
რულებს ერთ-ერთ მთავარ როლს, ხოლო მისი
ქალიშვილის რუთის როლს მე განვახაიერებ.
ჩემთვის ძალიან საინტერესო როლია — აქ შექ-
მდნა საშუალება გამოვავლინო ჩემი შესაძლებ-
ლობანი — წავიმღერო, წავიცეკვო... მართალია,
ისევ დრამატული როლია, ამ სახესაც ჩემს ბუნ-
ნებასთან არაფერი აქვს საერთო, მაგრამ მაინც
გასაგებია, ჩემი ასაკისა და ერთი სული მაქვს
როდის ვითამაშებ. ჭრჭერობით მაგიდასთან მიმ-
დინარობს რეპეტაციები. აგრეთვე ერთ-ერთ
მთავარ როლს განვახაიერებ ლალი როსებას
პიესაში „სიყვარულის მწე“ მედეა კუჭუხიძის
რეესსორობით. შემდეგ შელოდება — ლალი
როსებასვე ინსცენირებით ლევ ტოლსტოის „ანა
კარენინაში“, რომელსაც დგამს ისევ მედეა კუ-
ჭუხიძე — კიტის როლი...

ნინო თვალმეგობარწინებული, გატაცებით სა-
უბრობს ტოლსტოის ამ დიდებული ქმნობის
გასცენიურებასა და მედეა კუჭუხიძის ჩანაფიქრ-
ზე, მცირეოდენი პაუზა... იგი წარმოსახვით აღ-
ბათ, თავის მომავალ გმირებს დასტრიალებს.

2 იანვარი. თ. გოდერძიშვილისა და თ. ჩანტ-
ლაძის „არ შეგირივდები“, ვოდევილი 2 მოქ.
(ა. მანანიციის „ბიძჩანის სახლის“ მიხედვით)
დადგა თ. ჩანტლაძემ, მხატვარი ნ. გაფრინდა-
შვილი, ქორეოგრაფი ლ. ბაბუკია. მინიატურე-
ბის თეატრი.

2 იანვარი. „ჩვენი ცირკი“ დაღმეგელი რეჟი-
სორი მ. მარხოლია, მხატვარი ი. ტკარეწკო. სო-
ხუმის მოზარდ მასურებელთა რუსულ თეატრი.

5 იანვარი. უ. ბიზე „კარმენი“. ოპერა 3 მოქ.
ლიბრეტო ა. მელისის და ლ. ბალეტისა. დაშე-
გმელი დირიჟორი ო. დიმიტრიადი, დაღმეგელი
რეჟისორები ი. თუმანიშვილი, მ. ომეროვსკი,
მხატვარი ე. ჩემოდუროვი, ქორეოგრაფები
გ. ბუცხრიკიძე, ა. დანელიანი, ბალეტმეისტრი
რ. წულუკიძე. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და
ბალეტის აკადემიური თეატრი.


15 იანვარი. ნ. გერნეტი და ტ. გურვიჩი „ბა-
ტის ჭუკი“. პიესა თოჭინების თეატრისათვის
2 მოქ. დადგა ა. დიასამიძემ, მხატვარი ა. ფი-
ლიპოვი, მუსიკ. გაფორმა ა. ონიგავამ. ბათუ-
მის თოჯინების თეატრი.

2 თებერვალი. ა. გრიფიუსი „ქეთევან ქართ-
ველი, ანუ გაუტყბელი სიმტკიცე“ ტრაგედია
1 მოქ. მთარგმნელი ა. იგოლოვანი, დადგა მ. ვე-
დუკინდამ, მხატვარი ი. მჭავჭავაძე. რუსთაველის
სახ. აკადემიური თეატრი.

2 თებერვალი. ა. არგუნი „მთები ზღვას გადას-
ცქერიან“. დრამა 2 მოქ. დადგა დ. კორტავამ,
მხატვარი ე. კოტლიაროვი, კომპოზიტორი ვ. ცა-
რგუმი. სოხუმის, ს. ჭანბას სახ. აფხაზური თე-
ატრი.

2 თებერვალი. გ. ბაზოვი „მუნჯები ალაპა-
რაქდენს“. დადგა და მხატვრულად გაფორმა
გ. ჭაფარიძემ. ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ.
თეატრი.

2 თებერვალი. ვაჟა ფშაველა. „სათაფრი“.
კომედიო-ზღაპარი ორ ნაწ. ინსცენირებული
კ. კვიციანი მიერ. დადგა გ. სტეისკერაძემ, მხატ-
ვარი მ. ხუციშვილი, კომპოზიტორი შ. მილო-
რავა, ქორეოგრაფი ჯ. მეღვაძე, თოჯინების ტა-
რების კონსულტანტი — ე. ციციშვილი. რუს-
თავის თოჯინების თეატრი.



6 თებერვალი. ს. ზაიაიცივი „რობინ ჰუდი“. მუსიკალური სპექტაკლი 2 მოქ. მუსიკა ა. რაქვიანიშვილისა, ლექსები რ. ბერნისის, მთარგმნელი ს. მარაშაი. დადგა თ. აბაშიძემ, მხატვრები ო. ქორაიძე, ა. ხლოვინსკი, იუ. ჩიკვაიძე, ქორეოგრაფი იუ. ზარციკე, ხმის რეჟისორი გ. შირაგველივი, ლინეური კომპოზიტორის სახ. მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი.

ფ. დიუმანუა. ა. დენერი. „დონ სეზან დე ბაზანი“. სამმოქმედებიანი კომედია. მთარგმნელი ს. ფაშალიშვილი, სიმღერების ტექსტი ლ. სხირტლაძისა, დადგა გ. თოღაძემ, მხატვარი მ. მურვანიძე, კომპოზიტორი დ. ტურიაშვილი, ქორეოგრაფი იუ. ზარციკე, სასცენო მომართაბა შ. სხირტლაძისა. მარჯანიშვილის სახ. აკადემიური თეატრი.

12 თებერვალი. ი. ვაქელი. „აბრაკანე ჭიმიჭიმილი“. კომედია ორ ნაწილად, დადგა ლ. პაქსაშვილმა, მხატვარი ა. ჭელიძე, კომპოზიტორი ვ. აზარაშვილი, ქორეოგრაფი ბ. მონავარდისაშვილი. თბილისის დრამატული თეატრი.

18 თებერვალი. რ. გაბრიელი. „მარშალ დე ფანტის ბრლიანტი“. პიესა 2 მოქ. დადგა თ. შირაშვილმა, რეჟისორი დ. თოფურია, მუსიკა ნ. ავალიშვილისა და ედ. ისრაელიშვილისა, დეკორაციების მხატვარი ვ. ბოახჩიანი, მარიონეტების ოსტატი-მოქანდაკე ე. ნიშინანიძე. თბილისის მარიონეტების თეატრი.

25 თებერვალი. ი. დუმბაძე „მარადისობის კანონი“. რომანი სცენაზე ორ მოქ. ინსცენირების ავტორები: გ. ჟორდანი, ზ. კვიციანიძე, დადგა გ. ჟორდანიამ, მხატვარი იუ. გეგეშიძე, კომპოზიტორი თ. ჯიანი, სოხუმის ქართული თეატრი (გაიხსნა ქართული თეატრის ახალი შენობა).

27 თებერვალი. ლ. მილორადა „კერპჩუთა“. პიესა 2 მოქ. დადგა ო. გვირიამ, მხატვარი ა. ჯგოლაძე. მესხეთის თეატრი.

27 თებერვალი. დ. ფსათახი „ქურდი ყვირის“. სატირული კომედია 2 მოქ. მთარგმნელი გ. სულიკაშვილი, დადგა ნ. დეისაძემ, მხატვარი უ. ხუმრაშვილი. თბილისის თეატრი.

28 თებერვალი. გ. ლუხუტელი „ტახტის მემკვიდრე“. ზღაპარი 2 ნაწ. საბავსულხან ორბელიანის მოტივებზე. დადგა გ. ლაღიძემ, მხატვარი ვ. ცერაძე, კომპოზიტორი ნ. გოგაური, დირიჟორი ვ. გაბარაძე, ქორეოგრაფი მ. შავლასოვი, კონცერტმასტერი ა. ვაგლივა. ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახ. თეატრის ქართული დანი.

2 მარტი. ფ. დიურენმატი „მოხუცი მანდილოსნის ფიზიკი“. ტრაგიკომედია 2 მოქ. თარგმანა ე. კოდონამ, დადგა ვ. კაცემ, მხატვარი ე. კოტლიაროვი, ქორეოგრაფი იუ. ზარციკე,

მუსიკ. გააფორმა რ. თანაბა. სოხუმის ს. მარაშაი სახ. აფაზური თეატრი.

4 მარტი. ნ. დუმბაძე „ხატია ხედავს მუსე“. ლირიკული დრამა 2 მოქ. ინსცენირების ავტორი ზ. ვასიელი. დადგა უ. მინდიაშვილმა, მხატვარი ჯ. ჭობაძე, მუსიკა ე. ლონდარძისა, ჭიათურის ა. წერეთლის სახ. თეატრი.

5 მარტი. ზ. კალანდია, ვ. სიჭინავა. „უფლისწული და მათე“. ზღაპარი ერთ მოქ. დადგა ლ. ბულუხიამ, მხატვარი გ. გაბისონია, სცენური მომართვის რეჟისორი და მუსიკალური გამაფორმებელი ლ. ბაბუკია. ზუგდიდის შ. დადიანის სახ. თეატრი.

7 მარტი. ივ. ფაშიაძე „ადამიანი, რომელიც ფულს იხდის“. ტრაგიკომედია 2 მოქ. მთარგმნელი ე. ბაბუკია, რეჟისორი გ. ჩერქეზიშვილი, სცენოგრაფი ნ. ჭავჭავაძისა, კოსტუმების მხატვარი ლ. ფედორენკო, მუსიკ. გააფორმა ნ. გევენანამა. დადგმის მხატვრული ხელმძღვანელია გ. ჟორდანი. ალ. გრიბოედოვის სახ. რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრი.

11 მარტი. ა. ლინდგრენი „ბოჰუვა და სახურავის ბინადარი კარლსონი“. ინსცენირება ქ. ხარშილაძისა, დადგა ქ. ხარშილაძემ, მხატვარი ი. მჭედლიშვილი, მუსიკ. გააფორმა დ. გურჯინიძემ, ქორეოგრაფი გ. ბირაძე. გორის გ. ერესთავის სახ. თეატრი.

12 მარტი. ლ. თაბუკაშვილი „ათენიერებენ მიმინოს“. პიესა 2 მოქ. რეჟისორი ა. ვარსიამაშვილი, მხატვარი მ. შველიძე, კოსტუმების მხატვარი თ. ნინუა, ქორეოგრაფი იუ. ზარციკე, მუსიკ. გააფორმა ს. თომაძემ. რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრი.

17 მარტი. მ. აბრამიშვილი „ნიშნა-ნიშნა, ბარბალუკა“. დადგა გ. ხარჩიელიძემ, მხატვარი ა. ფილიპოვი, კომპოზიტორი ა. ოჩიკვა. ბათუმის თეატრების თეატრი.

20 მარტი. პ. ზეითუნციანი „არშაკ II“ („დანერეული ქალაქის ლეგენდა“). დადგა — მ. გრიგორიანმა, მხატვარი ე. ლონცოვა, მუსიკ. გააფორმა ფ. აბრამიანმა. შაუშთანის სახ. სომხური თეატრი.

20 მარტი. ნ. დუმბაძე „კუყარაჩა“. პიესა ერთ მოქ. ინსცენირება შ. კობისისა, დადგა ე. კობიძემ, მხატვარი შ. ხუციშვილი, მუსიკ. გააფორმა შ. კობიძემ. გორის გ. ერესთავის სახ. თეატრი.

21 მარტი. ა. ოსტროვსკი „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“. კომ. 5 მოქ. თარგმანა გ. ჭატიევა, დადგა ა. აზარევიჩმა, მხატვარი რ. ჩოჩიევი, კომპოზიტორი ე. პლიევი. ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახ. თეატრის ოსური დანი.

22 მარტი. ა. პაპიანი „დახ, ქვეყანა ვადაბრუნდა!“. პიესა 2 მოქ. მთარგმნელი ა. დავითიანი, დადგა გ. აბრამიშვილმა, მხატვარი შ. ხუ-



ცისვილი, მუსხია შერაჩია რუ. ჭიჭიშვილიძე, ქორეოგრაფი — ი. ლუნდუა. მახარაძის ა. წუწუნავას სახ. თეატრი.

24 მარტი. რ. გაბრიაძე „მარშალ დე ფანტი“ ბრილიანტი“. კომპოზიტორი შ. მილორავა, დამდგმელი რეჟისორი გ. ზელივა, დირიჟორები: 2. დავითაშვილი, ა. მამაცაშვილი, მხატვარი გაბრიაძე, ქორეოგრაფი იუ. ზარციცი. ვ. აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიის თეატრი.

24 მარტი. ალ. ჩხაიძე „მიღების დღე“ პიესა-სარეპორტაჟი ორ მოქ. დადგა გ. ქავთარაძემ, მხატვარი თ. უვანიო, კომპოზიტორი ქ. ჭანდერი. სოხუმის ქართული თეატრი.

25 მარტი. ე. რეპოუცივი „ვიკრის ზუმარა და წრუწუნა მციკი“. თარგმან გ. ლლონტა, დადგა ა. დიხაშიძემ, მხატვარი ნ. ნიკარაძე, მუსიკა ს. ბარდანაშვილსა. ბათუმის თეატრების თეატრი.

26 მარტი. ა. გელმანი „უკვლასაგან განმარტობით“. პიესა ორ მოქ. მთარგმნელი გ. ბათიაშვილი. დადგა და მხატვრულად გააფორმა ნ. დემეტრაშვილი, მუსიკ. გააფორმა ვ. გრიგალაშვილი. მესხეთის თეატრი.

27 მარტი. რ. ტრისთავის „რეტი დანოცენე, მერე იქორწინეს“. ვოდევილი ორ ნაწ. დადგა ი. მაცხოვრისაშვილი, მხატვარი შ. ხუციშვილი, სიმღერების ტექსტი ო. თვლედაშვილისა, მუსიკ. გააფორმა კ. სვანიძემ. ფოთის ვ. გუნიას სახ. თეატრი.

27 მარტი. ნ. კახიანის „ორი მოკვირი“. პიესა 2 მოქ. მთარგმნელი გ. იმერელი, დადგა მ. ფურცხვანიძემ, მხატვარი დ. კოკელაძე, მუსიკა ნ. ედგარაძისა, ქორეოგრაფი კ. გერგაია. ქუთათის თეატრების თეატრი.

28 მარტი. ლ. გერასკინა „სიმფიფის ატესტატი“. პიესა 4 მოქ. დადგა ვ. ვოლგუსტაძე, მხატვარი ლ. ფედორენკო, ქორეოგრაფი გ. გორბაროვი, მუსიკ. იგაფორმა გ. მირგულიძემ. ლენინური კომპაზიციის სახ. მოზარდ მსაუბრებელთა რუსული თეატრი.

30 მარტი. „მხანავი ბავშვები“ (ვ. რასპუტინის „როდოლოფო“, ს. მიხალკოვის „გაუგებრობა“, ვ. როსტოვის „ქოშავი“). მთარგმნელები ნ. ლორთქიფანიძე, თ. როსტომაშვილი, მხატვარი თ. როსტომაშვილი, სპექტაკლში გამოყენებულია ე. ევტუშენკოს, ვ. ლუგოვსკოის, ა. ვოზნესენსკის ლექსები და თანამედროვე საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები. თელავის თეატრი.

31 მარტი. შექსპირი „მეაბეტი“. ზუმოქმედებიანი ტრაგედია ერთი ანტრაქტით, დადგა ს. მრეკლიშვილი, მხატვარი მ. ჭავჭავაძე. ახალგაზრდული დრამატული თეატრი-სტუდია („მეტეხი“).

31 მარტი. დ. კლდიაშვილი „ირინეს ბედნიე-

რება“. სპექტაკლი ერთ მოქ. დადგა შ. გაწიჩიანი, ლიამ, რეჟისორი ო. ბალაიური, მხატვარი მ. შველიძე, ქორეოგრაფი იუ. ზარციცი, კოსტუმების მხატვარი გ. ცისელიოვა, მუსიკ. გააფორმა დ. გურგენიძემ, დიპლომატი გ. საჩაღელი. მოზარდ მსაუბრებელთა ქართული თეატრი.

31 მარტი. ვ. ცინიბუჯი „სათამაშოების თვებადასავალი“. პიესა 2 მოქ. თარგმან ვ. ნიკოლაიშვილი, დადგა მ. ლორთქიფანიძემ, მხატვარი რ. კონდასაშვილი, კომპოზიტორი ე. ჭავჭავაძემ. თბილისის თეატრების თეატრი.

31 მარტი. იუ. სემიონოვი „საკდეს დავალებული აქვს განაცხადოს“ პიესა ორ მოქ. ინსცენირება ა. ბარსეგიანის და ფ. შინის, მთარგმნელი ალ. სამსონია, დადგა გ. აბესაძემ, მხატვარი ა. ფილიპოვი, მუსიკ. გააფორმა ა. შანილაძემ. ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახ. თეატრი;

31 მარტი. ალ. მთათაშვილი „გადაარჩინეთ პროფესორი თაბაგარი“. პიესა 2 მოქ. დადგა ე. ჩაიძემ, მხატვარი მ. თუთათიანი, მუსიკა თ. შანილაძისა. მახარაძის ა. წუწუნავას სახ. თეატრი.

31 აპრილი. ი. ჭავჭავაძე „ახის წლის წინათ...“ სამწიგნობლო სპექტაკლი („ოთარაანთ ქვრივი“, „მგზავრის წერლობები“, „კაცია აღმშენი“) დადგა თ. ჩხეიძემ, მხატვარი გ. ალექსი-მესხიშვილი, კომპოზიტორი გ. სიხარულიძე. მარჯანიშვილის სახ. აკადემიური თეატრი.

31 აპრილი. ა. გელმანი „უკვლასაგან განმარტობით“, პიესა 2 მოქ. რეჟისორი ლ. ჭაში, სცენოგრაფი ე. დონცოვასი, მუსიკ. გააფორმა რ. გუენინაშვილი, დადგმის მხატვრული ხელმძღვანელი გ. შორაბანია. გრიბოედოვის სახ. რუსული თეატრი.

13 აპრილი. ა. სუმონინის „ბუტია“, დადგა ა. ჩხეიძემ, მხატვარი მ. ციციშვილი, მუსიკა ა. რაქვიშვილისა, სცენური მოძრაობა იუ. ზარციცისა. თეატრების რუსული თეატრი.

15 აპრილი. ნ. არქიმეევი „მეგობრები“. ზღაპარი 2 ნაწ. დადგა ს. ყიფშიძემ, მხატვარი გ. გიგაური, კომპოზ. ლ. თაქთაქიშვილი. რუსთავის თეატრების თეატრი.

24 აპრილი. მ. ბერაძე „გაქორწინება ქალაქურად“. კომედია-ფარსი 2 ნაწ. დადგა ო. ცერაძემ, მხატვარი ზ. ცხადაია, სიმღერების ტექსტი ნ. მახარაძისა, მუსიკ. გააფორმა კ. სვანიძემ. ფოთის ვ. გუნიას სახ. თეატრი.

1 მაისი. ა. ყუბიცი „თხილნარი გაზაფხულზე არ აუცვდა“, ლირიკული კომედია 2 მოქ. დადგა მ. ჭუსოველა, (რეჟისორი-დიპლომანტი), მხატვარი თ. გიენე, კომპოზიტორი დ. ხახანოვი, ქორეოგრაფი მ. შველოვი. ცხინვალის კ. ხეთაგურიძის სახ. ოსური დანა.

12 მაისი. ბ. შოლუ „მოკუთუბუნნი“ („ბედის რჩეული“ და „როგორ ატყუებდა ის, იმის



ქმარს“). ორ ნაწილად, მთარგმნელები მ. კიკვაძე, ჯ. ქელიძე. დადგა ლ. ყუფარიანმა (რეჟისორი-დირექტორი), დადგმის ხელმძღვანელია ლ. პაქსაშვილი, მხატვარი თ. გენიე. მუსიკ. გააფორმა ს. თომაძემ, ქორეოგრაფია მ. მონავარდისაშვილი, კაბილისის დრამატული თეატრი.

14 მაისი. ა. ოსტროვსკი „უღიანაშაული დამნაშავენი“. პიესა 2 მოქ. თარგმნა ელ. ანდრონიკაშვილმა, დადგა ლ. ბულუხიამ, მხატვარი ლ. მურუსიძე, მუსიკ. მონტაჟი ა. ასატრიანისა, ქორეოგრაფი ლ. ბაქვაჯა. ზუგდიდის, შ. დიანის სახ. თეატრი.

15 მაისი. ნ. პავლოვა „ვაგონი“ პიესა 2 მოქ. დადგა გ. ყორაღანიამ, რეჟისორი ლ. ჯაში. სცენოგრაფია გ. გუნიასი, კომპოზიტორი თ. ჭაიანი, გრიზოტოვის სახ. რუსული თეატრი.

15 მაისი. ვ. შიაკოვსკი „წითელი აფრები“ (პოემა „ვ. ი. ლენინი“). დრამატული კომპოზიცია ერთ ნაწილად, დადგა და მხატვრულად გააფორმა ი. მაცხოვრავაშვილმა, მუსიკ. გააფორმა კ. სვანიძემ, ფოთის ვ. გუნიას სახ. თეატრი.

17 მაისი. დ. ვასერმანი, ჯ. დარკინი „ლამანჩილი“. მუსიკალური წარმოდგენა 8 ნაწ. კომპოზიტორი — მიტჩ ლი, თარგმნეს ვ. გრუზინსკიმ, მ. ქვლივიძემ, დადგა თ. აბაშიძემ, რეჟისორი დ. ელიოზიშვილი (რეჟისორი-დირექტორი), მხატვარი მ. ჭავჭავაძე, ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახ. თეატრის ქართული დასი.

18 მაისი. „ვენაც ვაიგებს ჩუქურთმას ქართულს“ (ქართული პოეზიის საღამო) იონან ზონსიმე, დავით აღმაშენებელი, არსენ იყალთოელი, დიმიტრი მეფე, ჩახრუხაძე, შოთა რუსთაველი, საბასულხან ორბელიანი, ვახტანგ მეექვსე, დავით გურამიშვილი, ბესიკი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვუპა ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე, დავით კლდიაშვილი, იოსებ ჯულაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ გრიშაშვილი, პაოლო იაშვილი, ტიტან ტაბიძე, ტერენტი გრანელი, გიორგი დლომისძე, სიმონ ჩიქოვანი, იოსებ ნონეშვილი, ლადო ასათიანი, მირზა გელიოვანი, ირაკლი აბაშიძე, ანა კალანდაძე, მურმან ლებანიძე, მუხრან მჭავარიანი, შოთა ნიშნიანიძე, ფრიდონ ხალვაში; დამდგმელი რეჟისორი გ. ქვათარაძე, მხატვრები დ. დათუკიშვილი, ნ. შვალობოძეშვილი. სოხუმის ქართული თეატრი.

21 მაისი. ლ. წერეთელი „ტყუილა“. პიესა 2 მოქ. დადგა მ. ფურცხვანიძემ, მხატვარი დ. კოკელაძე, მუსიკა გ. ჩირაძისა, ქორეოგრაფი ა. სიბრობლაძე. ქუთაისის თოჭინების თეატრი.

22 მაისი. ო. მამფორია „მეტეზის ჩრდილში“. კომ. 2 მოქ. მთარგმნელი ზ. უმიკიანი, დადგა ვ. რციხილაძემ, მხატვარი მ. არაბული, მუსიკა შვარჩია ა. ასატრიანმა, შაუმიანის სახ. სომხური თეატრი.

22 მაისი. ვ. აზარაშვილი ბალეტი „ნეტოსტარი“. დადგა ბ. მონავარდისაშვილმა, დირექტორი, ხურცილავა, მხატვარი უ. იმერლიშვილი, ოპერის და ბალეტის თეატრის ქუთაისის ფილიალი.

28 მაისი. კ. მხითარაიანი „დავითმარტენი ბეზია“. კომ. 2 მოქ. მთარგმნელი ვ. მუსხიშვილი, დადგა ვ. აზარაშვილმა, მხატვარი ა. გოგოლაძე, კომპოზიტორი ლ. კიტიაშვილი. მესხეთის თეატრი.

29 მაისი. ა. ჩხაიძე „შამომავლობა“. პიესა 2 მოქ. დადგა ვ. ჩიხლაძემ, მხატვარი მ. თუთაიშვილი, მუსიკა შვარჩია იუ. ჭიჭიყვიშვილმა. მანარაძის ა. წყნუწუნავის სახ. თეატრი.

1 ივნისი. ა. გულაშანი „პირისპირ“ („ყველასგან განმარტოებთ“). პიესა 2 მოქ. თარგმნა ვ. ბათიაშვილმა, დადგა დ. ანდლოლაძემ (რეჟისორი-დირექტორი) მხატვარი დ. დათუკიშვილი, მუსიკ. გაფორმება ჯ. ჯანდიერისა, სოხუმის ქართული თეატრი.

2 ივნისი. მ. გორჯი „უკანასკნელნი“. პიესა 2 მოქ. სთარგმნელი ა. მუტუა, დადგა და მუსიკ. გააფორმა ნ. მუტუამ (ლენინგრადის ა. ოსტროვსკის სახ. თეატრის, მუსიკისა და კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის დირექტორი) მხატვარი ე. კოტლიაროვი, ქორეოგრაფი ლ. ჩინლაძე, სოხუმის ს. ჭანბას სახ. აფხაზური თეატრი.

5 ივნისი. ი. რადოვის „წითელი და მიხაკისფერი“. ორმოქმედებიანი პიესა. დადგა გ. აბესაძემ, მხატვარი ა. ფილიპოვი, მუსიკალურად გააფორმა თ. შამილაძემ, ხმის რეჟისორი ვლ. ოქუაშვილი; ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახ. თეატრი.

5 ივნისი. ვ. ვანივეი „აღანთა დედოფალი ზარინა“. ტრაგედია. დადგა ა. თაუგაზოვმა (რეჟისორი-დირექტორი), მხატვარი რ. ჩოჩიევი, მუსიკა შვარჩია ა. თაუგაზოვმა, ქორეოგრაფი მ. შავლოხოვი, ფარეკაობა შ. სხირტაძისა. ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახ. თეატრის ოსური დასი.

6 ივნისი. უ. მლოდიერი „გაზნაურბული მდაბიო“. კომ. 2 მოქ. დადგა მ. მჭედლიშვილმა (რეჟისორი-დირექტორი), მხატვარი ლ. ტატაშვილი, მუსიკა ნ. ცაბაძისა, ქორეოგრაფი ა. მწელაძე, ფარეკაობა კ. უფიანისა, ქიათურის ა. წერეთლის სახ. თეატრი.

7 ივნისი. ნ. შურღია „სამი გოჭი“ ზღაპარი 2 ნაწ. ს. მხიბლავის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით. დადგა გ. სეზბისკვერაძემ, მხატვარი ნ. ვარსიამაშვილი, კომპოზიტორი ჯ. აღმაშვილი. რუსთავის თოჭინების თეატრი.

11 ივნისი. „ცეკვის მასწავლებელი“. მუსიკალური კომედია 2 მოქ. ლიბრეტოს ავტორი ლ. ქუბარია, კომპოზიტორი ვ. აზარაშვილი.



დიარე ვიკაში

დრამატურგის უპროსიძება

ერთი კრიტიკოსი თავის უმცროს ვაჟიშვილს ქუჩაში დაასვინებდა. გზად დრამატურგი შეეწინებდათ. დრამატურგი ეშმაკური ღიმილით მიესალმა კრიტიკოსს და ჰკითხა:

— შენი ვაჟია?
— დიახ. იოჟია, მიესალმე ბიძის, ხელი ჩამოართვი! დრამატურგმა ერთხანს უყურა ბავშვს, ცოტა გაესახურა და როცა იოჟია საბაშაშოდ გაიქცა, მამამისს მიუბრუნდა:

— იოჟია, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ბავშვია, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, მასში წვივარნაშა სტილისტური აღრევა. ხომ ბიჭია, მაგრამ ბევრი რამით გოგონას მოგვაგონებს. ამას, ალბათ, შენც კარგად ხედავ; გრძნობ, რომ ეს ბავშვი შედეგური არ არის, მაგრამ გულს ნუ გაიტებს. შენ უკეთესი ბავშვები გყვავს და მომავალშიც, იმიტომ, კიდევ უფრო კარგი გეყოლება. საწყენად არ გეუბნები, მაგრამ მე შეგონია, ეს ბავშვი ნაქარტევი ქმნილებად და სრულიადც არ სტოვებს იხეთ შეთბეკვილებებს, რომ მისგან რამეს სწავლა შეიძლებოდას. ორიგინალურიც არ არის: თვლები დიდისა აქვს, ტურები — ბიძის, ყურები — გაურკვეველია ვისია, სიცილიც კი მოძველებული აქვს.

მე ვიცი, რომ ბავშვი დიდი მოწინებით სარგებლობს ანობოლემში, მაგრამ აშან არ მოგატუთოს. აი, მე მაგალითად არ ვიცი, უბრალოდ ვერ გაშიგა რა ცინდოდა ამ ბავშვით ვეტიკვა.

ბავშვი, ჩემის აზრით, უნდა იყოს ისეთი, რომ პასუხობდეს ჩვენი თანამედროვეობის ყოველ სიახლეს, იოჟიასე კი აშან ვერ ვიტყვადი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვს სიხსნაკლებობა ემჩნევა და საშინლად გამოდის ფეხები აქვს. კიდევ ერთი რამ: მეტიმეტად მოძველებულია, ასეთი ბავშვები ხომ ოცდაათ-ორმოცი წლის წინათაც იყვნენ. მოკლედი, ბევრი რომ არ ვინაპარაკოთ, შენგან მეტს მოველოდით — უფრო ახალს, უფრო დამაბრებელს; ბავშვს, რომელსაც ექნებოდა თანამედროვე ბებოებისათვის დამახასიათებელი იუმორისი გრძნობა, ან კიდევ აქნებოდა სრული თეორიული ცოდნით შეიარაღებული მებრძოლი, ყველასაც განსვავებულნი, ორიგინალურნი!

ისე, იმედს ნუ დაჰკარავ, ასეთი რამ ყველას შეიძლება მოუვიდეს, ჩვენ შენი გვჩერა და უფრო მეტს მოველოთ. ვინ იცის, აქნებ გავიმართლოს კიდევ... ოდნებ საჭიროა მუშაობა!

თავნაზრადცემული კრიტიკოსი გაქვევებული ვით იდგა და უსმენდა დრამატურგს, რომელიც გულში წვივობდა, რომ, როგორც ექნა, საშუალება მიეცა საშაგერო მიეზლო, კრიტიკოსმა ხომ ამ რაძენებზე ხნის წინათ სწორად ასეთივე შეფასება მისცა მის უკანასკნელ კომედიას, მისი სულითა და გულით შექმნილ საუკეთესო ქმნილებას!

უნგრულიდან თარგმნა ლილი მაისურაძე

დამდგმელი რეჟისორი გ. თუმანიშვილი, მხატვარი პ. თუმანიშვილი, დირიჟორი ვ. კახიანი, დამდგმელი ბალეტმასტერი გ. ოდიკაძე, ქორეოგრაფი ა. ვანუგრაძე, კონცერტმასტერი მ. მაჭავარიანი, ფარეკაობა და სცენური მომარაობა შ. სხირტლაძისა. ვ. აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიის თეატრი.

12 ივნისი, მ. ჭავჭავაძე „უბნობების ასული“. დრამა 2 მოქ. დადგა შ. კობიძემ, მხატვარი შ. ხუციშვილი, კომპოზიტორი ა. ჩიშკაძე, ქორეოგრაფი ვ. ბირკაძე, გორის გ. ერისთავის სახ. თეატრი.

16 ივნისი, კ. გოდოლინი „ორი ბატონის მხახური“. პიესა 2 მოქ. მთარგმნელი გ. ფრონისპირელი, დადგა თ. ალექსიშვილმა, მხატვარი ა. ვაგოლაძე, მუსიკ. ვაჟფორმა ბ. გუტკოვამ, ფარეკაობა შ. სხირტლაძისა. მესხეთის თეატრი.

19 ივნისი, ა. პაპიანი „ხვხვს ორშოს ნუ უთხრა“. კომ. 2 მოქ. დადგა შ. უმიკიანმა, მხატვარი შ. ტერაშინასიანი, მუსიკ. ვაჟფორმა ა. ასატრიანმა, ცეკვები დადგა ჯ. მელქაძემ. შაუშიანის სახ. სომხეთის თეატრი.

25 ივნისი, ალ. ჩხაიძე „ეძიებდე“. დადგა კ. გურგენიძემ, მხატვარი შ. შუტელაშვილი. ახალგაზრდული თეატრი-სტუდია „მეტეხი“.

28 ივნისი, მ. ბერაკი „მზე ნიქერჩლის ტყეში“. პიესა 2 მოქ. დადგა — ვ. ოყრეშიძემ, მხატვარი დ. კოკლაძე. ქუთაისის მესხიშვილის სახ. თეატრი (პრემიერა შედგა თერჯოლაში).

29 ივნისი, დ. როსტომ „ტყუალი კატოსთვის“. კომ. 2 მოქ. დადგა თ. ფალავანდიშვილმა (რეჟისორი-დობლონატი), მხატვარი ჯ. ქეიშვილი, მუსიკ. ვაჟფორმა ტ. ბერამელიძემ, დადგმის ხელმძღვანელი იუ. კაკულია. ქუთაისის მესხიშვილის სახ. თეატრი.

29 ივნისი, მ. აბრამიშვილი „განთავისუფლებული ზღაპრები“. დადგა რ. მგელაძემ, მხატვარი ვ. ბესელია, მუსიკა თ. შამილაძისა. ბათუმის თეატრების თეატრი.

30 ივნისი, ალ. ჩხაიძე „თავისუფალი თემა“. პიესა 2 მოქ. დადგა შ. გაწერელიამ, რეჟისორი რ. ბალაურია, მხატვარი ნ. მებრეცელი, მუსიკ. ვაჟფორმა დ. გურგენიძემ, ქორეოგრაფი იუ. ზარეციკი, ლობტარი გ. საჩაღელი. მოზარდ მსუყრებელთა ქაჩაული თეატრი.

30 ივნისი. ალ. ჩხაიძე „შთამომავლობა“. დრამა ორ მოქ. დადგა ქ. ხარშილაძემ, მხატვარი ირ. მჭედლიშვილი, მუსიკ. ვაჟფორმა ზ. კაკალაშვილმა. გორის გ. ერისთავის სახ. თეატრი.

30 ივნისი, გ. სუნდუკიანციის „ბათახალა“. კომ. 2 მოქ. მთარგმნელი ი. გროშიშვილი, დადგა მ. გრიგორიანმა, მხატვარი ვ. ჭვახიძე. სანქტაქალში გამოყენებულია ძველი თბილისის ქალაქური მანგები. ჭიათურის ა. წერეთლის სახ. თეატრი.

შეადგინა მ. გოგოლაშვილმა

შ ი ნ ა რ ს ი

	საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტ-ში.	
	ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის მაღალი მისია	3
	თემურ ჩხეიძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი	6
	თეატრის მოღვაწენი — თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატები	6
	ქუთაისის თეატრალური ცხოვრება	7
	წარმატებული გასტროლები	19
გულიკო	მამულაშვილი — მეგობრობის გზები თბილისში შეიყარა	25

სსრპ შუაგენის 60 წლისთავისათვის

	გოგი დოლიძე — ქართველი რეჟისორი კარელიაში	28
	კოტე ნინიაშვილი — რუსთავეის თეატრი მოსკოვში	31
	გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის	
	ლია სეხნიაშვილი — ქართველი მომღერალი დიდ თეატრში	34

რესპუბლიკის თეატრალურ აზიზსათვის

	კორა კვიციანი — კერიაზე ცეცხლი ღვივდება	39
	ახალგაზრდული თეატრი: „საქირთა პიროვნული პასუხისმგებლობის ამაღლება“	44
	ნესტან კვიციანი — დავით კლდიაშვილის სოფელში	45

სტუდენტური სპექტაკლები

	ლია გაბრიაძე — „მარადისობის კანონი“	46
	მარინე თბილელი — კვლავ მექსიკაში	48
	თეიმურაზ ჯანგულაშვილი — გამოვივლია გზა ასწლიანი (ლექსი)	50
	ახალგაზრდა შემოქმედი პერიფერიის თეატრში	51

დებიუტი

	ლევან ხეთაგური — „პაიკი ამბას“ ინსცენირებისათვის მარჯანი-შვილის თეატრში	53
	გიორგი ჩართოლანი — სევანური ხალხური სანახაობა „პერია მიშუ“	58
	„ეზონის შეჯამება“	63
სულიკო	ხეტეშვილი — დიდი გზის დასაწყისი	64
	საქართველოს სსრ სახელმწიფო თეატრების ახალი დადგმები 1982 წ. 1-ლი იანვრიდან 1-ელ ივლისამდე	66

ი უ მ რ ი

	დიდრედ მიკეში — დრამატურგის შურისძიება	70
--	--	----

გარეკანის პირველ გვერდზე:

სცენა სოხუმის სახელმწიფო ქართული თეატრის სპექტაკლიდან
„ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს“.

გარეკანის მეორე გვერდზე:

სცენა რუსთავეის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლიდან „ემი
ქეშმარიტებისა“.

გამომძიებელი — ლ. ფილფანი
ბრალდებული — შ. სხირტლაძე

გარეკანის მესამე გვერდზე:

სცენა ფოთის ვ. გუნიას სახ. სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი-
დან „წითელი აფრები“.

სცენა თბილისის დრამატული თეატრის სპექტაკლიდან „ობტი-
მისტური ტრაგედია“.

გარეკანის მეოთხე გვერდზე:

სცენა ფოთის ვ. გუნიას სახ. სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი-
დან „იმედის ათი წუთი“.

ელი — ო. თენჯელაშვილი
ლიგბი — ნ. ჭიჭინაძე

**БЮЛЕТЕНЬ ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ
„ТЕАТРАЛУРИ МОАМБЕ“**

Тбилиси — 1982

№ 4 (128)

ფასი 40 კაპ.

გადაეცა წარმოებას 24/VI-82 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/VIII-82 წ.
ნაბეჭდ თაბახთა რაოდენობა 6,2
საალრიცხვო-სავაჭომც. თაბახი 6,11
ქალაქის ზომა 72×108^{1/16}



გვ. 30/11

ეროვნული
ბიბლიოთეკა

